

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

გ ე ფ ს ი ს ტ ე ა ო ს ა ნ . ი

ჩანართი და დანართი
ტექსტებით

ტექსტი გამოსაცემად ღამნადა, წინასიტყვაობა
და საძიებლები დაურთო

ხ. ი. ჯ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ შ ა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1956

რექტორი ალ. ბარამიძე

წ ი ნ ა ს ი ტ ე ვ ა ო ბ ა

შოთა რუსთაველის გენიალური პოემა ვეფხისტყაოსანი ხელნაწერების საშუალებით ვრცელდებოდა XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებამდის¹. პოემის ხელნაწერები კი XVII საუკუნეზე აღრინდელი ჯერჯერობით ცნობილი არაა. მოღწეული ხელნაწერებიც, რომელთა რიცხვი ასორმოცდაათამდე აღწევს, პოემის ტექსტის მოცულობის მხრივ სხვადასხვაანაირია. ინტერპოლატორებს ვეფხისტყაოსანში შეჰქონდათ დამატებანი და ამით ზრდიდნენ პოემის მოცულობას².

რუსთველოლოგიის ერთი მთავარი მიზანთაგანია გამოავლინოს ვეფხისტყაოსანში ინტერპოლატორთა ჩანართი ტექსტები და აღადგინოს პოემის ნამდვილი სახე. ამ წარზე მეცნიერული მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში და გრძელდება დღემდე.

ვეფხისტყაოსნის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, რომელიც დამუშავებულია რუსთველოლოგთა სპეციალური კომისიის მიერ, დაიბეჭდა 1937 წელს. ეს არის ვეფხისტყაოსნის დაწერის 750 წლის თავისაღმომადგინო საიუბილეო გამოცემა. ამის შემდეგ ტექსტოლოგიურმა კვლევებებმა აკმაოდ წაიწია წინ და უკვე მომწიფდა საკითხი პოემის ახალი მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის გამოცემისა. მაგრამ კრიტიკული ტექსტის ჯეროვნად გამოცემას წინ უნდა უსწრებდეს სათანადო მასალების დაშლადება და გამოკვლევა. ამ გარემოებითაა გამოწვეული რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილება—პირველ რიგში გამოიციეს ვეფხისტყაოსნის ძველი ხელნაწერის

¹ მართალია, პოემა 1712 წ. დაიბეჭდა, მაგრამ ამ გამოცემის ტრავმა ვერ დაეკმაყოფილა ფართო საზოგადოების მოთხოვნილება, თანაც პოემის მეორე გამოცემა 129 წლით დაიგვიანა. ყოველივე ამის გამო ვეფხისტყაოსანი 1712 წ. შემდეგაც ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა. ხელნაწერების უნრავლესობას კი წარმოადგენდა პირველნაბეჭდი (1712 წ.) ტექსტის პირები.

² 1913 წ. ს. კაკაბაძემ დაბეჭდა ვეფხისტყაოსნის კრიტიკული ტექსტი, რომელსაც დაურთო ე. წ. ჩანართი და დანართი სტროფები. ეს გამოცემა სრული და ზუსტი არ არის: ჩანართი სტროფების გამოვლენისათვის ვეფხისტყაოსნის ყველა ხელნაწერი არ ყოფილა გათვალისწინებული, თანაც ბევრ მკაობზეა ერთნაირი სტროფები პოემის ტექსტის კრიტიკულ ნაწილშიც არის შეტანილი და ჩანართებშიც (უკანასკნელში ერთი და იგივე სტროფი რამდენიმეჯერ არის დაბეჭდილი). ხოლო, ზოგი სტროფი სრულიად გამორჩენილია.

1948 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა გამოსცა პოემის ე. წ. „ღანართი და ჩანართი“ ტექსტები ვეფხისტყაოსნის 1937 წ. გამოცემასთან შეპირისპირებით (ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ს. იორდანიშვილმა). ეს გამოცემაც ნაკლებია (იხ. გვ. 07, შენ. 2).

ყველაზე ვრცელი ნუსხა და მას დაერთოს სხვა ხელნაწერების დამატებითი ტექსტები. შემდეგ კი ამავე ტექსტს გაუკეთდეს ვარიანტები ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით და ამით შეიქმნას რეალური პირობები ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული რედაქციის დასადგენად.

აღნიშნული დადგენილების ნაწილობრივ განხორციელებას წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის წინამძებარე გამოცემა, რომელიც, რა თქმა უნდა, არ არის ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი საკითხავი წიგნი. ამ გამოცემის მიზანია დაინტერესებულ პირებს ზიანოდოს მასალები ვეფხისტყაოსნის სტრატეგიული მოცულობის დასადგენად და, ამავე დროს, წარმოადგინოს ინტერპოლატორების მიერ შექმნილი ტექსტები დაწვებული უძველესი დროიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ინტერპოლატორების ტექსტებსაც გარკვეული ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს.

ვეფხისტყაოსნის ცნობილ ხელნაწერთა შესწავლიდან გამოიარკვა, რომ ტექსტობრივი შემადგენლობის მხრივ ყველაზე ვრცელი, დაუზიანებელი და ამასთან ერთ-ერთი ძველი თარიღიანი ხელნაწერია H-757 (გადაწერილი 1671 წელს), რომელიც საყურადღებოა რედაქციულადაც.

ეს ხელნაწერი დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პალეოგრაფიის განყოფილებაში. ხელნაწერი ჩასმულია მაგარ ტყავადაკრულ ყდაში. ზომა 33,5 X 23. შეიცავს 270 ფურცელს, აქედან პოემის ტექსტს უკირავს—267, გადაწერის ანდერძს 267^ა—269^აფ., ხოლო ერთი ფურცელი (270), ტექსტისათვის გამზადებული, დაუწერელია.

პოემა გადაწერილია მრგვალი მხედრული ხელით. თითოეულ სიტყვას სამ-სამი წერტილი უზის. სათაურები და სტროფების დასაწყისი სიტყვები, ზოგჯერ ორი და ზოგჯერ ერთი, წითლურად არის შესრულებული. დანარჩენი ნაწილი შავი მელნითაა დაწერილი. ხელნაწერი უნაკლოა. ოდნავ დაზიანებულია მხოლოდ პირველი ფურცელი. ზოგ ადგილას ტექსტი ნასწორებია გადაწერის მიერ (იხ. სტროფები: 194₂, 257₁, 272₃, 306₃, 604₁, 842₂, 922₁, 998₁, 1240₁, 1263₂, 1505₃, 1608₃, 1707₃, 1720₄ და სხვ.). ხელნაწერის თითოეულ გვერდზე მოთავსებულია ოთხი სტროფი. ტექსტი ჩასმულია ფერადებიან აშიაში. პირველად გაკეთებულია აშიები, ტექსტი კი მერმეა ჩაწერილი.

ხელნაწერს დართული აქვს სხვადასხვა ხელით შესრულებული მინაწერები, რომელთა შორის საყურადღებოა შემდეგი:

თქვა: ყვაი ვარდთა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია!
მაგრამ მას ზა ბურბულსა ჯერ ტკბილად არ უმღერია.
უმსგავსო საქმე ყველაი მოკლეა, მით ოხერია,
რა შითქვამს, რა მომიჩმახავს, რა წიგნი მომიწერია.

(ფ. 270^ა; ვეფხისტყაოსნის 1274-ე სტროფი)

ისი ორნივ[ე] დახოცეს, ჩვენ დავრჩით, იყო ველია,
შუბებსა ხელი ვამაგრეთ, მოგგონდა საქმე ქველია.
ჯილოსანთ კაცთა უტყუპეთ, წინ იყენენ, არ ყავთ მშველია,
ზაზასი მიკვირს, იმ დღესა რისა საქმისა მქნელია!

ფაშები იყო, რომ ეხოცეთ, გარდახდა, მ[ო]სკრა თავია, სისხლით შეღება დოლბანდი, კაბა მწვანე თუ შავია, მათ მოგვატანეს რაზმითა, ჩვენზედ არ ჰქონდა ზავია, წვერით კბილს თავი მიიცა, ცხენსა მოახლტა ჰაია.

(ფ. 271v, ბოლო საცავი ფურცელი, იოსებ თბილელის „დიდმოფრავიანის“ 42-ე და 43-ე სტროფი, გ. ლეონიძის გამოცემა, 1937).

„ვერ იქმოდა. აპავეზირი გაწბილებული დაღონდა, გულში ესე თქვა: ნეტარ, შეფეციო რისათვის, წიგნი მივეცი ფიცისა ცულისა“ (ფ. 271v).

ტექსტს ბოლოში დართული აქვს გადამწერის შემდეგი ანდერძი:

ბრძანებით შემოქმედისა რა ხელვჰყავ ესე წერიოთა,
ხელნი დამიშრო კალამმან, თვალნი გაშტერდეს მზერიოთა;
ხელსა მკითხველი შეატყობს, სიმართლით სხვა სჯობს ვერიოთა,
და აწ გავიჩნდები, მხატვარო, შემყობა შესაფერიოთა.

მწერლებს ვჰკადრებ, მამისმინონ, რომ არ იყვენ ჩემზე ზრახვით,
ან დაწერონ უკეთესი, ანუ ამის რამე სახვით,
სიმართლეს და სიტყვის წყობას ვინ მიხედება ერთის ნახვით?
და მკითხველნი და მართლად მამენნი არ არიან სევედა-ახვით.

ჰე, ღმერთო ერთო, რომელსა გიხმობენ მუდღომსა ხოლოდო,
შენ შეჰქენ ყოელი იძვრისი, გაჰხადე ასათრთოლადო,
რაზომცა მიეც სიდიდე, არვის გაჰყვების ბოლოდო,
და ვინცა უარგყო, ეშმაკმა გაჰხადა ჩასაქოლადო.

ბრძენთა და ფილასოფოსთა ღმრთად გიცნეს მეტად დიდებით,
გაქებენ ხბითა ტკბილითა, დგან მოწიწებით, რიდებით;
ანგელოზთანა ერთობენ ეშმაკთა გარდაკიდებით,
და სიმართლით გზასა მიდიან, ამაღ შეიქნენ მშვიდებით.

მოციქულთ პირი სიმართლით მოიწყეს მბობად ამისად,
სამებით იცნეს უფალი, მიმართეს თვალის წამისად,
ჯოჯოხეთს იწყეს რიდება, არ გახდენ ჩასანთქამისად,
და სამოთხე მიხვდათ სამყობი, ნათობენ დღე და ღამისად.

გიძრწის და გმონებს ყოველი ხელით შექნილნი შენანი,
ცა, მიწა, ზღვა და ნიანგი, წამის ხანს უწყევ შენანი,
საკურველობით მორთულო, შენგან გვაც დია შენანი,
და ვინცა უარგყო, მიეცეს მას გაუწყვეტლად შენანი.

ნუ მექვ, რომ ვიყო მე ჩემთა სიბრძნისა იმედულად,
ანუ ვთქვა, უღთოდ ვიქ რასმე, რომ თვით არ იყოს რეულად;
გულშინ მოსულვარ ამ სოფელს ერთი ღარიბი ეულად,
და დღეს გავლით კრემლით მტირალი საყელო გარდახეულად.

ვთქვა, რადგან, ღმერთო, გულის-თქმა ჩვენი არ დაგემალების, აწიოთ ეწვი გვაქვს მაწიოთა, სჭვირს ღაწენი ფერად ღაღების, გვახარებს, გვაღბენს წვეწება ჩვენ მათი ჯავარ-წყალების, და ჩვენ რომ შენგან გვჭირს წყალობა, შენ ჩვენგან რა გეკალების?

ქ. სამებით სრულსა და განუყოფელსა, რომელმან შექმნა ყოველნივე სულნი და უხილავნი ხელმწიფებითა ძლიერებისა თვისისათა, რომელმან ყოველნივე არარაღან არსებად ზიიყვანა და ჰმართებს და განაგებს ყოველთავე წამის ყოფითა თვისითა, რომელსა შიშით ჰმსაქურებენ უსხეულოთა იგი წესთა მთავრობანი და დაიფარენ ფრთებითა პირთა მათთა, და განცუდად ღიღებისა მისისა ვერ შემძლებელ არიან, არამედ ღაღადებდეს შოყვისი მოყვისისა მიმართ და იტყვის, ვითარმედ: «წმინდა არს. წმინდა არს, წმინდა არს უფალი საბაოთ!» ხოლო ოდეს ითქვას სამგზის «წმინდა[არსი]», ჩანს ქეშმარიტად, რომელ სამება იღიდების განცხადებულად. ხოლო ჩვენცა მიწიერნი ესე მიძგავსებულობდეთ ზეცისათა მათ და რაოდენ შეგვანდეს მიწიერსა და მოკვდავსა ამას და სიზმრებრ წარმავალსა და აჩრდილებრ განქარებებადსა არსებათა ჩვენსა, ჩვენცა მათთანვე ვიტყოდით: «ღიღება მამასა, ღიღება ძესა და ღიღება სულსა ყოველად წმინდასა, ერთსა ღმერთსა განუყოფელსა და განუწვალებელსა, რომელსა ჰშვენის ყოველი ღიღება, პატივი და თაყვანისცემა ნაინისა და ძისა და წმინდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!»

ქ. წესაუწყოდით, უფალნო ჩემნო, რომელ ეამსა ოდეს ამ ვეფქის-ტყაოსანსა ვსწერდი მე, აღწურანთ ბაღდასარას-შვილმა იუშრიბი გასპარამა. მაწინ ღმერთმან წყალობა მიყო და დაიბადა ჩემი ყმაწვილი დავით, ენკენისთვის კვ ქკს ტწთ, შაბათს, კვირა ძალს, და მაწინვე აღეთქვი მისთვის ეს ვეფხესტყაოსანი. აწე ამას გეწვეწები და გეაჯები ყოველს ამ წიგნის წამკითხავსა, ვინ გინდა იყვნეთ ადამის ნათესავი, ჩემს შვილს ნურვინ გამოართოძთ ამ წიგნსა, ჩემი იედგარი არს.

ქ. წენ, ძეო ღმერთისაო, პირველ საუკუნეთა. მამისაგან შობილო, ერთო საბებისაგანო ქეშმარიტო ღმერთო. მამისაგან გამოსრულო ემნაოილო, ღმერთო და კაცო, რომელი ახაასრულსა ეამთასა განზრახვითა მამისათა და ნებითა სულისა ცხოველისათა გარდაზოჰედ ზეცით ქევეყანად და თბე შემოსილ იქენ: იწვე ქალწულისა მარიამისაგან, და ყოველი წესი კაცობრივი დასარულე, თვინიერ სოლო ცოდვისა, გარნა ყოველივე ცოდვათა ჩემთა ახოცისათვის გვარს იცე, დანფად და აღსდეგ მესამესა დღესა და ამჟღადი ზეცად, და დასჯდ წარჯვენიტ ღმერთისა და კე[ა]ლად მონაგაღ ხარ განსქუად ცხოველთა და მკვდართა. წენ უკვე, მეუფეო, ყოველად ძლიერო იესო ქრისტე, მფარველ გენენ ორავე შინა ცხორებასა ძესა ჩემსა დავითს და კეთილად განაგე ყოველი ცხორება მისი. და წარმატებულ-ყავ ყოველთა შორის მკლავეთს მისთა, და ნუ ოდეს განაზორებ ცხორებასა შინა მისსა ფარგასა შენსა და ძლიერებასა პატიოსნისა გვარისა წენისასა, და დღე და ღამე სტევედ და მფარველ, ჰმართებდ და განაგებდ, ნუგემინის-ეც და ხელი აღუყარ და განმსქვალე წინა წინა წენსა და შემუსრენ ყოველნი მავნი და წინაღმუდგომნი მისნი, და სვე სრულ ყავ და ეტლ-კეთილ და სამოთხისა. მკვიდრად გამოაჩინე და სახელი მისი აღწერილ ყავ წიგნსა მას ცხოველთასა! რამეთუ შენდა შვენის ყოველი ღიღება, პატივი და თაყვანისცემა მამისა და ძისა და წმინდისა.

სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ და კრიაილესონ. ეს წიგნი არის რვეული ლდ და ფურცელი სო.

H-757 ხელნაწერის გადაწერილი ცნობილი კალიგრაფი იყო XVII საუკუნეში. ვეფხისტყაოსნის ტექსტი მას, ეტყობა, აწერითი გადაუწერია. ასე მაგ., *H-757*-ზე ადრე მას გადაუწერია *Q-779* ხელნაწერი. ამას გარდა, მასვე გადაუწერია „ამირანდარეჯანიანი“ (დაცულია სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, იონან ბატონი-შვილის კოლექცია, № 29), რომელიც ერთ-ერთ სრულ და კარგ ხელნაწერად ითვლება. მანვე გადაწერა „ვისრამიანია“ უაველესი ნუსხა (*S-27*)¹.

ვეფხისტყაოსნის ნაწილი გადაწერილი ყოფილა უკვე 1671 წ. სექტემბერში. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ გარემოებას, რომ გადაწერილი ჩქარი მწერალი იყო (დღემო „ამირანდარეჯანიანის“ ერთ რვეულს წერდა, ვეფხისტყაოსნის ნუსხა 24 რვეულს შეიცავს), 1671 წლის დასასრულს პოემის გადაწერა დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს. ამრიგად, ჩვენს ხელნაწერს, ვეფხისტყაოსნის ცნობილ თარიღთან ხელნაწერთა შორის, მეორე ადგილი უჭირავს.

ვეფხისტყაოსნის *H-757* ხელნაწერი (ქვემოთ ყველგან *A* ლიტერით იქნება აღნიშნული) შეიცავს 2129 სტროფს, აქედან სამი სტროფი (887, 1866 და 1867) ორჯერ არის შეტანილი².

აღნიშნული სამი სტროფიდან 887-ე სტრ. *A* ხელნაწერში პირველად მოთავსებულია 1845-ის ეპოქებით, მეორედ კი 1886-ის შემდეგ.

ამ სტროფს (887-ე) ალექსანდრე პუშკინის საკითხს ძველადვე აზრთა სხვადასხვაობა განუწყვეტია. XVII საუკ. ზოგ ხელნაწერში ის 845-ის შემდგენა მოთავსებული.

აქვე კი ორივე ადგილას არის დატოვებული ისე, როგორც *A* ხელნაწერს. იტყვიან, რომ 887-ე სტრ. არ წარმოადგენს 845-ე და 846-ე სტროფების ორჯერულად შეპაერთებელ ნაწილს. მომდევნო სტროფებით ის უფრო დაკავშირებულია მძნ-ე სტროფთან. ამიტომ ვეფხისტყაოსნის წინამდებარე გამოცემაში აღნიშნული სტროფი დაეტოვეთ მძნ-ის შემდეგ, ხოლო—845-ესთან სქოლიოში: მოვათავსეთ.

1866-ე და 1867-ე სტროფები პირველად მოთავსებულია ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილის აღწერის დასასრულს, მეორედ კი აფთან-

¹ აღ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, 1945, გვ. 374—375.

² ვეფხისტყაოსნის საიუბილეო (1937 წ.) გამოცემათან შეპირისპირებით *A* ხელნაწერში 460 სტროფი ზედმეტია, ხოლო 3 სტროფი (1651, 1652, 1653) აკლია.

ს. იორდანიშვილის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის ჩანართი და დანართი“ ტექსტი შეიცავს—665 სტროფს, მაგრამ ამ რიცხვში ისეთი სტროფებიცაა შესული, რომლებიც საიუბილეო გამოცემაშიც მოიპოვება. ესენია:

საიუბ. 723, 793—793, 1637—1640, 1647, 1649, 1650.

ჩან. 210, 221—224, 304—307, 308, 309, 310.

საიუბ. 1655, 1656, 1658, 1659, 1660—1669.

ჩან. 312, 313, 314, 315, 316—325.

სულ 26 სტროფი (საიუბილეო გამოცემის სამი სტროფი 1664, 1667 და 1669 „ჩანართ-დანართში“ ორჯერ არის დაბეჭდილი.

ამას გარდა 8 სტროფი „ჩანართ-დანართში“ ორჯერაა გამოვრებული (548—554, შდრ. 611—617; 504 შდრ. 661). ასე რომ, დაბეჭდილი „ჩანართი და დანართი“ სტროფებიდან საიუბილეო გამოცემაში არ შესულა 625 სტროფი. ამ სტროფებიდან *A* ხელნაწერში არ არის 165 სტროფი.

ლილისაგან და ფრიდონისაგან წასვლა და ხვარაზმელთა ომის* აღწერის ბოლოს (2024-ე სტრ. შემდეგ). უკანასკნელი ადგილიდან ეს სტროფები სკოლიოში ჩაეიტანეთ, რადგანაც, ისინი იქ, ორგანულ კავშირში არ იმყოფებიან სხვა სტროფებთან.

А ხელნაწერში ზოგ სტროფს აშიაზე სხვა ხელით მიწერილი აქვს. „ნა“. 255-ე ფურცელზე (2030-ე სტროფიდან) კი აღნიშნულია: „მას ქვევ[ი]თაც სულ ნანუჩასი არს და შოთასიც ცოტა რამ“¹. ნანუჩა უნდა იყოს ნანუჩა ციციშვილი, XVII საუკუნის პოეტი, რომელსაც არჩილის ცნობით „რუსთელის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია, საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღერევია“². აი ამ ნანუჩას კუთვნილებად არის გამოცხადებული. А ხელნაწერში შემდეგი სტროფები: 9, 14, 18, 21, 23, 30, 33, 37, 42, 43, 46, 50, 53, 57, 60, 61, 69, 73, 81, 83, 86, 88, 89, 91, 93, 94, 97, 100, 104, 109, 111, 113, 115, 117, 120, 123, 124, 125, 127, 131, 134, 136, 138, 140, 142, 144, 146, 153, 158, 162, 165—167, 169—171, 177, 179, 184, 189, 191, 200, 202, 208, 217, 219, 225, 227, 230, 233, 247, 250, 251, 254, 255, 257, 272. 275—277, 286, 289, 292, 301, 302, 306, 316, 321, 325, 331, 344—347, 349, 356, 360—362, 377, 403, 404, 408, 419, 422—433, 437, 439 450, 456, 458—461, 464, 467, 470, 484, 486, 488, 498, 506, 507, 509, 520, 540, 542, 551—553, 559, 570, 571, 575, 645, 654, 661, 693, 699. 705, 715, 729, 731, 732, 744, 746, 795, 808, 811, 815, 841, 857, 869, 870, 873, 880, 882, 888, 889, 926, 946, 948, 959, 976, 977, 983, 988, 998, 1033, 1034, 1048, 1049, 1118, 1139, 1207, 1301, 1465, 1497, 1526, 1532, 1540, 1542, 1584, 1598, 1612, 1613, 1711, 1748—1750, 1780,—1841, 1846—1851, 1853, 1859, 1866, 1868—2024, 2030—2120, 2123 და 2126.

არ ჩანს, თუ რა უდევს საფუძვლად აღნიშნული სტროფების ხელნაწერიდან გამოყოფას³. მიუხედავად ამისა, ეს გარემოება მაინც საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი. შენიშვნის ავტორი ან თავისი შეხედულების მიხედვით

¹ ასეთი განცხადების შემდეგ კლასიფიკატორს საჭიროდ აღარ დაუნახავს სათითაოდ მიეწერა სტროფებისათვის „ნანუჩა“. მას მხოლოდ რუსთაველის სტროფები გამოუყვია წარწერით—შოთა. ეს სტროფებია: 2121-ე, 2122-ე, 2124-ე და 2125-ე. 2123-ე სტროფისათვის, რაკი იგი შოთას ტექსტებს შორის აღმოჩენილა, მიუწერია „ნანუჩა“. შემდეგში ვილაცას პოემის სტროფებიდან ზოგი გამოუყვია აშიაზე მელნით ხაზგასმული ნიშნით, ასეთია შემდეგი სტროფები: 1889, 1907—1909, 2031, 2041, 2045, 2047, 2064, 2065, 2070, 2073, 2679—2082, 2085, 2088—2090, 2098, 2102, 2111, 2112, 2116, 2117.

ფანქრით ხაზგასმული ნიშნით გამოყოფილია შემდეგი სტროფები: 1869, 1871—1875, 1882, 1886, 1887, 1889, 1897, 1901, 1902, 1907—1909, 1912, 1915—1919, 1921—1930, 1934—1945, 1947, 1949, 1951, 1952, 1958, 1959, 1964.

² ა რ ი ც ი ა ნ ი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1937, გვ. 3.

³ შესაძლებელია გვეფიქრა, რომ ხელნაწერი ვახტანგისეულ გამოცემას იქნა შედარებული და შემდარებელმა ზედნეტი სტროფები ნანუჩას კუთვნილებად აღიარა. მაგრამ ასეთი მოსახრება სწორი არ იქნება. ხელნაწერში მოიპოვება 14 სტროფი, რომლებიც არაა ვახტანგის გამოცემაში და არც ნანუჩას კუთვნილებად არის მითვლილი. ესენია: 74, 106, 197, 399, 503, 629, 736, 934, 935, 1198, 1512, 1700, 1726, და 1790 (221-ე სტროფს შემდეგ. აქვს ფანქრით, სხვა ხელით, მიწერილი). ამას გარდა ხელნაწერში მოიპოვება ერთი სტროფი (1207-ე), რომელიც ვახტანგის გამოცემაშიც არის, ხოლო ხელნაწერში ნანუჩას კუთვნილებადაა მიჩნეული.

ყოფს ჩანართ სტროფებს ძირითადი ტექსტიდან, რაც ნაკლებ დასაჯერებელია. ანდა პოემის რომელიღაც წერილობით წყაროს ემყარება¹.

А ხელნაწერი მჭიდრო კავშირში იმყოფება H-54 ხელნაწერთან: მათ შორის სტროფების განლაგება ერთნაირია. А ხელნაწერს დართული აქვს გადამწერის ანდერძი, რომლის ერთი ნაწილი ლექსად არის შედგენილი, მეორე ნაწილი კი პროზაულია, ასეა H-54 ხელნაწერშიც. H-54 ხელნაწერის პროზაული ნაწილის დასაწყისი იკითხება ასე: «სამებით სრულსა და განუყოფელსა, რომელმან შექმნა ყოველივე სულნი და უხილავნი ხელმწიფებითა ძლიერებისა თვისისათა, რომელმან ყოველივე არარასაგან არსებად მოიყვანა, და მართებს და განაგებს ყოველთავე წამის ყოფითა თვისითა, როგორცა შიშით მსახურებენ უსხეულოთა იგი წესთა მთავრობანი და დათვარევენ ფრთებითა პირთა მათთათა, და განცედად დიდებისა მისისა ვერ შემძღვებულ არიან, არამედ ლალადებს მოყვისსა მიმართ და იტყვის, ვითარმედ: «წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს უფალი საბაოთ». ხოლო ოდეს ითქვას სამგზის «წმინდა-არსი», ჩანს ქეშმარიტად, რომე სამება იდიდების განცხადებულად. ხოლო ჩვენცა მიწიერნი ესე მიმსგავსებულობდეთ ზეცისათა მათ და რაოდენ შეგუანდის მიწიერსა და მოკვდავსა აზას და სიზმრებრ წარმავალსა და აჩრდილებ განქარებებადსა არსებასა ჩუენსა, ჩუენცა მათ თანავე ვიტყუოდით: დიდება ზამასა, დიდება ძესა და დიდება სულსა ყოვლად წმინდასა, ერთს ღმრთიებასა განუყოფელსა და განუწვალუბელსა, რომელსა შვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანის-ცემა, მამისა, ძისა და წმინდისა სულისა, აჲ და მარადის უუწიითი უუწინისამდის ამინ, ამინ» (ფ. 260r). ეს ტექსტი გამეორებულია А ხელნაწერშიც. А ტექსტში შემდეგ მოთხრობილია საკუთრივ ხელნაწერის ისტორია, H-54 ხელნაწერშიც გადმოცემულია ხელნაწერის ისტორია. H-54 ხელნაწერი გადაწერილია მეფე გიორგი XI შეკვეთით, იგი გადამწერს შექმებული ყავს თავის ანდერძში, А ხელნაწერი, რაკი არავის შეკვეთით არ არის გადაწერილი, აქებს ღეთაებას.

ანდერძის ბოლო ნაწილი H-54 ხელნაწერში იკითხება ასე: «შენ, ძეო ღმრთისაო, ჳირველ საუკუნეთა მამისაგან შობილო, ერთო სამებისაგანო ქეშმარიტო ღმერთო, მამისაგან გამოსულო, ემმანოილ, ღმერთო და კაცო, რომელი აღსასრულსა ეამთასა განზრახვითა მამისათა და ნებითა სულისა ცხოვლისათა გარდამოხედ ზეცითა ქეყყანად და თბე შემოსილ იქმენ, იშვე ქალწულის მარიამისაგან, და ყოველი წესი კაცობრივი აღასრულე, თვინიერ ხოლო ცოდვისა, გარნა ყოველივე ცოდვათა ჩვენთა ახოცისათვის ჯვარს ეცვი და დაეთვალ, და აღდეგ შესამესა დღესა და ამალდი ზეცად და დასჯედ მარჯვენით ღმთისა და კვალად მომავალ ხარ განსჯად ცხოვლთა და მკვდართა. შენ უკვე მეუფეო, ყოვლად ძლიერო იესო ქრისტე, მფარველ ექმენ ორსავე შინა ცხოვრებასა ხელმწიფეს მეფეს პატრონს გიორგის, კეთილად განაგე ყოველი ცხოვრება მისი და წარმატებულ-ყავ ყოვლთა შორის მოასაკეთა მისთა, და ნუ ოდეს განაშორებ ცხოვრებასა შინა მისსა ფარვასა შენსა და ძლიერ-

¹ ევთხისტყაოსნის ხელნაწერების შესწავლიდან ირკვევა, რომ პოემის ჩანართი სტროფების ავტორები უმეტეს წილად გადამწერლები ანდა შემკვეთლები ყოფილან. ზოგი ჩანართი სტროფი ისე მოხერხებულად არის პოემაში მოხვედრილი, რომ ძნელი ხდება მისი გამორჩევა ძირითადი ტექსტიდან; ზოგი კი ძალზე მდარეა და მისი უადგილო ადგილას მოხვედრა აშკარად ჩანს.

ბასა პატიოსნისა ჯვარისა შენისასა, დღე და ღამე სცევ და ჭჳარევი, კმართებად, განგებად და ნუგეშ[ინის]-ეცდე, ხელი აღუჰყარ და განმს-ქ[ე]ალე შიშსა შინა შენსა, [ღა] შემუსრენ ყოელი მავნი და წინააღმდგომნი მისნი და სვე-სრულ ჰყავ და ეტლ-კეთილ, და სამოთხის მკვიდრად გამოაჩინე და სახელი მისი აღწერილ ყავ წიგნსა მას ცხოველთასა, რამეთუ შენდა შეენის ყოველი დიდება; პატივი და თაყვანის-ცემა მამისა, ძისა და წმინდისა სულისა, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე, ამინ, ამინ, აზინ⁴ (ფ. 261r).

ეს ტექსტი გამეორებულია *A* ხელნაწერის ანდერძის ბოლო ნაწილში, ოღონდ *H-54* ხელნაწერის წაკითხვა: „მთარველ ექმენ ორთავე შინა ცხოვრებასა ხელმწიფეს მეფეს პატრონს გიორგის“ გადაკეთებულია შემდეგნაირად: „მთარველ ექმენ ორთავე შინა ცხოვრებასა ძესა ჩემსა“.

H-54 ხელნაწერი გადაწერილია 1680 წელს. ამიტომ მოსალოდნელი იყო *H-54* ხელნაწერის დედნად *A* ხელნაწერი მიგვეჩნია, მაგრამ ამის საშუალებას არ იძლევა ხელნაწერთა სტროფული შემადგენლობა: *A* ხელნაწერში არის 63 სტროფი, რომლებიც არ მოიპოვება *H-54* ხელნაწერში¹. ეს სტროფებია: 6—13, 179, 250, 275, 276, 654, 661, 705, 715, 731, 732, 744, 746, 808, 841, 869, 870, 926, 959, 998, 1048, 1049, 1301, 1542, 1612, 1613, 1748—1750, 2079—2105. *H-54* ხელნაწერი რომ *A* ხელნაწერიდან იყოს გად-მოწერილი, მაშინ აღნიშნული სტროფები მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მოხვდებოდა *H-54* ხელნაწერში.

ეს ორი ხელნაწერი უნდა მომდინარეობდეს ერთი საერთო დედნიდან, რომელშიაც სამი სტროფი (887, 1866 და 1867) ორჯერ ყოფილა შეტანილი იმ სახით, როგორც *A* და *H-54* ხელნაწერებშია.

A ხელნაწერის გადამწერი იცნობს *Q-1082* ხელნაწერსაც, რომლიდანაც ზოგი სტროფი შეუტანია თავის ხელნაწერში, ამას გარდა გამოყენებული აქვს *Q-1082* ხელნაწერის ანდერძი. ასე მაგ., *A* ხელნაწერის გადამწერის ანდერძის დასაწყისი (იხ. გვ. 05) ორი სტროფი და *Q-1082*-ის ანდერძის პირველი ორი სტროფი (იხ. ფ. 181r) ერთი და იგივეა, ეს სტროფებია:

სურდა აჰ წიგნის პატრონსა მეც ხელეჰყავ ესე წერთა,
ხელნი დამიშრო კალამ[მ]ან, თვალნი გაშტერდეს მზერითა;
ხელსა მკითხველი შეატყობს, სიმართლით სხვა სჯობს ვერთა,
და აწ გაგიჩნდების, მხატვარო, შემკობა შესაფერთა.

მწერლებს ვჰკადრებ, მამისმინონ, რომ არ იყვენ ჩემზე ზრახვით,
ან დაწერონ უკეთესი, ანუ ამის რამე სახვით,
სიმართლეს და სიტყვის წყობას ვინ მიხვდების ერთის ნახვით?
ჰკითხველნი და მ[ა]რთლად მსმენნი არ არიან სევდა ახვით.

ამას *Q-1082* ხელნაწერში მიყვება გადამწერის მიმართვა მეცენატისადმი, რომლას შეკვეთითაც იქნა გადაწერილი აღნიშნული ნუახა. *A* ხელნაწერის

¹ *H-54* ხელნაწერი გადაწერილია კარგი კალიგრაფიული ხელით, ტექსტის არეებიც მხატვრულად არის გაფორმებული. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი ანუხაუბს ამ ხელნაწერის ფოტოპირის გამოცემას.

აღიარებენ: შვირსა: ანა რეს: გერმანს: ზი	56	ს
რქმობ: ჯე სსა: სუაგოსსა: საროსსა: და: ლაღოს: ტი	56	ს
ვერს: ვერ ვრუგებთ: ვერს: სენამ: მის: ველმწიფოსსა: შხი	56	ს
ქს: რს: სურის: მამა სსა: სულ: დიდსა: წასულს: ვერ	56	ს
რს: სურის: მამა სსა: ომპიგან: პირთსა: მხმეჭე	70	ს
შვირვერს: შვირებულსა: და: სიკვდილისა: მეჭე	70	ს
ჯე ვი: ვებანთ: რთს: სეგო: მს: ღის: სსა: ასოდისა: მხეჭე	70	ს
ქს: სეგო: მს: სხვდლისა: მსუგესა: ყოველსა: შო: სხსუგე	70	ს
ვერს: დიჭირს: სიკვდილსა: გმს: ვეწირ: ვერს: ეს: ჯე	70	ჭ
მისგან: მსწორდის: ყოველნი: სისეს: და: მალ: ვულ	70	ჭ
ბოლო: დ: შვირბის: მიწმან: ვრთიგან: შვიგე: და: მვე	70	ჭ
ქს: სეგო: მს: სი: ს: სლოის: ნმარმსსა: სიკვდილი: სხვდლო: ს	70	ჭ
მერსე: ვშიმე: მვერს: თქვერს: ჯარებდ: ამ	70	დ
ს: სთებდ: და: ს: სთებდ: სიკვდილსა: ვნარ: მწოდს: წამ	70	დ
მო: ვ: შვირბის: ყველთსა: ვრთის: დოდს: და: ღამ	70	დ
ქს: თვე: ვერს: ვნახე: ს: სმან: სი: ს: სხე: ვქე: ნეს: ვამ	70	დ

გადამწერს კი, რაკი შეეკეთით არ გადაუწერია თავისი ტექსტი, მეცნატის ქების ნაწილი ამოუღია და იმის ნაცვლად ღვთისადმი ქება-დიდება ჩაურთავს.

A და H-54 ხელნაწერებთან შედარებით Q-1082 შემოკლებულ რედაქციას შეიცავს, სადაც სტროფების განლაგება ზოგ ადგილას თავისებურია და ენობრივდაც, შედარებით, გამართულ რედაქციას წარმოადგენს¹.

Q-1082 ხელნაწერს² წინ უნდა უსწრებდეს H-1074 ხელნაწერი, რომელიც, როგორც მოცულობით, ისე ენობრივდაც ახლო დგას H-757 და H-54 ხელნაწერებთან³.

როგორც აღვნიშნეთ, წინამდებარე გამოკემის მიზანია დაინტერესებულ პირთ გააცნოს ვეფხისტყაოსანის ჩანართ-დანართი ტექსტებით, იგი ამავე დროს უნდა გამოდგეს რუსთველოლოგების სამუშაო წიგნად. ყოველივე ამის გამო A ხელნაწერის ტექსტში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არაერთი შესწორება არ შეგვიტანია. ამითაა გამოწვეული, ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ფორმით რომ არის დაბეჭდილი, მაგ. ბროლ-ბადახში—ბროლ-ბალახში, ამბავი—ანბავი, ქნა—ქნა და სხვ. გაეასწორეთ მხოლოდ გადამწერის უნებლიე შეცდომები. A ხელნაწერის ასეთი შეცდომები გასწორებულია საკონტროლოდ გამოყენებული ხელნაწერების მიხედვით, სქოლიოში კი ნაჩვენებია თითოეულ A-ს ქვაკითხვები. ძირითადი ტექსტის დანაკლისი სიტყვები და ასოები ჩასმული გვაქვს სწორკუთხიან ბრჩილებში.

აღრეულად არის ხელნაწერში ჯ დ ხ ხმარების წესი, ამათგან გამოცემაში დატოვებთ ხ-ანი. უკუგდებულია ხელნაწერის უმარცვლო უ-ნები მ-ანის წინ ისეთ ფორმებში, როგორიცაა: სუმა, სულთქუმა, სარკუმელი, ჩასაკუმელი, გურ-

¹ ხელნაწერს (Q-1082) აკლია შემდეგი სტროფები: 3, 14, 18, 21, 23, 25—28, 33, 39—42, 53, 61, 69, 78—91, 94, 97, 100, 104, 106, 109, 111, 113, 115, 117, 120, 123, 125, 127, 131, 134, 136, 138, 140, 142, 144, 146, 153, 170—240, 224, 250, 273—294, 315—415, 425—433, 484, 486, 488, 492—502, 552, 553, 559, 645, 654, 661, 705, 715, 731, 732, 744, 746, 808, 841, 869, 870, 926, 959, 990—1000, 1048, 1049, 1301, 1542, 1612; 1613, 1748—1750, 1801, 1859, 1919, 2108, სულ 307 სტროფი. ამ სტროფებიდან ზოგს, ფურცლების დაკარგვის გამო, არ მოუღწევია.

ამ ხელნაწერში ზოგ სტროფს აშიაზე მიწერილი აქვს ტექსტის ხელით ასო ნ, ესენია: 456, 460, 461, 462, 464, 470, 540, 542, 575, 811, 857, 888, 1033, 1034, 1497, 1526, 1532, 1540, 1886, 1940, 1987 სტრ. აღნიშნული სტროფები გადამწერს ალბათ ნანუჩას კუთვნილებად მიაჩნია. 4 სტროფი კი იქვს თბილელისად არის აღიარებული: 511¹, 1139¹, 1268¹, 1465. ამ სტროფებს მიწერილი აქვს ტ., ტფი. ზოგი მათგანი ტექსტის ხელითაა შესრულებული (ამ ხელნაწერში იოსებ თბილელს მიეწერება აგრეთვე ანდერძები: ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, სტრ. 2063¹⁻³, ავთანდილისა, სტრ. 2079—2105). ვილასას-ნიშნით გამოუყვია შემდეგი სტროფები: 1194, 1199, 1234, 1842—1845, 1852, 2121, 2122, 2124, 2125, 2126; ჩ ასოთი—1532 და 1820 სტრ.

² გადაწერილია XVII საუკ. სამოციან წლებში, დაახლოებით 1661—1664 წლებში (იხ. გ. ლეონიძე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, გვ. 321).

³ A ხელნაწერთან შეპირისპირებით H-2074 ხელნაწერს აკლია 111 სტროფი, ესენია: 42, 76, 77, 78, 79, 100—107, 179, 221, 225, 227, 250, 275, 276, 419, 422—433, 436, 437, 484, 486, 488, 498, 552, 553, 559, 654, 661, 705, 715, 731, 732, 744, 746, 808, 841, 869, 870, 926, 959, 998, 1048, 1049, 1301, 1542, 1612, 1613, 1746—1756, 1773—1780, 1991, 1992, 2079—2105. ამას გარდა ხელნაწერში შემდეგ არის ფურცლები ჩაყრებული, რომლებზედაც მოთვსებულია შემდეგი სტროფები: 482—503, 544—558, 608—623, 674—689.

ამ ხელნაწერში ჩანართად გამოცემულია შემდეგი სტროფები, რომლებსაც გვერდებზე მიწერილი აქვს ტექსტის ხელით თ—18, 20, 21, 23, 34, 37, 43, 46, 50, 53, 57, 81, 83, 120, 2024***, 2050—2052, 2070—2078, 2107.

დებლი, ვასავუპირი და სხვ. უმარცვლო უ-ნი სხვა შემთხვევაში ყველგან ე-ინად არის დაბეჭდილი. ამას გარდა, ხელნაწერის წაყითხვები „ვაი“ და „ჰაი ჰაი“ ყველგან დაბეჭდილია „ვა“ და „ჰაი“ ფორმებით. სიტყვები „ღმერთი“, „ღმერთისა-ხელნაწერში ზოგჯერ ქარაგმითაა დაწერილი. ზოგჯერ ისინი დაქარაგმებულია, მაგრამ ქარაგმის ნიშანი არ უზის. გამოცემაში ქარაგმა ყველა შემთხვევაში გახსნილია. პოემის A ხელნაწერის სათაური ძირითად ტექსტში შეცვლილია ისეთი წაყითხვით, რომელსაც მხარს უჭერს XVII—XVIII საუკ. ეკლესიისტყაოსნის თითქმის ყველა ხელნაწერი.

ძირითადი ტექსტის სქოლიოებში დაბეჭდილია ის სტროფები, რომლებიც A ხელნაწერში არ მოიპოვება და ამოკრებილია პოემის სხვადასხვა ხელნაწერიდან. ეს დანართ-ჩანართი სტროფები იბეჭდება უძველესად მიჩნეული ხელნაწერების მიხედვით (იხ. შენიშვნები). დაზიანებული ტექსტები აღდგენილია სხვა ხელნაწერთა და აგრეთვე გამოცემათა დახმარებით.

ეკლესიისტყაოსნის წინამდებარე გამოცემა შეიცავს როგორც შოთა რუსთაველის ტექსტს, ისე დიდი რაოდენობით გამგრძელელების ჩანართებსა და დანართებს. ამიტონაც მოვერიდეთ პოემა გამოგვექვეყნებინა შოთა რუსთაველის სახელით.

განოცენას დაფურთთ პოემის სტროფული შემადგენლობის საძიებელი ნებირაპირებული იმ ბეჭდურ გამოცემებთან, რომლებიც საყურადღებოა ეკლესიისტყაოსნის მოკულობის თვალსაზრისით¹.

განოცენამდ ნონადაბული პოემის ტექსტი დედანს შეუდარეს გ. იმედავილმა და თ. კუნიამ. საკონტროლო სამუშაოების შესრულებაში დახმარებას მიწვედნენ რ. ბარამიძე და ს. ცაიშვილი.

ეკლესიისტყაოსნის წინამდებარე გამოცემას უნდა დართვოდა პოემის ხელნაწერთა სტროფული შემადგენლობის საძიებელი და ხელნაწერთა მოკლე აღწერილობანი, მაგრამ მათი აქ დაბეჭდვა ვერ მოხერხდა. აღნიშნული ნაშრომი ცალკე წიგნად იქნება გამოცემული.

სოლ. ხუბანეიშვილი

¹ გარდასახული ეკლესიისტყაოსნის 1712 წ. გამოცემის სტროფების ნუმერაცია ნაჩვენებია აქვე წინადადებაში აღდგენილი გამოცემის (1937) მიხედვით.

11 ამა ამბებისა დასაწყისი პირველი ამო და სასმენელად
შენიერი სწავლისათვის მოძარიეთასა. ტარიელს და
ნესტან-დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ¹

1

პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,
უსმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს ხორც არ სრულად,
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად,
და თუ უეურა მონაზონმან შეიქნების გაპარსულად.

2

რომელმან შექმნა სამეარო ძალითა მით ძლიერთა,
ზეგარდმით არსნი სულითა ევნა ზეცით მონაბერთა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეუნა, გვაქვს უთვალავი ფერთა,
და მისგან არს ეოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერთა.

3

11 ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სასე ეოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად² შე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე გასატანისა,
და ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა.

21

შენ შექმენ დავით ძალი თვით მეფე დავითიანად,
გონება დიდად მოწყალე, მართ ერთობ გულმოწყლიანად,
მნათობი უოვლთა მხედველთა, უთა მთა სანათიანად,
და უმისოდ მზეყა ვერ ნათობს, ვერც ლომი არს ნაკეთიანად³.

22

გვირგვინი, ტახტი, პორფირი ღმრთისგან⁴ გვაქვს, სკიპტრა⁵ პირველი,
ურდგულთა დიდად მოწყალე, ორგულთა რისხვით მპირველი,
შენდა სამონოდ მეფენი მოვლენ სხვაგანისა მირველი,
და ხამს, თუმცა პაპი პრომისა, რომ შენთვის იყოს მპირველი.

1 ქ. დასაწყისი პირველი. ამბავი სპარსული რუსთველისაგან ქართლად ნაიარგმანეხო, რომელსა ვეფხისტყაოსნად უხმობენ. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის მიჯნურობა. კარი პირველი. ვეფხისტყაოსნის იეს'რ [გვანასკნელი] სიტყვა კარგად არ აქაიხება. 2 დათრგუნვად. 3 ნაკეთიანად. 4 ღმრთისგან. 5 სკიპარაბა.

4

კას შეენის,—ლომსა,—სმარება მუბისა, ფარ-შიმშერისა,
მეფისა მზის თამარისა, ღაწუ-ბალახმ, თმა-გიშერისა,—
მას, არა ვიცი, შევკადრო შესსმა სოტბისა¹, შე, რისა,
და ვისთა მკვრეტელთა უან[ღ]ისა მირთმა სამს მართ, მი, შერისა.

5

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათსეული,
ვჰოქვენით ქებანი ვისნი მე არ-ავად გამოჩეული.
მელნად ვინმარე გიშრის ტბა [ღა] კალმად მინა რხეული,
და ვინცა ისმინოს, დაესვას ლასვარი გულსა სეული.

6

მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბალახისა თლილისა, მის მიჯრით მიწუობილისა.
და განტესს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტუვიისა² ღბილისა.

7

2r აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და სელოვანება,—
ბალი მომეც და შეწეუნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება;
მით შევეწინეთ ტარიელს, ტურფადაც უნდა ხსენება,
და მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერომანერთის მონება.

8

მო, დაესდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუმრობილი;
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ეოფილა შობილი!
დავჯე, რუსიველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლასვარ-სობილი,
და აქაშდის ამბუად ნათქვამი, აწ მარგალიტი წუობილი.

9

ტარიელს კარგსა მოყმესა, მკლავ-მაგარსა ძალიანსა,
პირად ვარღსა, ტან-საროსა, გული მისი რკინიანსა,
უხვს, უშურველსა-გამცემსა, ტკბილ-საუბარსა წელიანსა,
და მით ქება ნესტან-დარეჯანს რათ ეთქმის პირად შხიანსა.

71

შენ გვედრები, მაღალო, მცნობელო გულის ხმათაო,
მომეც ძალი და შეწეუნა, უფალო უფლებათაო;
ჩვენ ქება გვინდა მათ გმირთა, მათ ფურად კადრებათაო,
და ბირველად ტარიელისა და მერმე მისთა ძმათაო.

1 სოტბისა, 2 გრდემლი ტუვისა.

10

მე, რუსთველი, სელობიოა ვიქმ საქმესა ამა დარი:
 ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვსელობ, მისთვის მკვდარი;
 დაუვძღურდი, მიჯანურთათვის კვლავ წამალი არსით არი,
 და ანუ მოგცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

11

21 ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
 ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-სეულ საგომანები,
 ვპოვე და ლექსად გარდავიქვი, საქმე ვქენ საქომანები,
 და ჩემან სელ-ქმნელმან დამმართოს¹ ლაღმან და ლამაზმა ნები.

12

თვალთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა;
 ამა, გული გამიჯნურდა, მისდომია ველთა რბენა!
 მიაჯეთ ვინ, სორცთა დაწვა კმარის, მისცეს სულთა ღხენა.
 და სამთა ფერთა საქებელთა ღამის ლექსითა უნდა ლევნა.

13

რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯურდეს და მას უბნობდეს:
 მუშა მიწვივ მუშაობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
 კვლა მიჯანურსა მიჯანურობა უკვარდეს და გამოსცნობდეს,
 და არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სსვასა უწუნობდეს.

14

თუ მიჯანურსა მიჯანურობა ეტლად მომცა რადკან ბედმან,
 მე მით ვიცან საქმე მათი თავით ჩემით შესასუღმან.
 სიტყვა კარგი გამოვავო ლექს-მრავალმან, ენა-მეტმან;
 და შეისომნეს ჭირნი მათნი ჭირთა ჩემისა მეთედმან.

15

31 მაირობა ზირველაჯვე სიბრძნისა ერთი დარგი,
 საღმრთო, საღმრთოდ განსაცონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
 კვლა აქცა იამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი;
 და გრმელი სიტყვა მოკლედ ითქმის, მაირია ამაღ კარგი.

11¹

ხარ თმათა მისთა სადარო სურნელობისა იაო,
 მომხედუ შენთვის მტირალსა, თავო რას დაგილიაო?
 ზილფნი უმგზავსო ზუნბულსა ძოწსა აქვს კარი ლიო,
 და შიგ ოყდაოთხს[ა] მარგალიტს უბია სამაიო.

¹ დაუმართო.

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
 მობურთაღსა—მაედანი, მართლად ცემა, მარჯუედ ქნევა,
 მართ აგრევე მელექსესა—საუბართა ტკბილთა ფრქვევა,
 და რა მისჭირდეს საუბარი და დაუწუოს ლექსმან ლევა.

მაშინლა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
 რა ველარ მისვდეს ქართულსა, დაუწუოს ლექსმან მკირობა,
 არ შემოკლოს ქართული, არა ქნას სიტყვა-მცირობა,
 და ხელ-მარჯუედ სცემდეს ჩოგანსა, ისმაროს დიდი გმირობა.

მე ვიკადრებ ლექსთა კარგთა, ვერაჲინ თქვას ჩემი ფერი;
 ცხელის ცრემლით ავატირო მე სოფელი ჩემი მტერი,
 ცა—ქვეუნა შევათავო, ვითა მიწა გაგამტკერი,
 და ამა ჩემმან საუბარმან შეაქციოს ემა და ბერი.

35 მოშაირე არა ჰქვიან, თუ ვინმე თქვას ერთი, ორი;
 თავი ეოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
 განაღა თქვას ერთი, ორი, უმგზავსო და შორი-შორი,
 და მაგრა იტუვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჯორი.

მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
 არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაკმირეთა, —
 გამსკავსე მშვილდი ბედითი ემაწულთა მონადირეთა:
 და დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვ სოცა ნადირთა მცირეთა.

ამბავი წვრილად უამბოს, ზე სადმე არა წანთვალოს;
 ეოგლსა კაცსა ამეტებდეს, ჭირსა თავი არ აკრძალოს;
 ლექს-ქართული აღარბობს, საუბარი გაასრულოს,
 და ნახოს კარგმან გამგონემან, არა სადა არ აბრალოს.

მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერეულად,
 საშპიკოდ, სალაღობოდ, ამსანატა სათრეველად;
 ჩვენ მათიცა გვაამებინ, რაცა ოდენ თქვან ნათელად.
 და მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტუვის ვინცა გრძელად.

23

მე გიამბობ, ვინცა იუვნეთ ხელობისა მოქებარი:
სხვასა უოვლგნით მოემეუნით, სოფლის ღვინად იგი კმარი;
მათად საქმე ვერ ვამსგავსე, ვითა სმასა მეომარი,
და ვისთა თვალთა უოვლი თემი ერთად უჩანს, იგივე არი.

24

ხამს, მელექსე ნაჭირებესა მისსა ცუდად არ აბრკობოდეს,
ერთი უჩნდეს საშიჯნურო, ერთსა ვისმე აშკობდეს,
უოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,
და მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს.

25

ჩემი აწ სცანით ეველამან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწულო ვითა ჯიქია;
და მისი სახელი მეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.

დასაწიისი ჰირველი ვეფსისტუაოსანთა, ამბავი მიჯნურობისა

26

ვთქვა მიჯნურობა ჰირველი და ტომი გვართა ზენათა,
მწელად სათქმელი, საჭირო გამოსატები ენათა;
იგია საქმე სასეო, მომცემი აღმაფრენათა;
და ვინცა ეცდების, თობამცა ჰქონდა მრავ[ა]ლთა წუენათა.

27

მას ერთსა მიჯნურობასა ჰკვიანნი ვერ მიხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა უურნიცა დავაღდებიან;
ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი სოროცთა სვდებიან;
და მართ მასვე ჰბამვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

28

მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,
მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხდომისა წუენითა;
ზოგთა აქვს საღმრთო სიასლე, დაშვრების აღმაფრენითა,
და კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კვალუცთა ზედა ფრფენითა.

29

მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ ვითა მშეობა,
სიბრძნე, სიუსვე, სიმდიდრე, სიუმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეუთა მეტროლოთა მძლეობა.
და ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აელია მიჯნურთ ზნეობა.

30

ვის ეს ეველა არა სჭირან, არვინ დასთვლის მიჯნურთ თანა,
შექცევასა მოეშოროს, მათთვის ისოს გულსა დანა,
მისი კერძი ეველგნით დაწვას, ვარდი აზროს, ნამოს და ნა,
და ვინცა ესე არ მისმინოს, ვერა ირგოს ვერსით მანა.

31

წრ მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად მნელი გვარი;
მიჯნურობა სსვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სსვაა, სიძვა სსვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
და ნუ ვინ გარევთ ერთმანერთსა, გესმის ჩემი ნაუბარი!

32

სამს მიჯნური სანიერი, არ მემავი, ბილწი, მრუში,
რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა. უში,
გული ერთსა დაჯეროს, კუმტი მიხვდეს, თუნდა ქუში;
და მძულს უგულო სიყვარული, სვეენა, კოცნა, მტლამი-მტლუმი..

33

მას ცოცხალი ნუ ელევის, რაცა პირველ შეუყვარდეს,
ნუცა ლსინსა აუზვაჯდეს, ნურცა ჭირსა შეუზარდეს:
მისთვის დასთმოს ეველაკაი, მისთვის ველთა გამოვარდეს,
და ნურა ჰგავა, სოფელიცა მისი კერძი გარდაჰქარდეს.

34

ამა საქმესა მიჯნური ნუ უსმობს მიჯნურობასა:
დღეს ერთი უნდეს, სვალე სსვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა;
ესე¹ მღერასა ბედითსა ჰგავს ვაჟთა, ემაწვილობასა.
და კარგი მიჯნური იგია, ვინ იქს სოფლისა თმობასა.

35

წა არს პირველი მიჯნურობა არ დაჩენა ჭირთა, მალვა,
თავის-წინა იგონებდეს, ნიადგმცა ჰქონდა ხალვა,
შორით ბნელა, შორით კდომა, შორით დაგვა, შორით ალვა,
და დასთმოს წერომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს მიძი, კრმალვა..

36

სამს, თავისსა სვაშიადსა არვისთანა ამქლავნებდეს,
არ ბედითად, „ზაი“² ზმიდეს, მოყვარესა ავივნებდეს,
არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
და მისთვის ჭირი ლსინად უჩნდეს, მასთვის ცეცხლსა მოიღებდეს..

¹ ვხო. 2 ჰო+ჰო.

37

გაასწავლენ სურვილითა, ვინცა იწვით ვისგან ვინა;
 კვლავ ქებანი გჰკადრენ ვის მე, არვის უთქმან ჩემგან წინა;
 ისპად მოსომასოს მსგავსი არ დაუცდენ ვისცა მინა,
 და მისთვის ვლექსობ სიტურფითა, ვინ შექთა ჰფენს სმელთა მინა-

38

მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოევარე გააშეღავნოს?
 ამის მეტი რამცა ირგო: მას ავნოს და თვითცა ივნოს.
 რათამელა ასახელა, რა სიტყვითა მოაუივნოს?
 და რა ჰგავა, თუ მოევარესა კაცმან გული არ ატივივნოს!

39

მიკვირს, კაცი რად იფერებს საუვარლისა სიუვარულსა:
 ვინცა უევარს, რად აუივნებს მისთვის მკვდარი, მისთვის წელელსა?!
 თუ არ უევარს, რად არა სძულს? რად აუივნებს, რაცა სძულსა?!
 და ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.

40

თუ მოევარე მოეკრისათვის ტირს, ტირილსა ემართლები;
 სიარული, მარტოება შეენის, გაჭრაღ დაუთვლები;
 იგონებდეს, მისგან კიდე ნურად ოდეს მოეცლები,
 და არ დააჩნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცთა იახლები-

37¹

ვერვინ ხელყოს შესაფერ...
 შორს იცნობის თქვენც შეატ...
 გონება და სიტყვის წყობა მას ჰქონია...
 და გაუსინჯეთ თავ-ბოლომდის სიტყვის გვა...

37²

მიჯნურნო, ხედავთ რუსთველი თუ როგ...
 სიტყვას შეგიშობს საფერსა, როგორიც...
 ტარიელს ველად გააჭრობს, ასმათ გვერც...
 და ხან ღზინსა მისცემს სიტყვითა, ხან გ...

37³

შელექსეთ აწვრთნის, ნუ ცდილობ...
 რა რომ ქართული შეგიმც[ი]რდეს, ველ...
 ღალტმობილს სიტყვას ვერ მიხ...
 და [მა]ინ დაიწყებს უწვეტ...

39¹

რადგანც კაცსა სიუვარული საყვარლისა ვერ ეთმობის,
 მისთვის მოსთქვამ[ს] მარად ღღისით, მისთვის ყველას მიენდობის.
 მაშ რად გიკვიროთ შეფურება, რადგანც ინი გულს ეგრძნობის,
 თავი მისთვის გაუწირამს, მისთვის სიკვლილსაც ეხმობის.

4,0¹

ჰე ღმერთო, შენგან იქების საქმე ყოვლისა ტანისა,
 შენ ხარ ჩვენ არსთა სიმაღლე, სიმაღაღლე, სიბრტყევე განისა,
 ზე ანგელოზთა სიმაღლე, ჩამგდები ქვე სატანისა;
 და ვერ გიტყვის ძალი ენისა, გონება ხელოვანისა.

ამბავი ჰირველი როსტევენი არაბთა მეფისა¹

41

იუო არაბეთს როსტევენი, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უსვი, მდაბალი, ლამქარ-მრავალი, ემიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებინანი,
და თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.

42

იუო არაბეთს მეფობა მეფისა როსტევენისი;
მას ჰქონდა სპარსთა ქვეყანა, მართვ ვითა მანმეს ანისი;
უმრწინ და მონებს ეოველი, სელთა აქვს მას საბრძანისი;
და თქვეს თუ: „სამს სმელთა პატრონად ან ალექსანდრე, ან ისი“.

43

69 აწუა დავიწუოთ ამბავი მის სელმწიფისა ზენისა:
არაბეთს როსტენ ჰატრონი, მწერობელი სპა-მოსპენისა;
მას ესვა ქალი მნათობი თვალთათ თუთია ღენისა,
და მგმხვლთა სულის წამლები, ვერ მსედთა ამაღსენისა.

44

სსვა მე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული,
სოფლისა მნათი მნათობი, მზისადა დასთა დასული;
მან მისთა მგვრეტთა წაულის გული, გონება და სული,
და ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად დასული.

45

მისი სახელი თინათინ,—არს ესე საცოდნარია!—
რა გაიზარდა, გაივსო, მისგან მსე საწუნარია.
მგფემან უსმნა გაზირნი, თვით ზის ღადი და წუნარია²,
და გვერდსა დაისხნა, დაუწუო მათ ამო საუბნარია.

46

როსტევენი უსმნა გაზირნი, უბრძანებს თუცა ფარულად:
„მე მე არ მომცა სოფელმან, კიდევ მისთვის ვარ მალულად,
ამ ჩემთა სპათა თავადად, შემტევებელი ქარულად,
და მოლხინე-მოასპარეშედ, გამთენებელი დარულად“.

¹ მეფისა + კახი მეორე. 2 წუნარია.

- 71 უბრძანა: „გკითხავ საქმესა, ერთგან სასაუბაროსა:
რა ვარდმან მისი უკავილი გაანშოს, დაამკენაროსა,
იგი წახდების, სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა;
და მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭვრეტ ღამესა ჩვენ უმთვაროსა.

48

- „მე გარდასულვარ, სიბერე მჭირს, კირთა უფრო მწელია,
დღეს არა, სვალე მოვჭკვდები, სოფელი ასრე მქნელია;
რალა იგი სინათლე, რასაცა ასლავს ბნელია?!”
და ჩემი მზე დავსვათ სელმწიფედ, ვინგან მზე საწუნელია“.

49

- ვაზირთა ჰკადრეს: „მეფეო, რად ჰკადრეთ თქვენი ბერობა?
ვარდი თუ გახმეს, ეგრეთა გემართებს აზომცა ჯერობა:
მისივე ჰმეტობს უოველსა სული და ტურფა უფრობა.
და მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა?!”

50

- ერთობ დაძალეს ვაზირთა, მაგრამ ვინ მოუსმინებდა.
მეფე ლალი და უკადრი, იგი ქნის, რაცა ინებდა.
თინათინ დასვენს სელმწიფედ, ვინ მხესა ითვალწუნებდა,
და ვინ სალსა კლდესა დააღნობს და ცვილსა გაატინებდა.

51

- 72 „მაგას ნუ ბრძანებთ, მეფეო, ჯერთ ვარდი არ დაგტკნობია,
თქვენი თათბირი ავიცა სსვისა კარგისა მკობია;
სმდა გაღანამცა საქნელად, რაცა თქვენ გულსა გლმობია:
და სკობს და მას მიეც მეუობა, ვინგან მზე შენაფლობია.

52

- „თუცა ქალია, სელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნეეთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მსებრ¹ განაცხადია.
და ლეკვი ლომისა სწორია, მუ იყოს, თუნდა სვადია“.

471

- [„თვალე“ უზუოდ ბრალი თემცა შეეხარას ჩრდილოსა;
[თქვენ იცით,] რომე ვმუნვას ვარ მნელსა, არ სა[ა]დვილოსა.
[ვაჟი არა] მყავს, ქალია მართ ჩემსა საგაზრდილოსა;
[და ასრე მ]ით მხედავთ, მუნ ვიტყვი სიტყვასა საღრუჯილოსა“.

53

მას ლომსა კაცი იასლა მეფისა, ვეფსს უფიცსეო:
 დასკვნეს ესე თათბირი, სრულ სპათა ჩემთა ვჰკითსეო,
 მე ჩემთა სივაჟკაცეთა ჩემნი მებრძოლნი ვითსეო;
 და აწ შენცა გნუკევი, ურწყავად აღვისა მორსი ითსეო.

54

ავთანდილ იუო სპანჰეტი, მე ამი[რ]-სპანსლარისა,
 საროსა მჯობი, ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა,
 ჯერო უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა;
 და მას თინათინის შვენება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა.

55

57. გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდის დამალულად;
 რა მოპორდის, ვერა მკერეტმან ვარდი შექნის ფერ-ნაკლულად¹;
 ნახის, ცეცხლი გაუახლდის, წყლული გასდის უფრო წულულად..
 და საბრალაო სიყვარული, კაცსა შეიქს გულ-ნაკლულად!

56

რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,
 ავთანდილს მისვდა სიაშე, ვსება სჭირს მი სოქალისა;
 თქვა: „ზედა-ზედა მომხვდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა,
 და ნუთუ ვით ვპოვო წამალი მე ჩემი, ფერ-გამქრქალისა!“

57

ავთანდილს მისით შორს ეოფით შეეკრა თვალნი ბლეტითა;
 იამა ქალის მეფობა სიხარულითა მეტითა;
 იტყვის: „ხანდახან საუბრად მივალ გულითა რეტითა,
 და კვლა ზედა-ზედა შევსედავ, ვაღსინებ თვალთა ჰვრეტითა“.

58

არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან:
 „თინათინ ჩემი სელმწიფედ დაესვი მე, მისმან მშობელმან;
 მან განათლნეს ეოველნი, ვით მზემან მანათლობელმან.
 და შოდით და ნასეთ ეოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან!“

59

57. მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი განმრავლდა სპსისა.
 ავთანდილ ჰირ-მზე, სპანჰეტი ლამქრისა ბევრ-ათასისა,
 ჯაზირი სოგრატი, მოახლე მეფისა დასთა დასისა;
 და მათ რომე დადგეს საჯდომი, თქვეს: „უთქმელია ფასისა!“

59¹

[კვლა] მოახსენეს: „შეფო, ვენით. რაც ვიაშობისა,
 [ღწერთმან] ნიადაგ ვერე ყოს საქმე თქვენისა ნებისა;
 [ჩვენ] ტახტი დავდგით, სიკეთე ვით ითქმის, ან შვენებისა.
 და [შორით] მოვხვიეთ² ფარდაგი, ზარქამი ატლასებისა“.

¹ გულ-ნაკლულად. ² მოხვიეთ.

60

„ადეგ, როსტან, შენსა მზესა, ხელით სელსა მოკვიდე“.
მის საბოძერის მისათვალვად მიზიდაუს და მიჰუავს კიდე; —
„დავბერდი და დავბაბუნდი, მე დღეთავე ჩემსა ვსთვლიდე,
და რაც შევცოდე შემოქმედსა, ვიტრო და ვინანიდე.“

61

„უკუვდგე ერთსა ადგილსა, დავიწყო გარდახდილობა“.
უბრძანა სრულთა არაბთა, შეჰკადრეს მიღოცვილობა:
„შენ ჩემთა საჭურჭლეთათვის ნუ შეგაქს ცულსა ცილობა,
და კვლა ზედა-ზედა შევიგნა მე შენი არმოძლილობა“.

62

თინათინ მიჰუავს მამსა ჰირითა მით ნაოელითა,
დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა.
და ქალი მზეებრ სჭვრეტს უოველთა ცნობითა ბრძნად მხედველითა..

63

„უკუდგეს და თავიანი-სცეს მეფემან და მისთა სნათა,
დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,
ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკობდეს მათთა სმათა..
და ქალი ტირს და ცრემლთა აფრქვევს, სრის უორნისა ბოლო ფრთათა..“

64

მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა,
ამად ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა;
მეფე სწურთნის: „მამა უოველთა მისაგან ითავსებოდა,
და ამისად ქმნამდი დამწველი ცეცხლი არ დაჰევსებოდა“.

65

უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი:
„დღეს შენ სარ მეფე არაბეთს, ჩემგან ხელმწიფედ სმობილი,
აქათგან ესე სამეფო მართ შენია მინდობილი.
და ხარმცა ბრძნად მქნელი საქმისა, იეჟ წუნარი და ცნობილი!“

65¹

მერმე მოვიდნეს ლაშქარნი, მის მზისა დამლოცველ[ია],
რომე აივსო სრულობით მინდორი, მთა და ველ[ია].
პირველად წადგა ავთანდილ, სოგრატ მასთანა მელელია,
და გარდაყარეს გუარი; სთქვა: „ნიჩიხი დასაგ[ველია]“.

„ვარღთა და ნეხეთა ვინადგან მსე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწიენების;
უხვი ახსნილთა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.
და უხვად განსცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების!

„მეფეთა შიგან სიუსკე, გით ედემს ალვა, რგულია;
უსხსნა მორჩილობს უოველი, იგინიც, ვინ ორგულია;
სმა-კამა—დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!”
და რასაცა გავსცემთ, ჩვერია; რაც არა დაკარგულია!”

ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,
ეურსა უპერობდა, ისმენდა, წვრთას არა მოიწყინებდა;
მეფე სმასა და მღერას იქს, მეტადა მოიღხინებდა;
და თინათინ მხესა სწუნობდა, მაგრა მხე თინათინობდა.

რა გადიდ[დ]ა ნადიმობა, დაატკობდეს ჩანგი¹ სმასა;
მათ ტურთათა სანახავად ჯარი მოდგის ბანის-ბანსა;
ბულბული და იადონი იზახოდეს მულღანზარსა;
და თავის-მსმელთა დავლითო, ძალი მისცეს ღვინის სმასა.

მოიხშო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი,
უბრმანა: „ჩემი საჭურჭლე, მენგან დანაბეჭდულევი,
მომართვი ჩემი ეველაი, ჩემი ნაუფლისწულევი!“
და მოართვეს. განსცა უზომო, უანგარიშო, ულევო.

107 მას დღეს განსცემს ეველაკასა სივაციასა მოგებულსა,
რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა.
მერმე ბრმანა: „ვიქ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა,
და ჩემსა ნუგინ ნუ დამალავთ საჭურჭლესა დადებულსა“

უარუთ, საამ, ზაად, როსტომ, აიოზ და სალიმ, თურა,—
ვარც მათ იყრეს ეს სოფელი, დაემართა, იცი, თუ რა?—
კაცს ევიროს კარგი საქმე, ხელთა ქორსა ვიოა თურა,
და არ დაივმოს მოყვრისაგან, ათქმეინოს, რა ქნა თუ რა.

[აწ] ნახეთ მეფე თინათინ და მისთა შუქთა შუქობა.
[რომ]ე მისებრივ სიოხვე ბუქსა თუ ჰქონდა ბუქობა;
[მა]რთ იმა დღისა მნახესა არსად ეთქმოდა უქობა.
[და მას]ეა ზარქაში ეზოსა, ვის ჰქონდა მებალღეულობა

72

უბრძანა: „წადით, გახსენით, რაცა სად საჭურჭლენია!
ამილასორნო, მოასწით რემა, ჯოგი და ცხენია!“
მოიღეს. გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწენია.

და ლარსა სვეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეგობრენია.

73

აღაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქაღსა,
მას ტაიგსა არაბულსა, ქვე-ნაბამსა, ნასუქაღსა,
რომე ჰგვანდა სიუსვითა ბუქსა, ზეცით ნაბუქაღსა;

და არ დაარჩენს ცარიელსა არ უმასა და არცა ქაღსა.

74

მის ჯარისა სისარული მე გიამბო ამად კიდა:
რა გარდახდა ოღენ ჰამა, ხელმწიფემან თავი ჰკიდა;
ავთანდილ და სოგრატი ჰკვირან, ნეტარ რა, ვთქვათ, წაეკიდა? ^

და საჭურჭლეთა გარდაგება დაუმშიმა მეტად კიდა.

75

101: დღე ერთ გარდახდა; პურობა, სმა-ჰამა იყო, ხილობა,
ნადიმად მკდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა;
მეფემან თავი დაჰკიდა და ჰქონდა დაღრეჯილობა.

და „ნეტარ რა უმშიმს, რა სჭირსო?“ შექნეს ამისი ცილობა.

76

თავსა ზის ზირ-მზე ავთანდილ, მკურეტთაგან მოსანდომია,
სხათა სხასზეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია;
გაზირი ბერი სოგრატი თვით მანთანავე მკდომია.

და თქვენს თუ: „რა უმშიმს მეფესა, ანუ რად ფერი ჰქრთომია?“

77

თქვენს თუ: „მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა,
თვარა აქა სამშიმარი მათი უოლა არა ქნილა“.

ავთანდილ თქვა: „სოგრატი, ვჰკითხვით, გვითხრობს, რამცა შეგვეცილა?“

და ვჰკადროთ რამე სალალობო, რასათვისმცა გაგვაწბილა?“

77¹

[თინათისს კადრეს იღუმალ: მეფეს რაცაღა სწენიან,
[ჩვენს] ვაწყინეთ, ვიშიშვით და ამაღ ღიღად გ[ვ]რცხვენიან.
[თუ ბრ]ძანებთ, ვკითხავთ, რა უმშიმს, უქი შუბრ¹ აღარ ჰქენიან;

[და უ]ბრძანა: „აკითხოს ვუზირმან, ტურფა სიტყვამან, უნიან“.

1 შუბრი.

ადგეს სოგრატ და ავთანდილ ტანითა მით კენარითა,
თვითო აივსეს ჭიქები, მივლენ ქცევითა წუნარითა,
წინა მიუსხდეს მუსლ-მოურით, ჰირითა მოცინარითა.
და ვაზირი ლაღობს ენითა, წელღიანათ მოუბარითა:

79

111 „დადიღრეჯია, მეფეო, აღარ გეცინის ჰირიო.
მართალ ხარ, წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და მვირიო:
ვევლასა გაცემს ასული თქვენი საბოძვარ-ხმირიო;
და უოლამცა მეფედ ნუ დასვი! თავსა რად უგდე ჰირიო?“

80

რა მეფემან მოისმინა, გაცინებით შემოსედნა,
გაუგვირდა: ვით მკადრაო, ან სიტყვანი ვით გაბედნა?
„კარგი ჰქენო,—დაუმაღლა, ბრძანებანი უიმედნა,—
და ჩემი ზრახვა სიძუნწინა, ტუევის, ვინცა დაიბედნა!“

81

მეფემან ბრძანა: „მიფიცავს, ვირცხვი ამისსა თსრობასა.
გამცინოთ, არად ამოუჭკრეფ, ვერვინ მიზრასავთ თს[რ]ობასა.
მვილი არა მკავს, მუნ მსედავთ, ვეცი ლასვართა სობასა,
და მოასწარეზედ გამეწვრთნა, სწავლ[ი]დეს მმვილდოსნობასა.

82

„ეგე არ მიმძიმს, ვაზირო, ესეა, რომე მწუნენია:
სიბერე მასლაუს, დავლივენ სიუძარწვილისა დღენია,
კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია,
და რომე მას ჩემგნით ესწავლნეს .სამამაცონი ზნენია“.

83

112 როსტან დაბერდა, გაუშეებს ჰურობა-დარ[ბ]აზებართა,
მაცრამ მისებრი ვის ძალუც სწავლა სოფლისა ზნებართა,
მმვილდოსნად მსგავსი გმირისა, მობურთლად, მომტაცებართა,
და ცოტასა შეჭკავს მმვილდოსნად ლაღი ავთანდილ, მზე ბართა.

84

„ერთი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა;
ღმერთმან არ მომცა უმა-მვილი,—ვარ საწუთროსა თმობითა,—
ანუცა მგვანდა მმვილდოსნად და ანუ კვლავ ბურთობითა;
და ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა“.

85

უმა მეფისა ბრძანებასა ლალი წუნარად მოისმენდა,
თავ-მოდრეკით გაიღიმნა, გაცინება დაუსვენდა,
თეთრთა კბილთა გამომკრთალსა შუქსა ველთა მოათენდა.
და მეფე ჰკითხავს: „რას იცინი, ანუ ჩემგან რას შეგრცხვენდა?“

86

მეფემან ბრძანა სიცილით, კვლა მოლიხლარედ ზმებია;
ავთანდილ ქვემ-ქვემ იცინის, არ ავად ჰირ-აღრებია;
მეფემან უთხრა: „რას ღრიძობ, გაფიცე ჩემი მზებია,
და თუ ჩემი თავი გიუვარდეს, მიაძბე, რასა სწებებია“.

87

121 კვლავ უბრძანა: „თავსა ჩემსა, რას იცინი, რა დამკმეო?“
უმამან ჰკადრა: „მოგასსენებ და ფარმანი მიბოძეო,
რაცა გკადრო, არ გეწეინოს, არ გარისს[ღ]ე, არ გასწერეო,
და არ გამსადო კადნიერად, არ ამიკლო ამად ზეო“.

88

ავთანდილ ჰკადრებს: საჭურჭლით სავსე მაქვს დარბაზებია;
შეგკადრო, არ გამირისსღე, მიწეურომო, არ დაურჩებია.
ეული ჰირ-მზემან წამიღო, ვის, ვაგლას, ვისს თავს ვებია,
და თუ გამიწერები, ეუელაი თქვენს წინა მონაღებია“.

89

უბრძანა თუ: „მისმან მზემან, რაცა გინდა, იგი თქვიო:
შენი თსრობა რად მეწეინოს, მოცინარად აქა ვსიო.
შენგან არა მეწეინების, რაცა გკადრო, მოგისპიო,
და არას გაწეუნ, თავმან ჩემმან, ვარდი შენი არ ვაჰკმიო“.

90

უბრძანა: „რადმცა ვიწეინე თქმა შენგან საწეინარისა!“
ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა.
ავთანდილ იტყვის: „დავიწეო კადრება საუბარისა:
და ნუ მოკვეს მშვიდდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წუნარისა.“

91

122 ავთანდილ ჰკადრა: „არ ღირს ვარ, მაგრამ ვინ გემაბუნების?—
მინდორს ვესროლოთ ნადირთა, ვნასოთ—ვინ ვჯობინების;
თუ ბედმან ჩემმან მითოვოს, გაჯობო, ნუ გეწეინების,
და თავ-ჩამოგდებით, დადრეჯით სმამი ნუ მოგეწეინების.“

92

„მიწაცა თქვენი აუთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია;
ნაძლევი დაგდათ, მოვასხნეთ მოწმად თქვენივე სწანა;
მოასწარეზედ ვინ მკავსო?—ცუდილა უკუთქმანია.

და გარდაშწვეტელი მისიცა ბურთი და მკვანია!“

93

მეფე ლალი და წულიანი გამსიარულდა მეტადრე;
სიცელით უთხრა აუთანდილს: „შვილად გზრდი, მით შემეკადრე;
იცო, არ გიწყენ, გაზრდილო, მით შემამისვე შედადრე,
და თუ არ გასწიბილდე, მავობო, ბედი გეყოფის ბედადრე“.

94

როსტევეან უთხრა: „მით მკადრე, არ ეგვდი ჩემგან წყენასა;
რასთვის შემკადრე საუბრად, ვით ათქმევი ენასა? —
სრულ სწათა უური მოუწერან ჩემთა ნათქვამთა სმენასა,
და თუ არ გასწიბილდე, მავობო, ბედი გითოვდეს ზე ნამსა.

95

131 „მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისსა დაცლილებასა.
ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქო შედრეკილობა-კლებასა,
კარგთა კაცთასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა,
და შერმე გამოჩინდეს მკვანსს, ვისძი უთსრობდენ ქებასა!“

96

აუთანდილცა დაჰმორჩილდა, საუბარი გარდასწევიტეს,
იცინობდეს, უმაწვილობდეს, საუვარლად და კარგად ზმიდეს,
„წამამდის ჩემსა ნუ იტყუვით არ თქვენსა ჰატრონობასა,
«თვით თავადია ჩვენი თქო», ნუ მისმობთ ჭაბუკობასა.
მე სავაჭროსა ჩავიცვამ, დავიწუებ ჩუბაჩობასა;

და თქვენ შემინახეთ ნამუსი, თქვენსა და ჩემსა მშობასა!“

1243

ენე საქმე ქარავენსა გაესარნეს. მეტად დია;

მოვიდეს და თავანინს-სცეს, ჰკადრეს: „ჩვენი იმედია,

რაცა აჯა ჩვენ გვმართებდა, იგი თქვენვე გიაჯია,

და მას ვ[მ]სასუროთ, ვისი პირი მზისა პირად გაგვიცდია“.

1244

1571 მუნით წავიდეს, იარეს, არ თურე ხანსა ზმიდიან,

მისვდეს ტაროსსა ამოსა, ნიადაგ ამოდ ვლიდიან;

შეჭფრფინვიდიან ავთანდილს, ქებასა შეასსმიდიან,

და მას მარგალიტსა, მას ემასა, კბილთავე ფერსა, სძლენიდიან.

ამბავი ავთანდილისა

კულანშაროს მისვლისა

1245

ზღვა გაიარა ავთანდილ, მივა ტანითა მჭევრითა.

ნასეს მოცკული ქალაქი, გარე ბადისა ტვერითა,

გვარად უცხონი უვავილნი, ფერითა ბევრის ბევრითა.

და მის ქვეუანისა სიტურფე რა გაგაგონო ენითა!

1246

მათ ბაღთა პირსა დააბეს ნავი საბლითა სამითა;

ავთანდილ ტანსა ჯუბანი ჩაიცვანა, დაჯდა სკამითა;

შოასსნეს კაცნი მზიდავნი, დამიზღებული დრამითა;

და იგი უმა გაკრობს, თავადობს და თავსა მალავს აძითა.

1247

მოვიდა მისი მებაღე, ბაღსა იახლნეს რომელსა,

მას ემასა უჭვრეტს შეფრფინვით პირსა, ელვათა მერთომელსა;

ავთანდილ უსმო, ეუბნა კაცსა არ სიტუვა მცთომელსა;

და „ვისინი ხართ, ვინ ხართ, რა ჰქვიან მეფესა აქა მჯდომელსა?“

1248

1578 „წერილად მითსარ ეველაკაი,— ემა მას კაცსა ეუბნების,—
რა ღარია უფრო ძვირად, ან იეფად რა იხსნების?“
ჰკადრა: „ვესელავ, ჰირი შენი მზისა ჰირად მე მეცნების;
და რაცა ვიცი, მქართლად გკადრებ, მრუდი არა არ გემცნების,

1249

„ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათვის საელითა;
თვით გულანძარო ქალაქი, საესე ტურფითა მრავლითა;
აქ მოდის ტურფა ეველაი ზღვა-ზღვა ნავითა მავლითა;
და მელქისურსავი სელმწიფობს, სრული სვითა და დაულითა.

1250

„აქა მოსვლითა გაუმდების, კაციცა იუოს ბერები:
სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ სიმღერაები,
ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ევაგილი ფერად-ფერები;
და ვინცა გვიცნობენ, გენატრიან, იციცა, ვინ ა მტერები.

1251

„დიდ-ვაჭარნი სარგებელსა ამისებრსა ვერ ჰპოებენ:
იედიან, გაჰედიან, მოიგებენ, წააკებენ;
გლახა თვე ერთ გამდიდრების, სავაჭროსა ეოვლგნით ჰკრებენ;
და უქონელი წელიწადსა საქონელსა დაიღებენ.

1252

1588 „მე ვარ მებაღე უსენისი, ვაჭართა უხუცესისა;
ესეცა გკადრო, ამბავი საქმე მისისა წესისა;
თვით ესე ბალი მისია, თქვენი სადგომი დღისისა;
და ჰირველ მას მართებს ჩვენება ეოვლისა უტურფესისა.

1253

„რა შემოვლენ დიდ-ვაჭარნი, მას ნახვენ და მღვენსა სძლენიან,
ურვენებენ, რაცა ჰქონდეს, სსვაგან ღარსა ვერ გახსნიან,
უტურფესსა სეფედ დასხმენ, ფასსა მუნვე დაუთვლიან;
და მათ მაშინვე ააზატებს, ვითა სწადდეს, დაჰედიან.

1254

„თქვენებრთა საბატითა მათ მართებს გამოსვენება;
დაშევენებულთა უბრძანებს, მართებდეს ვის დავენება.
აწ იგი აქა არ არის, რას მარგებს მისი ხსენება;
და გამოგებვა და წაუვანა მას ჰმართებს, თქვენი ქენება.

1 უსენის.

1255

„ფათმან სათუნ შინა არის, სათუნი და ცოლი მისი,
პურად კარგი მანჰინძელი, საუკარელი, არ თუ მქისი;
მას ვაცნობო მოსვლა თქვენი, წაგიუკანოს ვითა თვისი;
და წინა კაცთა მოგაგებებს, ქალაქს შესვალ ნათლივ დღისი“.

1256

1585 ავთანდილ უთხრა: „წადიო, აგრე ქენ, რაცა გწადიან“.
მებაღე მირბის, ახარებს, ოფლი ქვე მკრდამდინ ჩანდიან.
სათუნსა უთხრა ამბავი: „მე ესე დამიქადიან,
და ემა მოვა, მისთა მჭერეტელთა შუქნი მხედ ტაციადიან.“

1257

„ვაჭარი ვინმე პატრონი არს ქარაუნისა დიდისა,
საროსა მსგავსი ნაზარდი და მთვარე დღისა შვიდისა;
შვენის ჯუბა და მოსვევა მოწეულისა რიდისა.
და მე მისმო, მკითხა ამბავი და ნირი ლართა სეიდისა“.

1258

ფათმან სათუნს გაესარნეს, გააგება მონა ათი,
მოუკაზმეს ქარვანსრანი, დააყენა ბარგი მათი;
შემოვიდა ლაწვი-ვარდი, ბროლ-ბალახში, შინა-სათი;
და მისთა მჭვრეტთა დაანასეს ვეფხსა ტოტი, ლომსა—თათი.

1259

ზარი გაჰსდა, შემოაკრბეს ქალაქისა ერნი სრულად,
იქით-აქით ივარგოდეს: „უჭვრიტოთო ამას რულად!“
ზოგნი ნდომით შეჭფრფინეიდეს, ზოგნი იყენეს სულ-წასულად;
და მათთა ცოლთა მოიმულევენ ქმარნი, დარჩეს გაბასრულად.

1260

1598 ფათმან, ცოლი უსენისი¹, გაეგება კართა წინა,
მხიარულმან უსალამა, სინარული დაიჩინა;
ერთმანერთი მოიკითხეს, შევიდეს და დასხდეს შინა;
და ფატმან სათუნს მოსვლა მისი, შევითვატეე, არ ეწეინა.

1261

ფათმან? სათუნ თვალად მარჯვე, არ-ემაწვილი, მაგრა მხმელი,
ნაკეთად კარგი, შავ-გრემანი, ჰირ-მსუქანი, არ ჰირ-ხმელი,
მუტრიბთა და მომღერალთა მოუვარული, ღვინის-მხმელი;
და ღია ედვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი.

¹ უსენისა. ² ფათმან.

1262

მას ღამესა ფატმან სათუნ უმასპინძლა მეტად კარგა.
უმამან უძღვნა ძღვენი ტურფა, მომღებელთა თქვეს, თუ: „ვარგა“.
ფატმანს მისი მასპინძლობა უღირს, ღმერთო, არ დაჰკარგა;
და სვეს და ჭამეს, დასაწოლაღ! უმა გავიდა ღამით გარ, გა.

1263

დილასა ლარი ეველი უჩვენა, გასსხვევინა,
ტურფანი სუფედ გარდასსნეს, ფასიცა დაათვლევინა,
ვაჭართა უთხრა: «წაიღეთ», აჰკიდა, გააწვევინა,—
და თქვა: „ვითა გინდა, ვაჭრობდით, ნუ გამაცსადებთ, მე ვინა“.

1264

1799 უმა ვაჭრულად იმოსების, არ ჩაიცვამს არას მისსა.
ზოგჯერ უსმის ფატმან მისსა, ზოგჯერ იუვის ფატმანისსა;
ერთგან სსდიან, უბნობდიან საუბარსა არა-მქისსა;
და ფატმანს ჰკლვიდა უმისობა, რამინისი ვითა ვისსა.

ფატმანისსაგან ავთანდილის გამიჯნურება

1265

სჯობს ნიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის:
გილიზლებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის,
მართ ანანდათ გილალატებს,—გაჰკვეთს, რაცა დაესობის,—
და მით დიაცსა სამალაუი არასთანა არ ეთსრობის.

1266

ფატმან სათუნს ავთანდილის გულსა ნდომა შეუვიდა,
სიუვარული მეტის-მეტი მოემატა, ცეცსლებერ სწვიდა.
დამაღვასა ეცდებოდა, მაგრა ჭირთა ვერ მალვიდა,
და იტყვის: „რა ვქნა, რა შერკების!“ აწვიმებდა, ცრემლთა ღვრიდა..

1267

„მიღმა უთხრა, ვა თუ გაწერეს, შესედვაცა დამიშვირდეს!
თუ არა ვთქვა, ველარ გავსმლებ! ცეცსლი უფრო გამისშირდეს.
ვთქვა და მოვკვდე, ანუ დაურჩე, ერთი რამე გამიპირდეს;
და მას მკურნალმან ვერა ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს“.

1268

160r დაწერა წიგნი საბრალო, მის უმისა მისართმეველი,
მისისა მიჯნურობისა, მისთა პატიყთა მცნეველი,
მისთა მსმენელთა გულისა შემპრეველი, შემარეველი,
და უსტარი შესანასავი, არ ცუდად დასასეველი.

წიგნი ფატმანისა ავთანდილს თანა
სამიჯნურო დია შიშითა

1269

„ჰე მზეო, ღმერთსა ვინათგან შხედ სწადდი დასაბადებლად,
მით შეგქნა მოპორებულთა ღხინად, არ ჭირთა მწადებლად,
ახლოს შემერელთა დამწეველად, მათად ცეცხლისა მადებლად,
და მნათობთა შენი შესედვა ტკბილად უჩს, დასაქადებლად.

1270

„შენ გტრფიალობენ მჭკრეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდებიან,
ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არ შენზედა კრფებიან!
შენი შევება ყვავილთა აჭენობს, ჩემიცა ჭკნებიან,
და სრულად დამწვარვარ, თუ შისისა შეუნი არ მაშეწრებიან.

1271

„ღმერთი მეუს მოწმად, ვიძიპვი თქვენსა ამისსა თხრობასა,
მაგრა რა ვირგო დღე-კრულმან, სრულად გავჰკირივარ თობასა,
გული ვერ განსძლებს ნიადაგ შავთა წამწამთა სობასა,
და თუ რას მეწევი, მეწიევი, თვარა მიეჰხედები ცნობასა!

1272

160v „მე ვირე ამა წიგნისა პასუსი მომივიდოდეს,
ესცნობდე, გინდოდე საკლავად, ან ჩემი რა გაგვიდოდეს,
მუნამდის გაესძლო სულთა დგმა, გული რაზომცა მტკიოდეს,
და სიცოცხლე, ანუ სიკვდილი გარდმიწედე სეტარში ოდეს!“

1273

ფათმან ხათუნ დაწერა და გაუგზავნა წიგნი მისი.
უმაჰან ასე წაიკითხა, და ვინმეა ანუ თვისი;
თქვა: „არ იცის გული ჩემი, ვინ მაშეკობს ვისსა ვისი,
და რომე შიძიჩს სამიჯნურო, რათ ვამსკავსო მე მას ისი!“

1268¹

ფატმან არ იცის, ავთანდილ თუ ვისით ცეცხლით მწველია,
მეფეს მოპორდა გამზრდელსა, თინათინ ცრულთა მღვრელია;
ნესტან-დარეჯანს დაეძებს, ზევრს ჭირთა გარდამხდელია.
და აქა სცნობს მართალს ამბავსა, გაიადვილოს ძნელია.

1274

თქვა: „ევაკი ვარდთა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია!
მცრა მას ზედა ბუღბუღსა ჯერო ტკბილად არ უმღერია.
უმსგავსო საქმე ეველადი მოკლე და მით ოხვრია.

და რა უთქვამს, რა მოუჩმასავს, რა წიგნი მოუწერია!“

1275

ესეგვარი საზრასავი დაუზრასა გულსა შინა;

მერმე იტყვის: „ჩემგან კიდე ჩემი შემწე არავინ ა;

რასათვისცა გამოჭრილ ვარ, მისი მეგბნა რადგან მინა,

და რათაცა ვით ვპპოვებ, მას ვიქ, გულმან სხვამცა რა ისმინა!

1276

161r „ისი დიაცი აქა ზის, კაცთა მნასავი მრავალთა,

მოსადგურე და მოყვარე მცხავრთა, ეოველგნით მავალთა;

მივპევე, მიაშობს ეველასა, რაზომცა, ცეცხლი მწვავს ალთა,

და ნუთუ რა მარგოს, მე მისი გარდახდა ჩემგან ვცნა ვალთა“.

1277

თქვა: „დიაცსა ვინცა უევარს, გაექსვის¹ და მისცემს გულსა,

აუგი და მოყიენება არად შესწონს ეოლა კრულსა;

რაცა იცის, გაუცხადებს, სვაშიადსა უთსრობს სრულსა,

და მიჯობს, მივპევე, განაღ რასმე ვსცნობ საქმესა დამალულსა.

1278

კვლა იტყვის: „ვერვინ ვერას იქს, თუ ეტლი არ მოსთმინდების;

მით რაცა მინდა, არა მაქვს, მაქვს რაცა, არ მომინდების;

ბინდის გვარია სოფელი, ესე თურ აშად ბინდების,

და კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წამოდინდების!“

წიგნი ავთანდილისა ფატმანის ჰასუსად მიწერილი

1279

„მოგეწერა, წავიკითხე შენი წიგნი, ჩემი ქება.

შენ მომასწარ, თვარა შენგან მე უფრო მჭირს ცეცხლთა დება;

შენცა გინდა, მეცა მინდა გაუწევეტლად შენი ზღება,

და შეერა არის ჰირიანი, ორთავეა რადგან ნება“.

¹ გაქვავის.

1280

ა61v ფატმანისსა ვერ გააბობ, მოემატა რა სიამე!
მიუწერა: „კმარის, რაცა უშენომან ცრემლი ვლამე,
აწ ვიქნები თავის წინა, აქა მპოვე მარტოსა მე,
და მომისწრაფე შეერა შენი, რა შელამდეს, მოდი ლამე“.

1281

მას ღამითვე, საწვეველი რა მიაართვეს წიგნი უმასა,
შეღამდა და წაჯავიდა, სსვა ემთხვია მონა გ'სასა:
„მას ღამე ნუ მოხვალო, ვერა მპოვებ შენთვის მ'სასა“.
და მას ეწეინა, არ დაბრუნდა, თქვა, თუ: „ჰგავსო ეგე რასა!“

1282

წვეული აღარ დაბრუნდა კვლა ზევე უკუ-წვევითა.
ფატმან ზის წყენით, შევიდა აუთანდილ მარტო ხე ვითა,
ღიაცსა წყენა შეატევა, ნახა შესვლითა, შე, ვითა,
და ვერ დაიჩინა შიძითა და მისითავე თნევითა.

1283

ერთგან დასხდეს და დაიწეეს კოცნა, ღაღობა წყლიანი;
შემოდგა კარსა უმა ვინმე კეკლეუცი, ტან-ნაკვითანი,
შემოვლო, ახლოს შემოჰკევა მონა სრმალ-დარაკიანი,
და დაჰკრთა, რა ნახა აუთანდილ, ჰგავსო, თუ გ'ზა კლდიანი.

1284

ა62r ფატმან რა ნახა, შეშინდა, მრწის 'და მიეცა მრწოლასა.
მან გაკვირვებით უტკვრიტა მათსა ღაღობა-წოლასა;
უთხრა: „არ გიძლი, დიაცო, ფერთა მი და მო კრთომასა,
და გამითენდების, განანებ მაგა მოემისა ეოლასა!“

1285

„გამიციხე, ბოზო! დიაცო, და დამდეგ განათრეველად,
მაგრა სცნობ ხვალე ჰასუსსა მაგა საქმისა მზღვეველად:
ვარ შენთა შვილთა შენითა კბილითა დამაქმეველად,
და დაუმალო, წვერთა ფუ მიუაგ, ხელილა ვრბოდე მე ველად!“

1286

ესე თქვა და კაცმან წვერთა მოიხიდანა, გავლნა კარნი;
ფატმან შექნა თავსა ცემა, ღაწენი ესსნეს ნახოკარნი;
ცრემლთა მისთათ შეეარნეს, წყაროსაუბრ ისმნეს წყარნი;
და თქვა: „ღამქოლეთ, მოდით, ქვითა, მომადგეთ მომაკარნი!“
1 ბოძო.

1287

მოსთქვამს: „მოგზავლ, ჰაი, ქმარი, ამოვჭწევიტენ წერილნი შეილნი,
იავარ-ვეუვ საქონელი, უსახონი თვალნი თლილნი,
ბავკარე საყვარელთა, ვა გამზრდელნი, ვა გაზრდილნი!
და ბოლოდ ვეკმენ თავსა ჩემსა, სიტყვანია ჩემგან წბილნი“.

1288

162v ამახ ეველასა ავთანდილ ისმენდა გაცბუნებულნი;
უბრძანა: „რა გკირს, რას იტყვი, რასთვის სარ აგრე ვებული?;
რას დაგეჭადა იგი ემა, რა ნასა შენგან კლებული?
და დადუმდი, მითხარ, ვინ იუო, ანუ რად საქმედ რებული?“

1289

დიაცმან უთხრა: „ჰე ღომო, სელი ვარ ცრემლთა დენითა,
ნურას ნუ მკითხავ ამბავსა, ვერცა რას გითხრობ ენითა;
დავზოცენ შეილნი სელითა, მით ვარ აღარას ღსენითა..
და თავი მოვიკალ უთმინოდ სიუვარულითა შენითა.“

1290

„ესეგვარი დია მიხვდეს სიტყვა-მცდარსა, ენა-მეტსა,
ხვაშიაღთა ვერ-მმაღავსა, უტკუვოსა¹, შმაგსა, რეტსა;
ვაგლასითა მეწიეებით, გეტყვი უოვლსა ჩემსა მჭვრეტსა,
და [მ]კურნალმანდა ვერა ჰკურნოს თავისისა სისხლთა მსვრეტსა..“

1291

„ორისაგან ვრთი ჰქენით, ამის მეტსა ნურას ჰლამით:
მოვითაჰკლავ იმა კაცსა, წადი, მოკალ მალევით ღამით,
მე და სრულად სახლი ჩემი დასოცასა დაგსვსენ ამით!
და მოხვალ, გითხრობ ეველაკასა, მოვითმითხარ ცრემლთა ღამით..“

1292

163r თვარა ღამითვე ტვირთები შენი წაიღე ვირითა,
დააგდე ჩემი მიდამო, სრულად მიკრიფე, მი, რითა.
ვეტე, რომე ჩემთა ცოდვათა შენცა ავაესონ ჰირითა,
-და თუ დარბაზს მივა ისი ემა, შეილთა დამაჭმევს ჰირითა“.

1293

რა ესე ესმა ავთანდილს ღაღსა, ბუნება-ზიარსა,
ადგა და ღასტი აიღო, რა ტურფა რამე მხნე არსა!
„ამა საქმისა ვერ-ცნობა,—თქვა,—ჩემი სიმუნტე არსა“.
და ნუ ესე სულ-დგმულსა მისებრსა, სხვა არცა მისებრი არსა!
¹ უკუვოსა.

1294

ფატმანს უთხრა: „კაცი მომეც მასწავლებლად, წინამძღვარად, გზასა მართლად წამიყვანოს, თვარა მეძულად მინდა არად; იმა კაცსა ვერა ვსედავ მეომარად, ჩემად დარად, და რაცა უუო, მოგანახვებ, მომიცადე, იუავ წყნარად“.

1295

მას მისცა მონა დიაცმან წინამძღვრად, წაცამუყანებლად, კვლავე შეჰუივლა: „ვინათგან ცეცხლი აწ ცსელთა ნელად, თუ მოვითაჰკლა იგი უმა ჩემად გულისა მფსანელად, და ბეჰედი ჩემი აცვია, მას გვედრებ მოსატანელად“.

1296

ა635 აუთანდილ გავლო ქალაქი მით უუბროთა ტანითა; ზღვის პირსა სასლნი ნაგებნი დგეს ქვითა წითელ-მწვანითა, ქვეშეთკენ სრითა ტურფითა, კვლა ზედათ ბანის-ბანითა, და დიდროანითა¹ ტურფითა, მრავლისა თანის-თანითა.

1297

მუნ მიჰუავს პირ-მზე აუთანდილ მას, მისსა წინამძღომელსა; უმა მდაბლად ჰკადრებს: „ინა სრა მისი, ემებ რომელსა“. უჩვენებს, ეტუვის: „ხედაუო ბაღსა ზე-და-ქვე მდგომელსა? და იქი წვეს მილად, იცოდნი, ანუ ქვე ჰპოვებ მჯდომელსა“.

1298

კარსა წინა დარაჯანი ორნი უწენეს მას, გლას, უმასა. უმა გავიდა, გაუპარა, დააკდებდეს ვირე ხმასა, თვითო ხელი ეელსა მიჰუო, მუნვე მისცა სულთა სდასა, და თავი თავსა შეუტაკა, გაურია ტვინი თმასა.

1299

იგი უმა საწოლს მარტო წვა გულითა ჯავრიანითა; ხელ-სისხლიანი აუთანდილ შედგა ტანითა ჯანითა; ვილარ აესწრა, იდუმალ მოკლა, გერცა თუ ვცანითა, და ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკენა, დაკლა დანითა.

1300

ა641 მჭვრეტელთა მზე და მებრძოლთა მხეცი და ვითა ზარია. ბეჭდითურთ თითი მოჰკვეთა, ქვესკნელს მიწათა გარია, ზღვითკენ სარკმელთა გასტეორცა, ზღვისა ქვიშათა გარია, და მისთვის არცაღა სამარე, არცა სათხარად ბარია.

¹ დიდრუანითა.

1301

უურეთ ბოზსა დიაცსა და ეშმაკისა ბადესა:
აქ ჭამანგირი უბრალოდ მოკლეს, ლასვარსა აგესა;
დაჭარკეს სულთ და სორცით, ზღვაშიგან გარდააგდესა,
და თითი მოჰკვეთეს ბეჭდითურთ, იგ დანა არ ჩააგესა.

1302

ხმა მათისა დახოცისა არ გაისმა არსით არა.
წამოვიდა ვარდი ტუბილი, რასამცა ვით გაემწარა!
ესე მიკვირს, სისხლი მათი ასრე ვითა მოიპარა!
და რომე წუღან წამოველო, გსა იგივე წაიარა.

1303

რა ფათმანისსა შევიდა ლომი, მზე, მოემე წულიანი,
უბრძანა: „მოვკალ, მან ეშამან დღე ველარ ნანოს მზიანი,
თვით მონა შენი მოწმად მყავს, ფიცი აფიცე ღმერთიანი,
და ამა თითი და ბეჭედი, და დანა მიქს სისხლიანი.

1304

164v „აწ მითხარ, თუ რას იტეოდი, რას გაშმაგდი ისრე რეტად?
რას გექადა ინი კაცი? მესწრაფების მეტის-მეტად“.
ფატმან ფერხთა მოესვია: „არ ღირს ვარო პირსა ჭერეტად,
და გამიმრთელდა გული წულული, აწუა დავკვე ცეცხლთა შრეტად..

1305

„მე და უსენი¹ შევილითურთ აწ ახლად დავიბადენით;
ლომო, ქებანი შენნიმცა ჩვენ ვითა ვადიადენით!
ვინათგან სისხლთა ამისთა დაღვრევა დაუიქადენით,
და თავითგან გითხრობ ეველასა; თქვენ სმენად დაემზადენით“.

აქა ფატმანისაგან ნესტან-დარეჯანის ამბვის მბობა ავთანდილის წინაშე

1306

„ამა ქალაქსა წესია, დღესა მას ნავროზობასა
არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა;
უოველნი სწორად დაუიწუებთ კაზმასა, ლამაზობასა,
და დიდსა შეიქმან მეფენი ჰერობა-დარბაზობასა.

1303¹ ესე ფატმან მოისმინა, გაუკვირდა მეტად დია,
ფერხთა კოცნად ეხვეოდა, პირსა ტუბილად შემხედი ა;
„გაღანამცა გამისრულე, ლომო, რაცა მიქაღია,
და აწ შექადაღეს იგი მოემე, მკედარი ზღვისკენ გაგიგღია“.

1305¹ „ჩვენთვის მოიღე ანაზლად წყალობა ზეცით, ღმრთულები²,
ერთობით გვიხსენ სიკვდილსა, ახლად მოგვიდგი სულეზი;
მე მიკვირს ეგრე სიკეთე, რაზომცა ვიგულავულები.
და აწ წერილად [ბ]კალრო ყველაი მე იმა ყმასთან თქმულები“..
1 უსენი. 2 მღრთულები.

1307

„ჩვენ დიდ-ვაჭართა ზედა გვატ დარბაზს მიღება ძღვენისა,
მათ საბოძერისა ბოძება მართებს მსგავსისა ჩვენისა;
ათ დღემდინ ისმის უოველგნით ხმა წინწილისა, ესნისა,
და მოედანს მღერა, ბურთობა, ღრგიალი ცსენთა ღვენისა.

1308

165r „ქმარი ჩემი დიდ-ვაჭართა წაუძღვების, უსენ, წინა,
მათთა ცოლთა მე წაყასხამ, მაწვეველი არაჲ მინა;
დედოფალსა ძღვენსა უძღვნით; მდიდარი თუ გლახა ვინ ა,
და დარბაზს ამოდ გაუისარებთ, მსიარულნი მოვადით შინა.

1309

„დღე მოვიდა ნაფროზობა, დედოფალსა ძღვენი [ვ]სძღვენით;
ჩვენ მივართვით, მათ გვიბოძეს, ავაუსეთ და ავივსენით;
ჟამიერად მსიარულნი წამოვედით ნებით ჩვენით,
და კვლა დავსხედით გახარებად, მუნებურნი არ ვიუვენით.

1310

„ბაღსა შიგან თამაშობად საღამოსა გაველ ემსა,
გავიტანე ხათუნები,—მათი კმევა ჩემგან ხამსა;
მომევებოდეს მომღერადნი, იტყოდიან ტკბილსა სმასა,
და ვი[მ]ღერდი და ვემაწვილობდი, ვიცვალეზბდი რიდე-თმასა.

1311

„იქ ბაღსა შიგან ტურფანი სახლნი, ნატიფად გებულნი,
მაღალნი, უოველგნით მხევეულნი, ზღვას ზედა წაკიდებულნი,
მუნ შევიტანენ ხათუნნი, იგი ჩემთანა სღებულნი,
და კვლა დავიდევით ნადიმი, დავსხედით ამოდ შებულნი.

1312

165v „ვაჭრის ცოლთა მსიარულმან უმასწინძლე ამოდ, დურად;
სმასა ზედა უმისესო გავსე რამე უგემურად,
რა შემატყვეს, გაიუარა, სხდომილ იყო რაცა ჰურად,
და მარტო დავრჩი, სევდა რამე შემომექცა გულსა მურად.

1313

„უკმოვასვენ სარკმელნი და შევაქციე ჰირი გზასა,
ვისხედვიდი, ვიქარებდი კაუნისა ჩემგან ზრდასა;
შორს ამიჩნდა ცოტა რამე, მოცურვიდა შიგან ზღვასა,
და მფრინველად ვთქვი, ანუ მსეცად, სხვას ვამსტავსე მემცა რასა!

1314

„მაშორვიდა, ვერად ვიცან; მოშეახლა, იყო ნავი;
ორთა კაცთა, ტანად შავთა, თვით შირიცა ვდგა შავი;
იქითა-ქით მოსდგომოდეს, ახლოდ უჩნდა ოდენ თავი,
და გამოიღეს, გამიკვირდა იგი უცხო სანახავი.

1315

„გამოზინდეს იგი ნავი, გამოიღეს ბაღსა წინა,
მიიხედნეს, მოისუდნეს, ვინ გვიტყვირეტსო, სადა, ვინა,
ვერა ნასეს სულთერი, ვერცა რამან შეაძინა;
და მე იღუმაღ ვიხედვიდი, სულ-ღებული ვიუავ შინა.

1316

166r „მით ნავიდაღმან, მათ¹ რომე გარდმოსვეს კიდობანითა,
აზხადეს, ქალი გარდმოჰსდა უცხოთა რათმე ტანითა,
თავსა რიდითა შავითა, ქვეშეთ მოსილი მწვანითა,
და მზესა სიტურფედ ეყოფის, იყო მისითა გვანითა.

1317

„რა მობრუნდა ქალი ჩემკენ, შემოადგეს სხივნი კლდესა,
ღაწეთა მისთა ელვარება ელვარებად სმელთა ზესა;
დავიწუხენ თვალნი, უოლა ვერ შევადგენ, ვითა მზესა,
და უკმოვიხარჩ კარი ჩემგან, მათი ჭერეტა ვერა ცნესა.

1318

„მოვიხმენ ოთხნი მონანი, ჩემსა წინამე მდგომელნი,
ურევნე: «ხედავთ, ჰინდოთა ტუვედ ჰეკანან შუქნი რომელნი?
ჩაუბარენით, ჩაედით წუნარად, ნუ ჩქარად მსტომელნი,
და მოკეიღონ, ფასი მიეცით, რასაცა იუვენენ მდომელნი.

1315¹

უნენ წასულა ქალაქად თვალ-მარგალიტის მნახველად;
ვაპარი ვინმე ენახა, მივიღა² მისად მსახველად;
მას ეუბნების; „რა გაქო?“ — თვალი აქვს არად მფახველად.
და მან ვერ სცნა ესე აშავი, ფატმან მივიღა რა ველად.

1316¹

აუთანდილს გული შეეძრა ამა სიტყვისა სმენითა,
ენიშნა ფერი რიდისა ტარიელისგან თქმენითა;
მაგრამ იხმარა სიწუნარე, იყო დილითა თმენითა,
და სხვა არა უთხრა, ასტირდა ცრემლით ტბა დასადგმენითა.

1318¹

აკვლავა დავედრე სიურთხილე, ქაჯნია იგი გრძნეულნი;
არ მოიშორეთო გულითა სწავლანი აწ ჩემეულნი;
ზღუდაკენ გზანი მოსტაკუო, მუნ არ შევტურდენ წყეულნი.
და აღრე მოგელი, მოჰფინოთ ჩემთვის სინათლე მზეულნი“.

1 მთხ. 2 მივიღა.

1319

«თუ არ მოგცენ, ნულარ მისცემთ, წაგვარეთ და დაჰსოცენით, მოიუკანეთ ისი მთვარე, ქენით ჯარგად, ვცადენით!»
ჩემნი უმანი ზედადაღმან ჩაეპარნეს, ვითა ფრენით,
და დაევაჯრნეს, არ მიჰვიდეს, შავნი ვნახენ მეტად წყენით.

1320

z66v „მე სარკმელთა გარდავადეგ. რა შევიცენ, არ მოჰვიდეს, შეუსახენ: «დაჰსოცენით!» დაიპყრნეს და თავსა სჭრიდეს; იგი ზღვასა შეასრივნეს, შემოადგეს ქალსა, სცვიდეს;
და ჩავეკებე, გამოვგვარე, ზღვის ჰირს ხანსა არ დაზმიდეს.

1321

„რა გაამბო ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა!
ვჰფიცავ, რომე იგი მზეა, არა ჰმართებს მზესა მზობა!
ვინ გაიცდის მუქთა მისთა, ვინმცა ვით ქნა ნახაზობა!
და მე თუ დამწეავს, აჰა მსა ვარ, აღარ უნდა ამას მზობა!“

1322

ესე სიტყვა დაასრულა, ფატმან იკრნა ჰირსა ხელნი;
ავთანდილსაც აეტირნეს, გარდმოუარნა ცრემლნი ცხელნი;
ერთმანერთი დაავიწედა, მისთვის გაჰსდეს ვითა ხელნი;
და ღვარმან, ზედათ მოღენილმან, გააწკალნა ფიფქნი თხელნი.

1323

მოიტირეს, ემამან უთხრა: „ნულარ გასწევეტ, გაასრულე“.
ფატმან იტყვის: „მივეკებე, გული მისთვის ვაერთგულე,
გარდუკოცნე უოვლი ასო, თავი აზად მოვაბულე,
და ზედა დავსვი ტახტსა ჩემსა, შევეკვეთე, გავესულე.“

1320¹

წაართვის წესტან-დარეჯან, აქამლის ზღვაში ტყვედ არი;
ქაჯნი დახოცნეს, ზღვას მისცეს, არ იყო მათთვის ცხედარი;
ფატმან რა ნახა, ჩაგზანა იგ ორნი ვინმე მხნედ არი;
და მოეგება და ესვევის, ვინ ნახოს ეგრე მზე-ღარი.

1322¹

ფატმან რა ნახა ავთანდილ ტირილით შემეიდრებული¹,
გულს ეტყვის თუ: „ეხე არის მის მზისა ძებნად რებული;
ნეტარ, ვითმც ვიყო სამისოდ თავის თაე დამტერებული!
და ეს მას წაუღვებს, მე დაურჩე უმისოდ გამწარებული“.

1322²

ჰკითხავს: „გინახავს იგი მზე, ანუ გაქვს მცნეირობა?
შენ ეგრე შეგპირს, გეტყობის, გწადს მისთა მტერთა მტერობა“,
ავთანდილ უთხრა: „შენ სრულქმენ ჯერ ეგე სიტყვიერობა,
და მერმე შენცა ჰქენ ჩვენისა თქმელისა დანაჯერობა“.

¹ შემეიდრებული.

1324

167r „გუჰადრე: ამითხარ, ვინ ხარ, მზეო, ანუ შვილი ვისთა ტომთა? იმა ზანგთა სით მოჰყვანდი შენ, პატრონი ცისა ზომთა?„
მან ზასუსნი არა მითხრა მე სიტყვათა ესეზომთა,
და ას-ნაკეცი წყარო ვნასე ცრემლთა მისგან მონაწირომთა.

1325

„რა მივაჭირვე კითხვითა, მეტითა საუბართა,
გულ-ამოხრჩვინვით ატირდა მით რამე ხმითა წყნართა;
ბროლ-ლალსა ღვარი ნარგისთა მოსდის გიშრისა ღართა;“
და მისი მჭკრეტელი დავიწვი, გაგჰხე გულითა მკვდართა.

1326

„მითხრა: „შენ ჩემთვის, დედაო, ხარ უმჯობესი დედისა,
რას აქნევ ჩემსა ამბავსა, ზღაპარი არის ებედისა!
ღარიბი ვინმე, შემსწრობი ვარ უბედოსა ბედისა;“
და თუ რადა მკითხო, ძალიმცა გიგმია არსთა მხედისა.“

1327

„ვთქვი: „უეამოდ არ წესია მოყვანა და მზისა ხმობა;
მომეყვანელი გაშმაგდების და წაუვა ერთობ ცნობა;
ხმობა უნდა ქამიერად, საჯოსა უოვლსა თსრობა.“
და რად არ ვიცი ამა მზისა საუბრისა უეამობა?“

1328

167v „ავიუვანე იგი ჰირ-მზე ნაქები და ვერ ვთქვი უქი;
სურვილმან და მზემან მისმან, მლივ დაემაღლე მისი შუქი,
ჩამოვებურე მრავალ-კეცი სტაურა მძიმე, არ სუბუქი;
და ცრემლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, წამწამთაგან მოქრის ბუქი..“

1329

„მოვიუვანე შინა ჩემსა იგი ჰირ-მზე ტანით ალვით,
მოუკაზმე სახლი ერთი, მიკა დაესვი მეტად მალვით;
არვის უთხარ სულიერსა, შევინახე ფარვით, კრძალვით.“
და ერთი ზანგი გამსახურე, მე შევიდი, ვნახი ხალვით.

1330

„ვით გიანბო საკვირველი მე, გლახ, მისი უოფა-ქცევა,
დღე და ღამე გაუწვევებლად ტირილი და ცრემლთა ფრქვევა!
მევესვეწი: „დადუმდიო“, წამ ერთ ქონდის ჩემი თნევა.“
და აწ უმისოდ ვით ცოცხალ ვარ, ჰაი ჩემთვის, ვაგლახ მე, გა.

1331

„მინა შევიდი, მას წინა ედგის ცრემლისა გუბები,
მიგან სისხლისა მორევსა ეერდნის გიმრისა შუბები,
მელნისა ტბათათ იღვრების სავეს სათისა რუგები,
და შუა მოწსა და აკიკსა ჭვირს მარგალიტი ტუეუბები.

1332

1687 „უაში ვერ ვპოვე კითხვისა ნიადაგ ცრემლთა ღვრისაგან, -
თუმცა შეკითხა: «ვინ სარ და ეგრე გასრული რისაგან?»
მჩქეფრად სისხლისა ნაკადი მოსდის ალვისა ხისაგან,
და მას ხორციელი რა გასძლებს სსვა, კიდევანი ქვისაგან!

1333

„არად უნდის საბურავი, არცა წოლა საგებლითა,
მიწევი იევის რიდითა და მით ერთითა უაბაჩითა,
შკლავი მისი სასთაულად მიიღვის და მიწვის მითა,
და ძლივ ვაქამი ცოტა რამე ათანითა შესვეწითა.

1334

„სსვა გიამბო საკვირველი რიდისა და უაბაჩისა;
ვარ მნახავი უოვლისავე უცხოსა და ძვირფასისა,
მაგრა მისი არა ვიცე, ქნილი იყო რაგვარ რისა:
და სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა.

1335

„მან ტურფამან სახლსა ჩემსა ეგრე დაუო ხანი დიდი;
ვერ გავანდევ ქმარსა ჩემსა, შესმუნისა მქონდა რიდი;
ვოქევი: «თუ უთხრობ, ვიცე, დარბაზს განმელაუნებს ისი ფლიდი».
და ესე შეუო საგონებლად, კვლა შევიდი, კვლა გავიდი.

1336

1688 „ვოქევი: «თუ არ უთხრა, რა უყო, ჩემგან რა მოეკვარების,
არცა რა ვიცე, რა უნდა, რა ვისგან მოეხმარების;
ქმარი რა მიგრმნობს, მოცამელავს, ველარას მომეფარების;
და ვითა დავმალო ნათელი, ვინ მშესა დაედარების?!

1337

„მე, გლას, მარტომან რა უყო, მიმატებს ცეცხლთა დებასა!
მო და გავანდო, ნუ შევალ უსენის შეცოდებასა;
არ გამელაუნოს, ვაფიცო, თუ მომცემს იმედებასა,
და სულსა ვერ წასწეშედს, ვერა იქს ფიცისა გაცუდებასა..

1336

„მივე მარტო, ქმარსა ჩემსა ველადობე, ველადიცე,
მერმე უთხარ: «გიოთხრობ რასმე, მაგრა ჰირველ შემომფიცე,
არვის უოხრა სულიერსა, საფიცარი მომეც მტკიცე».

და ფიცი ფიცა საძინელი: «თავიცაო კლდესა ვიცე!»

1339

„რაცა მითხრა, სიკვდილამდის არვის უთხრა სულიერსა;
არა ბერსა, არა ემასა, მოუვარესა, არცა მტერსა».

მერმე უთხარ ვეველაკაი უსენს, კაცსა მლმობიერსა:

და «მოდი, მომევე აქა სამე, მე გიჩვენებ მზისა ფერსა».

1340

1692 „ადგა, ამევა და წავედით, შეველენით კარნი სრისანი.

უსენ გაჰკვირდა, გაცაჰკრთა, რა შუქნი ნასნა მზისანი;

თქვა: «რა მიჩვენე, რა ვნახე, რანია, ნეტარ, რისანი?»

და თუ ხორციელი არისცა, თვალნიმცა მრისხვენ ღმრთისანი!»

1341

„ეთქვი, თუ: «არცა რა მე ვიცი ამისი ხორციელობა,

რაცა არ გითხარ, მის მეტი მაქე არცა შეცნიერობა;

მე და შენ ვკვითხოთ, ვინ არის, ვისგან სჭირს ისი სელობა,

და ნუთუ რა გკვითხრას, ვეაჯნეთ, ქნას დიდი ღმობიერობა».

1342

„მივედით, გვექონდა ორთავე კრძალვა მისისა კრძალვისა;

ვჰკადრე, თუ: «მზეო, სახმილი გვედების შენგან აღისა,

გკვითხარ, რა არის წამალი მთვარისა შუქნამკრთალისა?

და რას შეუქნისარ ზაფრანად შენ, ფერად მსგავსი ლალისა?»

1343

„რაცა ვკვითხეთ, არა ვიცი, ესმა, ანუ არ ისმენდა:

ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აჩენდა;

გველნი მომლით მოეკეცნეს, ბაღი შეღმა შერეშენდა,

და მზე ვემაჰსა დაებნელა, ზედა რადმცა გაგვიოთენდა!»

1344

1697 „ვერა დავჰვარეთ ჰასუსი ჩვენ საუბრითა ჩვენითა:

ვეფხი-ავაზა ჰირ-ქუმად ზის, წერომა ვერ უგრძენითა.

კვლაცა ვაწეინეთ, ატირდა მჩქეფრად ცრემლისა ღენითა,

და «არა ვიციო, მიმიშვი!» ეს ოღენ გვიოთხრა ენითა.

204

1345

„დაესხედით და მას თანავე ვიტრეტო. და ცრემლი ვლაპეთ,
რაცა გვეთქვა, შევინანეთ, სსვამცა რაღა შევიწამეთ!

ძლივ ვიჯუეთ დადუმება, დავაღუმეთ, დავაამეთ,

და ჩვენ მივართვით ხილი რამე, მაგრა ვერა ვერ ვაჭამეთ.

1346

„უსენ იტყვის: «ბევრ-ათასნი ჰირნი ამან ამისოცნეს;

ესე ღაწენი მზისად სმანან, კაცთაგანმცა ვით ივოცნეს!

უმართლუა, ვერ-მეკერეტელმან თუ ჰატიენი იასოცნეს,

და მე თუ შეიღნი მირჩევნიან, ღმერთმან იგი დამისოცნეს!»

1347

„მას უტყვრიტეთ დიდი ხანი, წამოვედით სულთქმით, ასით.

შეურა გვიჩნდა სისარულად, გაურა დიდად ვივაგლასით.

ვაჭრობისა საქმისაგან მოვიცალით, იგი ვნახით,

და გული ჩვენი გაუშვებლად დაეტყვევენეს მისით მახით.

170r

უსენისაგან გამქლავნება

ნესტან-დარეჯანისა მეფესთანა

1348

„რა გარდახდა ხანი რამე, გამოვიღეს ღამე-ღღენი,

უსენ მითხრა: «არ მინასავს მოღანდიდგან მეფე ჩვენი.

მივაზირებ, წავალ, ვნახავ, უღარბასო, უძღვნა ძღვენი».

და მოვასხენე: «ღია, ღმერთო, ბრძანებაა ეგე თქვენი!»

1349

„უსენ ტაბაკსა დააწყო მარგალიტი და თვალეები;

დავეედრე: «დარბაზს დაგსვდების დარბაზის ერი მთვრალეები;

ამა ქალისა ამბავსა, მომკლავ, თუ არ ეკრძალეები».

და კვლა შემომფიცა: «არ ვიტყვი, თავსაცა მეცეს სრმალეები!»

1350

„უსენ მოვიდა, სელმწიფე დახვდა ნადიმად მადომელი,—

უსენ არიფი მეფისა, მეფეა მისი მდომელი,—

წინა მიისვა, შეიმღვნა, ძღვენი მიართვა რომელი.

და აწ ნახო მთვრალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი, რომელი.

1347¹

[პირველი და მეორე სტრიქონი წაჭრილია].

მას გვერდით ცხენი უბია ცი ... ნი.

და კაცი ლაშქართა უმაღლე, ტახტი უდგს პატიოსანი.

„რა მეფემან უსენს წინა სვა მრავალი დოსტაქანი,
კვლა შესვეს და კვლა აუვისეს სხვა ფარჩი და სხვა ჭიქანი.
დააწვიჯეს იგი ფიცი, რა მუსაფი, რა მაქანი!

და მართლად თქმულა: «არა ჰმართებს ევაკსა ვარდი, ვირსა რქანი».

1352

170v „უთხრა დიდმან ხელმწიფემან უტკუოსა¹ უსენ მიივრგალსა:
«ღია მიკვირს, სამღუნოდ ჩვენად სით მოილებ ამა თვალსა,
მარგალიტსა დიდროანსა, უმსგავსოსა ჰპოვებ ლალსა?»

და ვერ გარღვისდი, თავმან ჩემმან, ძღვენთა შენთა ნათალსა».

1353

„თაყვანის-სცა უსენ, ჰკადრა: «ჰე, მაღალო ხელმწიფეო,
ზეცით შექთა მომფენელო, მარჩენელო არსთა, მზეო!
რაცა სხვა მაქვს, ვინი არის ოქრო, თუნდა საჭურჭლეო?»

და დედის მუცლით რა გამოძევა? მბომეზია თქვენგან მეო.

1354

«ამას [ც]კადრებ, თავმან თქვენმან, არა გმართებს მადლი ძღუნისა;
სხვა რამე მითქს სანძლო თქვენი, შესართავი თქვენის მისა;
მას უცილოდ დამიმაღლებთ, ოდის ნასთო მსგავსი მზისა,

და მაშინ მეტად გაამრავლოთ თქვენ ბრძანება ნეტარმისა».

1355

„რას ვაგრძელებდე! გატეხა ფიცი, სიმტკიცე სჯულისა,
უამბო ჰოვნა ქალისა, მჭვრეტაგან მზედ სახულისა.

მეფესა მეტად იამა, მიეცა ღსინი გულისა,

და უბრძანა დარბაზს მოყვანა, სრულ-ქმნა უსენის² თქმულისა.

1356

171r „მე აქა ჩემსა ამოდ ვკე, მუნამდის არ მიკვნესია.

შემოდგა კარსა მეფისა მონათა უხუცესია,

თანა ჰევა მონა სამოცი, ვით ხელმწიფეთა წესია,

და მოვიდეს; მეტად გავჰკვირდი, ვჰთქვი: «რამე საქმე ზესია».

1357

„მისალამეს, «ფატმან, — მითხრეს, — ბრძანებაა ღმრთისა სწორთა:

ღღეს რომელი უსენ შესძღვნა ქალი, მსგავსი მზეთა ორთა,

აწ მოგვგვარე, წავიუვანოთ, ვლა არ გვირდა გზათა შორთა».

და ესე შესმა, დამტუჯეს ცანი, რისსვა ღმრთისა ეცა გორთა.

¹ უტკიოსა. ² უსენისა.

1358

„მე გაკვირვებით კვლავ ვპკითხე: «რა ქალი გინდა, რომელი?» მათ მითხრეს: «უსენ შემოსმუნა პირი ელვათა მკრთომელი». არას მარგებდა, დავასკვენ დღე ჩემი სულთა მსდომელი, და ავთოთოლდი, ავდეგ ველარა, ვერცა ქვე ვიყავ მჯდომელი.

1359

„შევე, ვნახე იგი ტურფა მტირალად და ცრემლ-დასხმულად, ვპკადრე: «მზეო, ბედმან შევან ვით მიმუსთლა, სედავ რულად! ცა მობრუნდა რისხვით ჩემთვის, იავარ-მეო, ამფხვრა სრულად, და შემასმინეს, მეფე გითხოვს, ვარ ამისთვის გულ-მოკლულად».

1360

171V „მან მითხრა: «დაო, ნუ გიკვირს, ეგე რაზომცა მნელია! ბედი უბედო ჩემზედა მიწიე ვისა მქნელია. კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი [რა] საკვირველია! და სსუა-და-სსუა ჭირი ჩემზედა არ ახალია, მეელია».

1361

„თვალთათ ვითა მარგალიტი გარდმოყარა ცრემლი სშირი, ადგა ასრე გულ-უშიძრად, ვეფსი იეო, ანუ გმირი, ღსინი ღსინად არად უნდა, მართ აგრევე ჭირად ჭირი. და მთხოვა, გარე აჯალითა მოიბურა ტანი, პირი.

1362

„შევე საჭურჭლეს, რომელსა ფასი არ დაედებოდა, თვალ-მარგალიტი ავილე, რაც ოდენ ამელებოდა, თვითო და თვითო თვითოსა ქალაქსა ეფასებოდა, და მიველ, მას წელთა შევარტეი, შავ-გული მისთვის კვდებოდა.

1363

„ვარქვი: «ჩემო, განლა სადმე გესმარების ესეგვარი». მათ მონათა სელთა მივეც პირი, მზისა დასადარი. ცნა მეფემან, მოეგება, ჰკრეს ტაბლასა, გაჰხდა ზარი, და იგი მივა თავ-მოდრეკით, წყნარი არის მოუბარი.

1364

172r „ზედა მოატყდა მჭვრეტელი, გაჰხდა ზათქი და ზარები, ვერ იჭირვიდეს სრაანგნი, მუნ იეო არ-სიწყენარები; იგი რა ნასა მეფემან, საროსა მსგავსი ნარები, და გაჰკრთომით უთხრა: «ჰე, მზეო, აქა ვით მოიგვარები?»

1365

„ვით მზემან, მისნი მკვრეტელნი შექნნა თვალისა მფასველად;
მეფემან ბრძანა: «გამხადა ნახული მე უნასველად,
ღმერთისაგან კიდე ვინმც იყო კაცი ამისად მსასველად!»
და მართებს ამისთა მიჯნურთა, სელნი თუ რბოდენ, ახ, ველად!»

1366

„გვერდსა დაისვა, ეუბნა ტკბილითა საუბართა:
«მითხარო, ვინ ხარ, ვისი ხარ, მოსრული ვისით გვართა?»
მან არა გასცა პასუხი ჰირითა, მზისა დართა;
და თაუ-მოდრეკილი დაღრეჯით ქვე ზის ცნობითა წყნართა.

1367

„არ ისმენდა მეფისასა, რასა გინდა უბრძანებდა,
სხვაგან იყო გული მისი, სხვასა რასმე იგონებდა;
ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აღებდა,
და მკვრეტნი მისნი გააკვირნა, რასამცა ვინ იაზრებდა!»

1368

172v „მეფე ბრძანებს: «რა შევიგნათ, გული ჩვენი რათ ისწნების?»
ამ ორთა კიდეთაგანი აზრი არა არ იქნების;
ან ვისიმე მიჯნურია, საუკარელი ეგონების,
და მისგან კიდე არვისად სცალს, ვეღარცა ვის ეუბნების.

1369

«ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მსედი,
არცა ღზინი ღზინად უჩანს, არცა ჭირი ზედა-ზედი;
ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი,
და სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითა ტრედი».

1370

«ღმერთმან ქნას, შინა მოვიდეს მე ჩემი გამარჯვებული,
მე დავახვედრო ისი მზე, და, — მისთვის დამხადებული;
მან ათქმევინოს ნუთუ რა, ჩვენცა ვცნათ გაცსადებული,
და მუნამდის მთვარე შექ-კართომით ჯდეს, მზისა მომორებული»..

1371

„სელმწიფისა შვილსა გითხრობ კარგსა უმასა, გულოვანსა,
უებროსა ზნე და თვ[ა]ლად, შეენიერსა პირსა, ტანსა;
მაშინ ლაშქარს წასრულ იყო, მუნ დაჰყოფდა დიდსა ხანსა,
და მამა მისთვის ამხადებდა მას, მნათობთა დასაგვანსა.

1372

173r „მოიღეს, ტანს ჩააცვეს შესამოსელი ქალისა
მას ზედა მუქი მრავალი ჩნდა მნათობისა თვალისა,
დაადგეს თავსა გვირგვინი ერთობილისა ლალისა,
და მუნ ვარდსა ფერი აშვენებს ბროლისა გამჭვირალისა.

1373

„მეფემან ბრძანა: «მოჰკაზმეთ საწოლი უფლის-წულისა»-
დაუდგეს ტახტი ოქროსი, წითლისა მალრიბულისა;
ადგა თვით დიდი ხელმწიფე, პატრონი სრისა სრულისა,
და მას ზედა დასვა იგი მზე, ლხინი მჭკრეტელთა გულისა.

1374

„უბრძანა ცხრათა სადუმთა დადგომლად მცველად კარისად:
ხელმწიფე დაჯდა ნადიმად, მსგავსად მათისა გვარისად;
უბოძა უსენს უსომო მუქაფად მის მზის დარისად.
და სცემენ ბუკსა და ტაბლაკსა მოსამატებლად ზარისად.

1375

„გააკრძელეს ნადიმობა, სმა შეიქნა მეტად გრძელი,
ქალი ჰირ-მზე ბედსა ეტევის: «რა ბედი მიც ჩემი მკვლელი!
სადაური სად მოსრულ ვარ, ვის მივხედები ვისთვის ხელი,
და რა ვქნა, რა ვუო, რა მერგების, სიცოცხლე მჭირს მეტად მხელი!».

1376

173v „აკლავცა იტევის: «ნუ დავაჯანობ შეენებასა ვარდთა ფერსა,
ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა!
სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?
და რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა!»

1377

„სადუმნი უსმნა, უბრძანა: «ისმენდით, მოდით ცნობასა!
მოღორებულხართ, დამცდარხართ თქვენ ჩემსა პატრონობასა,
დამცდარა თქვენი ხელმწიფე, ჩემსა თუ ჰლამის ჰსმლობასა,
და ჩემთვის ბუკსა და ტაბლაკსა ცუდად, გლას, იცემს ნობასა.

1378

„არ ვარკ ვარ თქვენად დედოფლად, ჩემი გზა კიდევანია;
მამოროს ღმერთმან მამაცი, ჰირად მზე, სარო-ტანია!
სხვასა რად მნუკვთ საქმესა, ჩემნი საქმენი სხვანია,
და თქვენთან ჩემი სიცოცხლე არ ჩემი შესაკვანია.

1379

„უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიცემ დანასა,
თქვენ დაგზოცს თქვენი ჰატრონი, სოფელს ვერ დაჰყოფთ სანასა;
ესე სჯობს: მოგცე საჭურჭლე, მძიმე მარტყია ტანასა,
და მე გამაპარეთ, გამიშვით, თვარა დაიწუებთ ნანასა».

1380

1747 „შემოიხსნა მ:რგალიტი, შემოერტყა რაცა თვალი,
მოიხდა გვირგვინიცა გამჭვირვალი, ერთობ ლალი;
მისცა, უთხრა: «გამომიღეთ, გეაყები გულ-მსურვალი,
და მე გამიშვით, ღმერთსა თქვენსა მიავალეთ თქვენი ვალი».

1381

„მონათა მიხვდა სიხარბე მის საჭურჭლისა მძიმისა,
დაჰვიწყდა შიში მეფისა, ვითა ერთისა გზირისა,
გამოპარება დასკვნეს მის უებროსა პირისა.
და ნახეთ, თუ ოქრო რასა იქს, კვ[ე]როსი ეშმაკთა პირისა!

1382

„რა ოქრო მისთა მოევასთა აროდეს მისცემს ლხენასა¹,
ღღედ სიკვდილამდის სიხარბე შეაქნევს კბილთა ღრჭენასა:
შესდის და გაზდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა,
და კვლა აქა სულსა დააბამს, დაუშლის აღმაფრენასა.

1383

„რა ხადუმთა აუსრულეს საქმე მისი საწადელი,
ერთმან ტანსა აიხადა, მისცა მისი ჩასაცმელი,
სხვანი კარნი გამოარნეს, იჯაროდა დარბაზს მსმელი.
და დარჩა მთვარე გველისაგან გაუესებული, ჩასანთქმელი.

1384

1748 „მონანიცა გარდესვეწეს, გაიპარნეს მასვე თანა.
ქალმან კარსა დამირეკა, ფატმანობა ჩემი ბრძანა.
გავე, ვიცან, მოვეხვივე, გამიკვირდა მეცა განა!
და შინა უოლა არ წამოძევა: «რად მაწვევო?» შემანანა.

1385

„მებრძანა: «თავი ვიუიდე მოცემულითა შენითა,
მუქაფა ღმერთმან შემოგზღოს მოწუალებითა ზენითა!
კვლარ დამძალავ, გამიშვი, ფიცხლავ გამგზავნე ცსენითა,
და სადამდის სცნობდეს ხელმწიფე, კაცთა მომწვევდეს რბენითა».

¹ ლხენასა.

1386

„შევე ფიცხლად საჯინიბოს ავხსენ ცხენი უკეთესი,
შეუკაზმე, ზედა შევსვი მსიარული, არ მომკენესი;
ჰგვანდა, ოდეს ლომსა შეჯდეს მზე, [მ]ნათობთა უკეთესი,—
და წახდა ჩემი ჭირნახული, ვერ მოვიმკე, რაცა ვსთესი.

1387

„დღე მიიყარა, ხმა გასდა, მოვიდა მისი მდეგარი,
მოიცვეს პიგან ქალაქი, შეიქნა მოსაწყევარი;
მე შეითხეს, ვარქვი: «თუ ჰპოვოთ მუნ სახლსა, სადა მე ვარი,
და მეფეთა ვიყო შემცოდე და მათთა სისხლთა მსლვევარი!»

1388

275r „მონახეს, ვერა შეიგნეს, შეიქცეს დაწბილებულნი,
მას აქათ იგლოვს ხელმწიფე და უოვლნი მათნი სლებულნი.
დაჰსედენ დარბაზის ერთა, შეველენ ისფერით დებულნი,
და მზე მოგვეშორა, მას აქათ ჩვენ ვართ სინათლე-კლებულნი.

1389

„მას მთვარისა სადაობა კვლა გიამბო, საქმე კვლაცა;
აწ უწინა ესე გითხრა, რას მექადდა ისი კაცი:
მე, გლას, ვიუაგ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი.
და კაცსა დასერის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი.

1390

„მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა, მკლე არის და თვალად ნასი.
ისი კაცი ჩაშნიგირი დარბაზს იყო მეტად ხასი;
ჩვენ გვიყვარდა ერთმანერთი, არ მაცვია თუცა ფლასი,
და ნეტარმი ვინ სისხლი მისი შემასვრიტა ერთი თასი!

1391

„ესე ამბავი მასთანა ვთქვი დიაცურად, ხელურად:
ჩემსავე მოსვლა მის მზისა და გაპარება მელურად.
გამელაუნებასა მექადდა არ მოყვარულად, მტერულად,
და აწ ისე მკვდარსა ვიგონებ, იმ, თავი ვიხსენ მე რულად!

1392

275v „დამექადის, რაზომჯერცა წავიკიდნით თავის წინა.
ოდეს მესმე, არ მეგონა მე იმისი უოფა შინა:
მოსრულ-იყო, მოსვლა ეთქვა; შენცა მოსველ, შემეშინა,
და ამაღ კადრე: «ნუ მოხვალთა», მოგაკებე მონა წინა.
1 კალაჲ.

1393

„აღარ დაბრუნდით, მოხვედით, მუქნი თქვენ ჩემთვის არენითჲ.
შეივარენით ორნივე, ჩემზედა დაიჯარენით;
ამად შეეპინდი, ღონენი ვეღარა მო[ვ]ა[ცვ]არენით,
და იმას, გლახ, ჩემი სიკვდილი გულითა სწადდა, არ ენით.

1394

„თუმცა ისი არ მოგეკლა, მისრულიყო დარბაზს ვითა,
შემასმენდა ჯავრიანი, გული ეღვა ცეცხლებრ, სწვიდა;
მეფე მწერალი გარდასწმენდ[ღ]ა სახლსა ჩემსა, გარდაკვიდა,
და შვილთა, ღმერთო, დამაჴმევედა, დამქოლვიდა მერმე ქვითა!

1395

„მუჴაფა ღმერთმან შემოგზღოს!—მადლსა გკადრებდე მე რასა,—
რომელმან დამსენ მშვიდობით იმა გველისა მზერასა!
აწ ამას იქით ვნატრიდე ჩემსა ეტლსა და წერასა,
და აღარ ვიმიშვი სიკვდილსა, ჰაი, ქვე ჩავიჴერ [რ]ასა!“

1396

176r აუთანდილ უთხრა: „ნუ გემის, წიგნსაცა აგრე სწერია:
მოუგარე მტერი ეოვლისა მტრისაგანც უფრო მტერია,
არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია;
და ნულარ იმიშვი იმისგან, აწ იგი მკვდართა ფერია.

1397

„იგივე მითხარ, მას აქათ, ქალი გაგზავნე შენ ოდეს,
რაცალა გეცნას ამბავი, ანუ რა მისი გსმენოდეს“.
კვლა იტუვის ფატმან ტირილით, კვლა თვალთათ ცრემლი სდენოდესჲ:
და წახდესო მუქნი, რომელი მზისაებრ ველთა ჰფენოდეს!“

ამბავი ნესტან-დარეჯანისა
ქაჯთაგან შეჴურობისა

1398

ვა, საწუთროო, სიცრუვით თავი სატანას ადარე!
შენი ვერავინ ვერა ცნას, შენი სიმუსთლე სად არე;
პირი მზისაებრ საჩინო სად უჩინო ჰყავ, სად არე?
და მით ვხედავ, ბოლოდ სოფელსა ოხრად ჩანს ეოვლი, სად არე--

1397¹

„აწ მოგახსენო ამბავი, წაყვანა მისი ვისაგან,
რაცა მას აქათ მშენია მნახველთა კაცებისაგან,
ყველას წერილად მოგახსენებ, გულიცა მეღდას ქვისაგან,
და თქვენცა სცნობთ მისსა ამბავსა, თუ გარჯილობა გზისაგან“.

1399

ფატმან იტყვის: „მომემორა მზე, მნათობი სრულად ხმელთა,
სიცოცხლე და სულ-დგმულობა, მონაგები ჩემთა ხელთა;
მას უკანით გაუწვევტლად დება მჭირდის ცეცხლთა ცხელთა,
და ვერ გაკანში წუარო ცრემლთა, თვალთათ ჩემთა გარდამღვრელთა.

1400

ა76v „სახლი და შვილი მამულდეს, ვჯდი უგულოთა გულითა,
მას ვიგონებდი მღვიმარე, რა მიმეძინის ლულითა;
უსუნ, გამტეხი ფიცისა, მიჩს უსჯულოთა ხჯულითა,
და ვერ მიძიასხლოს სახსლოთ კრულმან ჰირითა კრულითა.

1401

„დღესა ერთსა სალამო-ეამს,—ჩასვლა იუო ოდენ მზისა,—
წაუდვტ წინა დარაჯატა, კარი მიჩნდა ხანდაგისა;
ვიგონებდი, სეგდა მკლვიდა მისისავე გონებისა,
და ვჰთქვის: «კრულია ზენაარი უოვლისამცა მამაცისა».

1402

„მოვიდა სითმე ღარიბი მონა მოყესითა სამითა,
მონა მონურად მოსილი, სხვანი მგზავრულად ხამითა;
სასმელ-საჰმელი მოიღეს, ქალაქს ნასკიდი დრამითა,
და სმიდეს, ჰამდეს და უბნობდეს, სხდეს მხიარული ამითა.

1403

„მე უუგრებდი, უჯვრეტდი; თქვის: «ამოდ გავიხარენით,
მაგრა ჩვენ აქა მოუე[ა]სნი უცხონი შევიუარენით,
არც არა ვიცით, ვინ ვინ ვართ, ანუ სით მოვიარენით,
და ხამს, ერთმანერთსა ამბავი ჩვენიცა უთხრათ ბარ ენით».

1404

ა77r „მათ სხვათა მათი ამბავი თქვეს, ვითა მგზავრთა წესია;
მონამან უთხრა: «ჰე, მმანო!, განგება რამე ზესია:
მე მარგალიტსა მოგიმი, თქვენ ქერიმი დაგითვისია,
და ჩემი ამბავი ამბავთა მაგათგან უკეთესია.

1405

„მე ვარო მონა მეფისა მალლისა, ქაჯთა მფლობლისა;
მათ მიხვდა ცემა სენისა, მათისა დამამხობისა:
მოგვიკვდა შემწე ქერივისა, შემწუალებელი ობლისა,
და აწ შვილთა მისთა და მისი ზრდის, უკეთესი მძობლისა.

1 ძამანო.

1406

«დელარდუსტ არის დიაცი, მაგრა კლდე, ვითა ლოდია,
ვისცა არ დაჰკოდს, ემა¹ მისი ვერავის დაუკოდია;
მს უსსენ წერილნი მმის-წულნი: როსან და ერთი როდია,—
და აწ იგი ქაჯეთს ხელმწიფედ ქვე ზის მორტყული წოდია.

1407

«გვესმა ამბავი, ზღვათ იქით სიკვდილი დისა მათისა,
შეიკირვებდეს ვაზირნი, დამალეს ქნა სალვათისა,
ვითა ვკადროთო დაუსება ზირისა, ხმელთა მნათისა?!
და რომაქ მონაა, თავადი მონისა ბევრ-ათასისა.

1408

177v «რომაქ ბრძანა: «მოცავენმკლავს, მე ტირილსა არ დაესვდები..
მინდორს წავალ, ვიმეკობრებ, ალაფითა ავივსები,
შინა მოვალ შოებული, ადრე შედა მოვესწრები,
და მეფე დისა დატირებად წავიდოდეს, წაცაუჭუვები»..

1409

«გვიტხრა მისთა სელისათა: «წავალ, თანა წამომეყვით!»
წაგვიტანა მონა ასი, უველაკაი მისგან რჩევით.
დღისით მზინით ვმეკობრობდით, ღამეთაცა ვიყენით თვეით;
და დია ვლექით ქარაუანი, ლარი ჩვენკენ გარდმოვდევით.

1410

«მინდორ-მინდორ მოვიდოდით ჩვენ ღამესა დია ბნელსა,
დიდი რამე სინათლენი გამოგვიჩნდეს შუა ველსა;
ვთქვით, თუ: მზეა, ნუთუ ზეცით ჩამოჭრილა ზედა ხმელსა!
და დაბნეული მივეცენით გონებასა ჩემსა მსჯელსა..

1411

«ზოგთა ვთქვით: არის ცისკარი; ზოგთა ვთქვით: არის მთვარეთ;
მას დარაზმულთა მიემართეთ, ახლოსმცა ვნანეთ ბარეთ!
მორს მოუარეთ, მივედით, შემოვადგით გარეთ;
და მით ნათლიდაღმა გამოჰხდა ხმა, ჩვენი მოუბარეთ.

1412

178r «გვიტხრა: «ვინ ხართ, ცხენოსანნო? თქვენ სასელი თქვენი თქვენით:
გულანმართო მოციქული ქაჯეთს მივალ, მერიდენით!»
ესე გვესმა, მოვადგით, ალუად გარე მოვერტყენით,
და პირ-მზე რამე ცხენოსანი გავიცადეთ. თვალით ჩვენით..

1 სს.

1413

«უპკურიტეთ ჰირსა მნათობსა, ელვათა მელეარებსა;
მისი ციმციმი შისისაებრ ეფინებოდა არებსა;
პვირ-პვირად გვეუბნებოდა სიტყვასა რასმე წყნარებსა,
და კბილთაგან შუქი შუადგა ზედან გომრისა სარებსა.

1414

«კვლავ ვეუბენით მას შხესა ტკბილ-მოუბრითა ენითა.
არ მონა იუო, ტეუოდა, ჩვენ ესე შევიგენითა;
რომაქ შეატეო ქალობა, გვერ[დ]სცა წაუდგა ცხენითა.
და აღარ გაუშვით, დაჯირვა ვჰკადრეთ სელითა ჩვენითა.

1415

«კვლავ ვკითხეთ: «გვითხარ მართალი საქმე შენ მხეებრ ნათლისა,
ვისი ხარ, ვინ ხარ, სით მოხვალ მანათობელი ბნელისა?»
მან არა გვითხრა, გაუშვა წუარო ცრემლისა ცსელისა.
და რა საბრალოა¹ გაუსილი მთვარე, ხანთქმული გველისა!

1416

178v «არცა რა ცსადი ამბავი, არცა რა დანამალავი,
არა, არ გვითხრა, ვინ იუო, ან ვისგან ნამუხთალავი;
ქუძ-ქუძად გვეუბნებოდა, კუძტი, თავისა მკრძალავი,
და ვითა ასპიტი, მკვრეტელთა მისთა თვალითა მალავი.

1417

«რომაქ გვიბრძანა: «ნუ ჰკითხავთ, აწ თურე არ-სათქმელია,
ამისი საქმე უცსოა², საამბობლადცა მნელია;
ბედი მეფისა ჩვენისა არსითგან სანატრელია,
და მით რომე ღმერთი მას მისცემს, რაც უფრო საკურველია.

1418

«ესე ღმერთსა მისაგვრელად მისად ჩვენთვის მოუცდია,
მიუტანოთ არმადანად, დაგვიმადლებს მეტად დია.
ნუ დაუძალავთ, გა[ვ]შელავნდებით, მეფე ჩვენი ამაუია,
და პირველ—მათი შეცოდება, მერმე დიდი აუგია».

1419

«მივემოწმენით, თათბირნი არ კიდე გაუკიდენით;
დავბრუნდით, ქაჯეთს მივმართეთ, მას წინა მოვეკიდენით;
არცა რა ვჰკადრეთ სელდასელ, არცა თუ წავეკიდენით;
და იგი ტირს, დაწესა გულ-მდუღრად ჩარცხის ცრემლისა კი დენით.

¹ საბრალოა ² უცხოა.

1420

- 179r «მე რომაქს გჰკადრე: «გამიშვი კვლა ადრე თქვენი მსლებელი; აწ გულანძარო ქალაქსა ვარ საქმის რასმე მდებელი».
მან გამომიშვა, აქ სადმე ლარი მიც წასაღებელი,
და თანა წაგიტან, წაცავალ მე მათი ზედა-მსწრებელი».

1421

- „მათ კაცთა დია იამა ესე ამბავი მონისა.
მე გავიგონე, შერემშრა ნაკადი ცრემლთა ფონისა,
მენიშნა, უოვლი ნიშანი ვიცან ჩემისა ღონისა,
და ცოტაი ღზინი მომეცა, მსგავსი დრამისა წონისა.

1422

- „მოვიუვანე იგი მონა, ახლოს დავსვი ჩემსა წინა,
ვჰკითხე: «მითხარ, რას იტყოდი? გაცონება მეცა მინა».
მან იგივე კვლა მიანბო, რაცა მუნით მოქმესმინა,
და მან ამბავმან გამაცოცხლა, სულ-მობრძავე დამარჩინა.

1423

- „მე ორნი შავნი მონანი მეუანან საესენი გრძნებითა:
უჩინოდ მივლენ-წამოვლენ მათითა სელოვნებითა;
მოვასხნენ, ქაჯეთს გაგვსავენ, ვარქვი, თუ: «ნუ დასდგებითა,
და მაცნობეთ მისი ამბავი თქვენითა მოქმედებითა».

1424

- 179v „სამ დღე მოვიდეს, მიაშბეს, ფიცხლა ებიჯა გზისადა:
«მიუგვრიაო მეფისა, ზღვათ იქით წამავლისადა,
გერვის შეუდგმან საჭურეტლად თვალნი, მართ ვითა მზისადა,
და ქვე დაუწინდავს საცოლედ როსან ცოტასა უმისადა.

1425

- «როსანს შევრთოთო, — დულარდუსტს მეფესა უბრძანებია, —
ჯერ ქორწილობად არა მცალს, აწ გული ცეცხლ-ნადებია».
შემოგიქცევი, შევისპლობ, ვინ ცისა მზედ ნაქებია“.
და ციხეს დაუს[ვ]ამს, ხადუმი ერთაი უახლებია.

1426

- «უოვლი მცოდნელი გრძნებისა მას თანა წაუტანია,
მით რომე გზა საჭიროა, მტერნი საომრად მზანია;
ქვე დაუერთა მოუშები, ვინც უფრო გულოვანია,
და დაეოვნების: წასრულა, ჯერთო ცოტაი ხანია.

1427

«ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია.
ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია,
მას კლდესა შუა გვირაბი, ასამკრომელი სვრელია,
და მუნ არის მარტო მნათობი, მისთა შემყრელთა მწველია.»

1428

ადორ «გვირაბის კარსა ნიადაგ მოუმე სცავს არ ჰირ-ნანსები,
ათი ათასი ჭაბუკი დგას, უველაკაი ხანსები,
ქალაქის კართა სამთავე—სამათას-სამათასები.
და გულო, გაგსაჯა სოფელმან, არ ვიცი და, გლას, რას ვები!»

1429

ესე ამბავი ავთანდილ ჰირ-მზემან, მაგრა ვაღამან,
რა მოისმინა, იამა, სხვაჯ არა გაუცხადა მან,
შესწირა ღმერთსა მადლობა ტურთამან დანაბადამან:
და „ამბავი ჩემი სალხინო მითსრაო ვისმანღა დამან!“

1430

ფატმანს უთხრა: „საუვარელო, კმა სარ ჩემგან სასურველად,
მე ამბავი სანატრელი მომანსმინე არ ჰირ-ბნელად,
მაგრა საქმე ქაჯეთისა გამაკონე უფრო მართულად,
და ქაჯი ეველა უსორცოა, რამან შექმნა ხორციელად?“

1431

„მის ქალისა სიბრალული ამანთებს და მიღებს აღსა,
მაგრა ქაჯნი უსორცონი რას აქნევენ, მიკვირს, ქალსა?!“
ფატმან უთხრა: „მომისმინე, მართლად გხედავ მანდა მკრთალსა,
და არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა.»

1432

ადის „ქაჯნი სასულად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი,
კაცნი, გრძნებისა მცოდნელნი, ზედა გახელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მავნებნი, იგი ვერვისგან ვნებულნი;
და მათნი შემბმელნი წამოვლენ დამბრძალნი, დაწბილებულნი.»

1433

„იქმენ რასმე საკვირველსა, მტერსა თვალთა დაუბრძობენ,
ქართა აღსმრევენ საძინელთა, ნაესა ზღვა-ზღვა დაამსობენ,
ვითა ხმელსა გაირბენენ, წუალსა წმიდად დაამსობენ,
და სწადდეს, დღესა ბნელად იქმენ, სწადდეს, ბნელსა ანათლობენ.»

1434

„ამისთვის ჯაჯად უსმობენ გარეშემონი ყველანი,
თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე სორციელანი“.
აუთანდილ მაღლი უბრძანა: „ცეცხლნი დამივსენ ცსელანი,
და დიდად მიაშენეს ამბავნი, სიტყუანი აწინდელანი“.

1435

გულითა ღმერთსა ადიდებს აუთანდილ ცრემლთა მდენელი;
თქვა: „ღმერთო, გმადლობ, რომელი სარ კირთა მომალსენელი;
უოფილი, მყოფი, უთქმელი, უურთავან მოუსმენელი,
და წეალობა თქვენი ისქითად არს ჩვენი გარდ-მოძფენელი!“

1436

1817 მის ამბებისა ცნობისათვის ცრემლით ღმერთსა ადიდებდა.
ფატმან ეჭვდა თავისათვის, ამაღ ცეცხლსა კვლა იდებდა;
ემა ნამუსსა ინახვიდა, სიყვარულსა იფერებდა,
და ფატმან ეელსა ესეგოდა, პირსა მშესა აკოცებდა.

1437

მას ღამით ფატმან იამა აუთანდილს თანა წოლითა;
ემა უნდო-გვარად ესევეის ეელსა ეელითა ბროლითა.
ჰკლავს თინათინის გონება, ძრწის იდუმლითა ძრწოლითა,
და გული ხელ-ქმნილი გასკრია მსეცთავე თანა რბოლითა.

1438

აუთანდილ მალეით ცრემლისა წეავს, დენად სისხლ ნართა[ვ]ისად.
მიგან მელნისა მორეგსა, ცურავს გიპრისა ნაეი სად;
იტყვის, თუ: „მნახეთ, მიჯნურნო, იგი. ვინ ვარდი ა ვისად,
და უმისოდ ნესეთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ევაეისად!“

1439

მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი, ქვისაცა დასაღბონია;
გიპრისა ტეერი აგუბებს, ვარდისა ველსა ფონია;
ფატმან მას ზედა იხარებს მართ ვითა იადონია.
და თუ ევაეი ვარდთა იმოვებს, თავი ბულბული ჰგონია.

1440

1818 გათენდა, ბანად წავიდა მზე, სოფელს შექ-ნაკიდები;
დიაცმან უძღვნა მრავალი კაბა, ეაბაჩა, რიდეები,
მრავალი ფერი სულნელი, ტურფა ჰერანგი, წმიდეები:
და „რაცა გწადდესო, ჩაიცვი, მე ნურას ნუ მერიდეები“.

1441

აუთანდილ თქვა: „საქმე ჩემი გავაცხადო ამა დღესა!“
სამოსისა გაჭრულისა ცმა აქამდის დაეწესა;
მას დღე უოული საჭაბუკო შეიმოსა ტანსა მხნესა,
და მოიმატა დაშენება, დაემსგავსა ღომი მშესა.

1442

ფატმანს ჰური შეეკაზმა ავთანდილის საწვეველად;
უმა შევიდა მხიარული მხიარულად, არ პირ-ბნელად:
ფატმან ნახა, გაუკვირდა ვაჭრულისა უმოსელად,
და შემოსცინა: „აგრე სჯობსო მენთვის ხელთა სასურველად“.

1443

ფატმან მისსა შეენებასა მეტის-მეტად ჰკვირებოდა.
მან პასუხი არა გასცა, თავის წინა ღიმილებოდა:
„შეეტყვების, არ მიცნობსო, რა რეგენადა რა გვარ ხმობდა!“.
და თუცა რასმე იფერებდა, მეტი არა ჰგაუიღოდა.

1444

182r ჰური ჰამეს, გაიუარნეს, უმა მივიდა მისსა შინა,
ღვინო-სმული, მხიარული, დაწვა, ამოღ დაიძინა;
სალამო-ჟამ გაიღვიძნა, მუქი ველთა მოაფინა,
და ფატმან უსმო: „მოდი, მნახე, მარტო ვარო, თავის წინა“.

1445

ფატმან მივიდა, ავთანდილს სმა ესმა მისგან ოხისა;
იტყოდა: „მომკლავს უცდილოდ ტანი ალვისა, მო, ხისა!“
გვერდსა დაისვა, ბაღში მისცა მისისა ნოხისა,
და ვარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი წამწამთა ქოხისა.

1446

ავთანდილ ბრძანა: „ჰე ფატმან, ვიცი, ეს საქმე შენია,
დაპკრთები ამა ამბავსა, მართ ვითა გველ-ნაკებენია,
მაგრა აქამდის მართალი შენ ჩემი არა გსმენია,
და ჩემნი მომკლველნი წამწამნი მხენი გიმრისა ხენია“.

1447

„გგონივარ ვინმე ვაჭარი, პატრონი ქარავანისა;
მე ვარ სპასპეტი მადლისა მეფისა როსტეგვანისა,
თავადი სპისა დიდისა, მათისა შესაგვანისა,
და მაქვს პატრონობა, მრავალი საჭურჭლე, მგზავსი ხანისა.“

1448

182v „შენ გიცი კარგი მოუვარე, ერთგული, მისანდობელი.
მათ უვის ერთი ასული, მზე სმელთა მანათლობელი,—
იგია ჩემი დამწველი და ჩემი დამადნობელი,—
და მან გამოგზავნა, დავაგდე პატრონი, მათი მმობელი.“

„რომე შენ ქალი გეოლია, მე ძებნად მისვე ქალისად,
 მივლია უოული ქვეყანა, მის მზისა მონაცვალისად;
 მისთვის გაჭრილი მინასავს, წევს ლომი ფერ-ნამკრთალი სად,
 და გამცუდებულად თავისად, მის გულისა და ძალისად“.

1450

ავთანდილ ფატმანს უოველი უთხრა ამბავი თავისა,
 ამბავი ტარიელისგან შემოსა ვეფხის ტყუვისა;
 უბრძანა: „შენ ხარ წამალი ჯერო შენგან უნახავისა,
 და ღონე წამშმისა ხშირისა, ეორნის ფრთებ-ნაფუშავისა.“

1450¹

ფატმან უთხრა: „არ ვიცოდი პირველ შენი ცეცხლა დება,
 მაგრამ ავად არ მოვიხდა ჩემი ხელის შემოდება;
 ჩვენ მზე გაპოვეთ დაკარგული, მაზედ ვაქენით ვალის-დება,
 და ღმერთმან აღრე მას შეგყაროს, ვისგანაც გაქვს გულის დება“.

1450²

ავთანდილ თავი დადრია სიცილით მოლიზღარემა,
 ფატმანს პრქვა: „ჩემთვის დაგბადა ტურფამან არე-მარემა,
 შენგან გამონდა ნაუელი, შექნი მოპტინა მთვარემა,
 და ესე ყველაი უსტარმან ქნა ჩემმან შესაწყენარემა“.

1450³

ვიოაც¹ დაედვა იმეღი თინათინს მზისა დაროსა,
 ებრძანა: „მუქი მთვარემან სამს წლამღი სხვაგან აროსა,
 მისნი ვერ-მჭვრეტნი ყვაეილნი დააზროს, დაამკენაროსა,
 და მერმე მოვიდეს მნათობი, მნათობსა შეყყაროსა“.

1450⁴

უამბო ყველა არაბთა, სიდიდე როსტევანისა,
 მეფობა თინათინისა, მზეებრ შექ-მონავანისა,
 მართ მიჯნურობა თავისა და ჭირნი ცეცხლთა წევანისა,
 და ან ძებნა ტარიელისა და პოენა გმირთა გვანისა.

1450⁵

იმა პირ-მზისა სახელი ნესტან-დარეჯან ხმობილი,
 ინლოთ მეფისა ასული, ქალი წყნარი და ლმობილი²;
 ტარიელ მისთვის ხელ-ქნილი, თვალთა ცრემლ-გაუხმობილი.
 და „მე ძმა ვარ მისი, დღეითგან შენცა იქნები ღობილი“.

1450⁶

„ქალსა შენ აქებ, გინახავს და მეტად მოგწონებია,
 ტარიელ სარო, პირად მზე, ვინც მოუთვალოს ზნებია!
 იყოდე, მასთან სხვა კაცა არსად არ სახსენებია.
 და ვევე, რაზე გარგოთ მე და შენ, თუ ღმერთისა ძალთა ნება“.

1450⁷

ფატმან შეწუხდა მათისა ამბისა გაგონებული,
 კვადრა თუ: „მისსა მიჯნურსა გექნები დაწუნებული,
 მე თქვენი ჭირი ჭირად მჩანს, ვით გულსა ცეცხლი გზნებული,
 და გავგზავნოთ, ქალსა ვაცნობოთ ამბავი მოსურებული“.

1 ვითაცა. 2 ღობილი.

1451

„მოდი და, ფატმან, მეწიე, ვეცადნეთ მათსა რგებასა,
უშუელოთ, იგი მნათობნი ნუთუ მიეცნენ შვებასა;
ვინცა სცნობს კაცი, ვეველაი ჩვენსა დაიწუებს ქებასა,
და ნუთუ კვლა მიხვდენ მიჯნურნი ერთმანერთისა სლებასა.

1452

1839 „მომგვარე, ქაჯეთს გავეგზავნოთ იგივე მონა გრმნეული,
ქალსა ვაცნობოთ ვეველაი ამბავი, ჩვენგან ცნეული;
მანცა გვაცნობოს მართალი, ვენათ მისი გამორჩეული,
და ღმერთმან ქნას, ქაჯთა სამეფო მოგესმას ჩვენგან ძღუეული!“

1453

ფატმან თქვა: „ღმერთსა დიდება, საქმენი მომხვდეს, მო, რანი,
დღეს რამე მესმნეს ამბავი, უკ[ვ]დავებისა სწორანი!“
მოგვარა მონა გრმნეული, შავი მართ ვითა უორანი;
და უბრძანა: „ქაჯეთს გა[ტ]ეზავნი, წა, გზანი გისხენ შორანი!

1454

„აწ გამოჩნდების სახმრობა ჩემთვის შენისა გრმნებისა,
ფიცსლა დამივსე სახმილი შენ ჩემთა ცეცსლთა გზნებისა,
მას მზესა ჰკადრე მიზეზი მისისა განკურნებისა“.
და მან უთხრა: „სვალე მოგართვა უოვლი ამბავი ნებისა“.

წიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილი

1455

ფატმან სწერს: „აჰა, მნათობო, სოფლისა მზეო ზენაო,
შენთა შორს-მეოფთა უოველთა დამწველო, ამაზრზენაო,
სიტყვა-მჭევრო და წელიანო, ტურფაო, ლამაზ-ენაო,
და ბროლო და ლალო, ოროვე კვლავ ერთგან შენათხზენაო!

1456

1838 „თუცა თუ შენი ამბავი შენ არა მომასმენიე,
მე ეგრეტა ვცან მართალი, მით გულსა შენთვის ველიე;
შენთვის ხელ-ქმნილსა ტარიელს ამბავითა მოალხენიე,
და ორნივე მისვდეთ წადილსა, იგი ვარდობდეს, შენ იე.

1454¹

„კვლაცა უთხრა: ზეაისარჯე, რაცა შენგან შეიძლების,
ჩვენსა ვარდსა მივეშველოთ, იგ უმზეოდ რათა კანდების?
თუ ჰაერი კარგი იქმნას, უმეტესად აუვაულების,
და რასაც კაცი ღმერთსა შესთხოვს, არაოდეს ასცილდებისა“.

1457

„მოსრულა შენად სამებრად მისი ძმად-მეფიცებული,
ავთანდილ, მოუმე არაბი, არაბეთს შიგან ქებული,
სწასწეტი როსტენ მეფისა, ვერვისგან დაწუნებული,
და შენ სწერდი შენსა ამბავსა, ლალი, ბრძნად გაცონებული.“

1458

„ჩვენ ამისთვის ესე მონა გამოგვზავნეთ თქვენსა წინა,
ვცნათ ამბავი ქაჯუთისა, მოსრულანცა ქაჯანი შინა?
მანდაურთა მეომართა ანგარიში წვრილად გვინა:
და ვინ არიან მცველნი შენნი, ან თავადი მათი ვინ ა?“

1459

„რაცა იცი მანდაური, მოგვიწერე, გაამყლავნე;
მერმე შენსა საყვარელსა ნიშანი რა გაუგზავნე!
შენი ეველა აქამდისი ჭირი ღსინსა გაათავნე,
და ღმერთსა უნდეს, მოყვარენი შესაფერნი შეგაზავნე!“

1460

184r „წადი, უსტარო, ისწრაფე, თუ მუსლი ჰქონდეს მალეები;
დაგნატრი, მიხვალ, დაგხედების ბროლი, სათი და ლაღები;
ბედად შენ მჯობსარ, უსტარო, გნახვენ დაშვევლის თვალები,
და შენს უკან ჩემი სიცოცხლე, თუ გესმის, არ გებრალეები?“

1461

ფატმან მისცა დაწერილნი მას გრძნეულსა სელოვანსა:
„ესე წიგნი მთართიო ქალსა, მზისა დასაგვანსა!“
მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა,
და მასვე წამსა დაიკარგა, გარდაფრინდა ბანის-ბანსა.

1462

წავიდა, ვითა ისარი კაცისა მშვილდ-ფიცხელისა.
რა ქაჯეთს შეჰხდა, ქნილ იუო ოდენ ბინდ-ბანდი ბნელისა.
უჩინოდ შევლო სიმრავლე მოყმისა, კართა მცველისა,
და მას მზესა ჰკადრა ამბავი მისისა სასურველისა.

1463

ციხისა კარნი დახშულნი შევლნა მართ ვითა ღიანი,
შევიდა ზანგი ჰირ-შავი, თმა-გრძელი, ტან-ნაბდინი;
იგი მზე დაჰკრთა, ეკონა სამისო რამე ზიანი,
და შესცვალა კარდი ზაფრანად, ლაქვარდის-ფერად—იანი.

1464

1848 ქაჯმან უთხრა: „ვინ გგონივარ, ანუ აგრე რად დაბნდები? მე ვარ მონა ფატმანისი, თქვენს წინაშე ნამგზავრები; ამა წიგნმან გამამართლოს, არ ტუუვილად გეუბნები, და მზისა შუქნი მოისწრაფენ, ვარდო, ადრე ნუ დასკვნები!

1465

„შვენებითა არსთა მზე ხარ ქვეყანისა არეული, ბროლ-ბალახში, მოწ-გიშერი, პირ-გავსილი მთვარეული, ალვის ნორჩი, ცისკრის ვარდი, მუშკ-სულნული ა[მ]ბრეული. და ნუ დასკვნები, წამ-ერთ მოვა ღმრთის წყალობა ადრეული“.

1466

პირ-მზე გაჰკვირდა ფატმანის ამბვითა საკვირველითა, ნუშნი გააზნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა. მას იგი წიგნი მონამან მისცა თავისა სელითა; და სულთქ[ვ]ამს, იკითხავს, უსტარსა ალტობს ცრემლითა ცხელითა.

1467

მონასა ჰკითხა: „მიანბე, ვინ არის ჩემი მძებნელი? ანუ ვინ მიცის ცოცხალი, მიწათა ზეჟან მტკეზნელი?“ მან მოასვენა: „გოკადრებ, რასაც ოდენ ვარ მცნებელი, და რა წამოსრულ ხარ, მას აქათ შენგან ჩვენია მზე ბნელი.“

1468

1858 „ფატმანის გული მას აქათ ლახვართა შენახვეია; მას რომე ცრემლი სდიოდეს, ზღვათაცა შენართვეია; მე ერთხელ შენი ამბავი მისთვის კვლაც მიმირთმეგია. და ღმერთსა ვიმოწმებ, მას აქათ ტირილი არ დალეგია.“

1469

„აწ ვინმე მოუძე მოვიდა შვენიერთა პირითა, მან უთხრა წვრილად კველი, თქვენ ხართ რათაცა ჭირითა. იგია შენი მძებნელი მკლავითა ვითა გმირითა, და მე გამომგზავნეს, დაშვედრეს სწრაფა სწრაფითა სპირითა“.

1470

ქალმან უთხრა: „მემართლების, ემაო, შენი ნახუბარი! ფატმან ჩემი არ იცოდა, ვიყავ ვისი წანაგვარი. უღონიოდ არის სადმე ჩემი ცეცხლთა მომდებარი, და მე მიუწერ, შენცა ჰკადრე, ვარ ვითამცა გულ-მდუღარი.“

1470¹

„კვლაცა უთხრა: აშენცა მხელავ, სადა უზივარ საღაური, სით დამეძებს, ვინც მოსულა, თუმცა არის მუნებური; ყველა შენცა მოახსენე, რაც აქ მხელავ, ჩვენებური, და ღმერთს მიენდოს ჩემს საქმესა და დაუგდოს მასვე ყურიო“.

წიგნი ნესტან-დარეჯანისა ფატმანთანა, თავის ხელითა სწერს

1471

„პირ-მზე ვჰწერ: აჰა, სათუნო, დედისა მჯობო დედაო! მისგან ტევე-ქმნილსა სოფელმან რა მიუო, ამას ხედაო? მე, გლახ, მათ ჩემთა პატიჯთა სხვაცა დამერთო ზედაო, და აწ ვნასე შენი უსტარი, მე დიდად მიემედაო.

1472

1859 „შენ ორთა დამსვენ გრმნეულთა, გამიადვილე ჭირები, აწ აქა სრულთა ქაჯთაგან ვარ ასრე დანაპჭირები: ერთსა მცავს ერთი სამეფო, ბევრჯეფლ ათასი გმირები, და ავად მომიხდა თათბირი და ჩემი დანაპირები!

1473

„სხვად ამბავი აქაური მეტი რამცა მოგოწერე: ქაჯთა მეფე არ მოსრულა, არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე, მაგრა სანანი უთვალავნი მცვენ და მათი სიალფერე, და რასა ჰქვიან შებნა ჩემი? არ ეგების, დაიჯერე!

1474

„ვინცალა ჩემი მშებნელი მოსრულა, ცუდ-მამურალია, იჭირვის, იწვის, ენთების, ჩემი სწვავს ცეცხლებერ აღია, მაგრა მას ვჰნატრი, უნახავს მზე, აჰად არ დამხრალია, და უმისოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ბრალია!

1475

„შენ ამბავი არ გიამბე, მაშინ აჰად დაგიმალე, ვერ იტეოდა ენა ჩემი, თავი ჭირთა გაუკერძალე: გუხეუწები, საუვარელსა შემახეუწე, შემიბრალე, და ნუ წამოვა შებნად ჩემად, მიუწერე, შეცასთვალე.

1476

1867 „მე რომ მკირს, კმარის, ნუ მომკლავს ამისითავე სწორითა: მას მკედარსა ვნახავ, მოკკედები მე სიკედილითა ორითა. ვერას ვინ მარგებს, დასტურად ვიცი, არ რამე ჭორითა, და არ დაგმორჩილდეს, დაშქოლე შავისა ქვისა უორითა.

1477

«გეთქვა ნიძნისა გაგზავნა, აწ ესე განამელავნია,
მისეულთავე რიდეთა ნაკვეთი გამოგზავნია;
ესენი ჩემთვის მის გამო ტურფანი სანახავნია,
და თუცა თუ ფერად ბედისა ჩემისა მსგავსად შავნია.»-

წიგნი ნესტან-დარეჯანისა
საეკარელთან მიწერილი

1478

აწ საეკარელსა მიუწერს გულ-ამოსკვნილი, მტირალი,
მისმანვე ცრემლმან დაუკისს, ვის ედებოდის, ვის აღი!
ღაწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალი,
და ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამოძქვირალი-

1479

„ჰე ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღ[ვ]აწები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაუღელსა ამონაწები,
მე გული შენი ქალაღდად გულსავე ჩემსა ვაწები,—
და გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აიხსნები, აწ ები!

1480

186 „ხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქნელია!
რაზომცა ჰნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია.
ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ მით, მათგან საწუნელია;
და უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი მნელია!

1481

„ხედავ, ჩემო, ვით გაგეკარნა სოფელმან და ეამმან კრულმან?
ველარ გნახე საეკარელი მხიარული მხიარულმან,
ნეტარ, რა ქნას უშენომან გულმან, მენგან დალახრულმან!
და გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან.

1482

„შენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე;
ჩემი მეთქვა: გარდასრულდა სიცოცხლე და უოვლი ღონე;
აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა [ვ]ჰმონე,
და ჩემი ეველა აქამდისი ჭირი ღხინსა შევაწონე.

1477¹

„შენცა სოსოვე: ნუ წამოვა ჩემად საძებრად აქეთა,
არამც თუ ვითა გაებას აქაურ გრძნეულთ მახეთა.
ჩემი საქმე მნელი არის, ვით მწვანე იყოს მკვახეთა,
და ღმერთსა თვისსა დაავალოს, ნულარ დამწვავს მკახეთა.“

1483

„შენი სიცოცხლე მეუოფის ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წელულისა და ასრე დადაგულისად!
მომიგონებდი, გასსოვდე მე შენთვის დაკარგული სად;
და ვზი მზრდელად სიუკარულისა, მის ჩემგან დანერგულისად.

1484

187r „სხვად, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგეწერების:
ენა დაძვრების, მოსმენით არვისგან დაიჯვრების.
ფატმან წამგვარა გრმნეულთა, ღმერთიმცა მას ეტრებების!
და აწ კვლა ქნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების.

1485

„აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა დამისართა,
არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ პატიათა მრავალ-გვართა;
კვლაცა მიმცა შესაპურობლად ქაჯათა, მნელად საომართა;
და ბედმან გვიყო ეველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა!

1486

„ცისხეს ვზი ეცზომ მაღალსა, თვალნი ძლიე გარდასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
დღისით და ღამით მოუშენი ნობათსა არ დასცდებიან,
და მათთა შემბმელთა დაძსოცენ, მართ ცეცსელად მოედებიან.

1487

„ნუთუ ესენი გეგონნეს სხვათა მეგრძოლთა წესითა?!
ნუცა მე მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა;
შენ მკვდარსა გნასავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა;
და მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა.

1488

187v „შენ, საუვარელო, ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა,
ჩემი სოქვა: სხვათა მისხედების იგი ალვისა ტანითა.
არამ სიცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა ნანითა;
და ან თავსა კლდეთა ჩავიქცევი, ანუ მოვიკლავ დანითა.

1489

„შენმან მზემან, უშენოსა ვერვის მისხედეს მთვარე შენი,
შენმან მზემან, ვერვის მისხედეს, მოცავიდენ სამნი მზენი;
აქა თავსა გარდავიქცევი, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი,
და სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხედენ ნუთუ ფრთენი.

1490

„ღმერთსა შეჰქადრე, ნუთუ კვლა დამსნას სოფლისა პროძასა,
ცეცხლსა, წუალსა და მიწასა, ჰაერთა თანა პროძასა;
მომცნეს ფრთენი და ავჰფრინდე, მივჰხედე მას ჩემსა ნდომასა,
და დღისით და ღამით ვსედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.

1491

„მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას იახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!
მუნა განასო, მანდვე გსახსო, განმინათლო გული ჩრდილი,
და თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი!

1492

1488 „მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რადგან სულსა,
მაგრა შენი სიუვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;
მომგონოს მოშორება, მემატების წულული წულულსა;
და ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიუვარულსა.

1493

„წადი, ჰინდოეთს მიმართე, არკე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, უოულგნით სელ-აუბურობელსა,
გულსა აღხინე ჩემისა მოშორებისა მშობელსა,
და მომიტონებდი მტირალსა, შენთვის ცრემლ-მეუძრობელსა!

1494

„რაცა ვიჩიულე ბედისა ჩემისა, კმა საჩივარად;
ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად.
შენთვის მოკვდები, გაუსდები უორანთა დასახივარად,
და ვირე ცოცხალ ვარ, გეყოფი სატირლად და სატივარად.

1495

„აჰა, ინიმნე ნიშანი შენეულისა რიდისა!
გარდმიკვეთია აღამი, ჩემო, ერთისა კიდისა,
ესელა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა.
და რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენსედა ცისა შვიდისა“.

1496

1485 ესე წიგნი, საუვარელსა მისსა თანა მინაწერი,
რა დასწერა, გარდაჰკვეთა მათ რიდეთა ერთი წვერი.
თავ-მოსდილსა დაუშვენდა სისხო თმათა, სიკრმე, წვერი.
და აღვისაგან სული მოქრის, უორნის ფრთათათ მონაბერი.

1497

ესე სიტყვა მართალია, არ-კრულად და არ-სვასრულად;
ნესტან-დარეჯ; ჰქვიან ქალსა ქართულადცა, კვლა სპარსულად;
თავშიძველი ეაუაჩოსა ჰგავს, თუ იყოს ვარდი სრულად;
და ტარიელის გონებითა ალვა მკნანარად, დანასრულად.

1498

იგი მონა წამოვიდა, გულანშაროს მიმავალი,
წამ-ერთ მიჰხდა ფატმანისსა, დღე იარა არ-მრავალი.
რა ავთანდილს გაუსრულდა საქმე მისი სასურვალი,
და ხელ-აბურობით ღმერთსა ჰმადლობს, ცნობა-სრული, არა მთრვალი.

1499

ფატმანს უთხრა: „გამისრულდა ყამად საქმე საწადელი,
დიდი შენი მოკირეება ჩემგან არის გარდუსდელი,
წავალ, დგომად აღარა მცალს, დრო მოსულა შარმანდელი,
და ფიცხლა ქაჯეთს მოვიუენო მათი მომსახობ-ამწვედელი“.

1500

1499 ხათუნმან უთხრა: „ჰე ლომო, ცეცხლი აწ უფრო ცხელდების;
მოემორების ნათელსა, გული ამისთვის ბნელდების;
ისწრაფე, ჩემი ნუ გაგვა,—ხელი ეგრეცა ხელდების,
და თუ ქაჯნი მოგესწრებიან, მუნ მისვლა გაგიმნელდების“.

1501

ემამან ფრიდონის მონანი უხმნა, მასთანა ხლებული,
უბრმანა: „მკვდარნი აქამდის აწუა ვართ დაცოცნლებული,
რაცა გვინდოდა, მისითა სმენითა გაახლებული,
და ჩვენთა მტერთანი გიჩვენე წელულნი მით ვაგლახებულნი“.

1502

„მიდით და ფრიდონს უამბეთ ამბავი არ-ნაცქაფავი;
მე ვერა გნახავ, ვისწრაფი, ცხა ჩემი არს ნასწრაფავი.
მან გაახაფოს ხმა ხაფი, კვლა უფრო გასახაფავი,
და თქვენ მოგცე ლარი ეველაი მე, ჩემი ნაალაფავი.“

1503

„ჩემსა ზედა დიდი არის ვალი, თქვენგან დანადები;
მადლსა სხვაებრ გარდავისდი, თულა ფრიდონს შევეურები;
აწ წაიღეთ ეველაკაი, მეკობრეთა წანადები,
და ამის მეტს ვერას მოგცემ, ვიცე, ამაღ გემუნწები.“

1504

1489 „სასლი არ მახლავს, არ ძალ-მაქე გაცემა საბომპარისა“.
მისცა მართ სავსე სომალდი, რიცხვი ტურფათა ჯარისა,
უბრძანა: „წადით, წაიღეთ, გზა წაუღეთ მისვე არისა,
და ფრიდონს მთავრით უსტარი ჩემგან, მმად-ნაფიცარისა“.

წიგნი ავთანდილისა ფრიდონს წინაშე თავის უმეების სელითა

1505

დაწერა: „ფრიდონ ძალალო, სვე-სრულო შეფეთ-მეფეო,
ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მსეო შუქ-მოიფეო,
მოვლენილო და მორჭმულო, მტერთა სისხლისა მჩქეფეო,
და უმცროსმა მამან შორი-შორ სალამი დავიუეფეო!“

1506

„ჭირნი ვნახენ და მოცამხედა ნაცვალი ჭირ-ნახულისა,
კარგა მოხდომა საქმისა ჩემისა გაზრახულისა;
მიცნა მართლად ამბავი პირისა მშედ სახულისა,
და დამარჩენელი ლომისა მის, ქვესკნელს დამარსველისა.“

1507

„იგი მზე ქაჯთა მეფესა ჰუავს, ქაჯეთს პატიმარია.
მუნ მისეულა მიჩანს თამაშად, თუცა გზა საომარია.
ნარკისთათ წვიმა ბროლისა წვიმს, ვარდი ნაწვიმარია,
და ჯურთ ქალსა ქაჯნი არ ახლვან, მაგრა სპა უამარია.“

1508

1490 „გულ-მხიარული ვისარებ, ამაღ არ ცრემლი მმილდების,
სადაცა შენ და შენი მამა ხართ, მნელი გაადვილდების;
რაცა მოგინდეს, უცილოდ იქთ, იგი არ აგცილდების,
და არ თურემ კაცმან დაგიდგნა, ვეჭვ, კლდეცა გაგიღობილდების.“

1509

„აწ შემინდევე, ვერა გნახე, შორს ამისთვის წაგეარე,
გზა-გზა უოგნა აღარა მცალს, პატიმრად ა იგი მთვარე;
ადრე მოვალთ მხიარულნი, ჩვენი ნახვა გაისარე,
და ამის მეტი რაღა გკადრო, მმასა მმურად მოესმარე.“

1510

„ამა მონათა ჩემსედა გარდაუხდელი გულია:
ამოდ მსახურეს, თქვენიმცა გული ამათთვის სრულია!
ქება რად უნდა მას, ვინცა თქვენთანა სან-დაზმულია?
და მსგავსი ეველია მსგავსსა შობს, ესე ბრემენტაგან თქმულია“.

1511

ესე უსტარი დაწერა, შეკრა და წაცასვია მან,
მისცა ფრიდონის მონათა ვარდმან და თმითა იამან;
შესთვალა ზეპირ, რაცა ხმდა სულად, მართ ვითა ცია, მან,
და მათ მარგალიტი უჩვენის მოწისა კარმან ღიამან.

1512

1900 მოქარაენეთა უბრძანა: „საქმე მიც, გითხარ განაო;
კარგად მომისდა, მოუესობა მე თქვენი მესვიანაო;
რაცა მინდოდა, ეველია ვქენ, ღმერთმან მაგულვანაო,
და აწ აღარა მცალს, ბადრაგა სსება წაიტანეთ თანაო“.

1513

მონასა, ზოგა აუთანდილ ნავი მისისა მხარისა,
გამოემართა იგი მზე, პირია სავსე მთვარისა,
მაგრა დაგდება უმძიმდა ფატმანის გულ-მწუსარისა,
და მისთა გამურელთა ნაკადი ჩასდის სისხლისა ღვარისა.

1514

ფატმან, უსენ და მონანი ტირან ცრემლითა ცსელითა,
იტყვიან: „მზეო, რა გვიყავ? დაგვწვენ¹ ცეცხლითა მწველითა,
რად დაგვაბნელენ შენისა მოშორებისა ბნელითა?
და დამცავმარხენო ხელითა ჩვენითა დამმარხველითა!“

ავთანდილისაგან გულანშაროთ წასვლა
და ტარიელის შეერა

1515

გამოელნა ზღვანი აუთანდილ მგზავრითა რათმე ნავითა,
პირ-მხიარული აცორეებს მართ ოდენ მარტო თავითა;
მას შეერა ტარიელისი უხარის მით ამბავითა,
და ხელ-განბურობილი გულითა არს ღმრთისა სავსავითა..

¹ დაგვწვენ.

1516

1917 მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა საროსტანისა.
და სულთქნა, რა ნახა უვაილი მან, უნახავმან ხანისა.

1517

აგვირგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვართა;
ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დართა;
უბრძანა: „გიჭკრეტ თვალთა, გულ-ტკბილად შემხედვართა,
და მისად ხანაცვლოდ მოვილხენ თქვენთანა საუბართა“.

1518

რა მოეგონის მოევარე, სდინდინ ცრემლნი მწარენი.
ტარიელისკენ იარნა მან გზანი საწუინარენი,
უდაბურნი და უცხონი, უცხონი რამე არენი,
და სადაცა ნახნის, დახოცნის ლომ-ვეფხსნი მომამბნარენი.

1519

ქვანნი გამოჩნდეს, იამა, იცნა, თქვა: „იგი კლდენია,
სადაა ჩემი მოევარე და ვისთვის ცრემლი მდენია;
ღირს ვარმცა, ვნასო პირის-პირ, უამბო, რაცა მსმენია,
და არ მოსრულ იყოს, რაღა კენა, ცუდ ჩემი განავლენია!“

1520

1918 „თუ მოსულა, უღონოდ შინა ხანსა არ დაზმიდა,
მინდორს სადმე წავიდოდა, მსეცისაუბრ ველთა ჰვლიდა;
სჯობს, თუ შამბ-შამბ წავიარო“, — იგონებდა, ისეგვიდა,
და ესე თქვა და მიუქცევა, მინდორთაკენ წამოვიდა.

1521

მიაცორკვებს და იმღერის მხიარულითა გულითა,
მართ სახელ-დებით უუივის ხმითა მით სინარულითა.
ცოტაი წავლო, გამოჩნდა მზე სინათლითა სრულითა:
და შამბისა პირსა ტარიელ დგა სრმლითა მომახულითა.

1522

ტარიელს ლომი მოეკლა, მით სრმალსა სისხლი სცხებოდა;
შამბისა პირსა ქვეითი დგა, ცხენი არა სლებოდა;
უივილი ავთანდილისა ესმოდა, ეოცებოდა,
და შეხედნა, იცნა, გაიქცა, მისკენ მირბოდა, ხლტებოდა.

1523

სრძელი გასტუორცა ტარიელ, მიმართა მისსა ძმობილსა.
ემა ცხენისაგან გარდიჭრა, ჰკვანდა ეტლისა სწრობილსა.
მართ ერთმანერთსა აკოცეს, ჰკვანან ეულ-გარდაჯდობილსა,
და ხმა შაქრის-ფერად გაუსდა ვარდსა, სმირ-ხმირად პობილსა.

1524

192r ტარიელ მოთქვა ტირილით სიტყვა ნატიფი, მკვერები:
— სისხლისა ღვარძან შეღება წითლად გიძრისა ტევრები,
აღვასა წუარო ცრემლისა მორწუავს, ნაკადი ბევრები,—
და „რადგან შენ გნახე, რა [მ]გამა, ჰატიევი მჭირდეს ბევრები!“

1525

ტარიელ ტირს და აუთანდილ სიცილით ეუბნებოდა;
გალიმდის, მოწნი გააპის, კბილთაგან ელვა ჰკრთებოდა;
ეტუოდა: „ვცანო ამბავი, შენ რომე გიამებოდა,
და აწ გაახლდების უვაელი, ვარდი აქამდის ჰკნებოდა“.

1526

„ამა ამბავსა გიამბობ, არს ჩემგან მონასმინები:
მასცა მოშორდა საწუთრო, ვის ჰკვანდეს ფერად მინები;
კიდე შემოგხსნის ჯინჯილსა, ხელობისათვის ვინ ები,
და კვლა მასვე გიზამს სოფელი, თუ სტუმნავ, რაცა ინები“.

1527

ტარიელ უთხრა: „ჰე ძმაო, კმა არს, დღეს რაცა მღსენია,
უოველი ჩემი სალხინო მინახავს,—ნახვა შენია,
სხვად ნუ ეოს ღმერთმან წამალი, არცა რა მოგისმენია:
და კაცმანცა სოფელს ვით ჰოვა, რაცა არ საქმე ზენია!“

1528

192v რა ტარიელ არ შესჯერდა, აუთანდილცა არ დასწენარდა,
მის ამბუისა დაუოვნება ველარ გასმლო, აუჩქარდა,
გამოიღო რიდე, მისცა, ვინ ბაკეთათ ვარდი ვარდა.
და რა ტარიელ ნახა, იცნა, გამოუღო, შემოვარდა.

1529

წიგნი და კიდე რიდისა იცნა და გაცაძალა მან,
პირსა დაიდვა, დაეცა, ვარდმან ფერიითა მკრთალამან,
სულნი გაიქცეს, მოდრია თავი გიძრისა ტალამან.
და მისნი ვერ გასმლნეს ჰატიენი ვერ უენ, ვერცა სალამან.

1530

ავთანდილ უჭვრეტს ტარიელს უსულოდ ქვე-მდებარესა;
შეპფორინდა, შევლად მიმართა მას, ტკბილად მოუბარესა;
ვერა ვერ არგო დამწვარსა, სრულად ცეცხლ-ნადებარესა,
და მისთა ნიშანთა სიცოცხლე მათ მისი მიებარესა.

1531

ავთანდილ დაჯდა ტირილად, ტირს სმითა შევნიერია,
უორანსა გაგლეჯს სშირ-სშირად, აფრთხოვს ბროლისა ჭერია;
გახეთქა ლალი, გათლილი ანდამატისა კვერია,
და მუნით წუარონი გამოჰხდეს, მოწსა ვაქმესგავსენ ფერია.

1532

1931 ტარიელს ეგრე გასულსა მზე დასტირს, იტყვის: „ახა ვა!
ღმერთო, ნუ მოჰკლავ ჯერ ეამად!“ თქვა: „ბრალ არს დასამარხავა“.
ნუ გეწვავ ცეცხლითა ცხელითა, ნუ გაგხვდი სხვათა მზრახავა,
და სოფელო, მოგვეც სიახლე, ვისთვის გვაქვს გული მკმახავა“.

1533

პირსა ისოკს, ღაწუთა სისხლი ჩანდიოდა მისსა მჭვრეტსა:
„რაცა ვქენო, არ უქნია არცა შმაგსა, არცა რეტსა;
წუალი სწრაფით რას დაეახსი ცეცხლსა, მნელად დასამრეტსა!“
და ჩქარად ეცეს, ვერ გაუძლებს გული ღხინსა მეტის-მეტსა.

1534

„მე მოვკალ ჩემი მოვეარე, რა მმართებს გაწბილებულსა?
თავსა ვაბრალობ საქმესა, არ დასმით გაგონებულსა!
ცრუ კაცი კარგად ვერას იქს საქმესა გაძნელებულსა,
და თქმულა: „სიწინარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა!“

1535

უცნობო-ქმნილი ტარიელ მეს მსგავსად ნატუსალისად.
ავთანდილ ადგა, გამოვლნა შამბნი სამებრად წუელისად,
მან ჰოვა სისხლი ლომისა, მოაქვს საესეებლად აღლისად,
და მკერდსა დაასსა, გავესდა ლაქვარდი ფერად ლალისად.

1536

1935 ავთანდილ მკერდსა დაასსა მას ლომსა სისხლი ლომისა;
ტარიელ შეჰკრთა, შეიძრა რაზმი ჰინდოთა ტომისა,
თვალნი აახვნა, მიეცა ძალი ზე წამოჯდომისა.
და ლურჯათ ჩანს შუქი მთვარისა, მზისაგან შუქ-ნამკრთალისა.

1537

ზამთარი ვარდთა გაახშობს, ფურცელნი შთაჰოსცვიენიან,
ზაფხულის მზისა სიასლე დასწავს, გვალვასა ჩივიან,
მაგრა მას ზედა ბულბულნი ტურფასა სმასა უივიან.

და ხიცხე სწავს, ეინვა დააზრობს, წელულნი ორჯელვე სტკივიან.

1538

აგრევე გული კაცისა მოსაკვარებლად მნელია,
ჭირსა და ღზინსა ორსავე ზედა მართ ვითა სელია,
მიწვივ წელულდების, საწუთრო მისი აროდეს მრთელია.

და იგი მიენღოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია!

1539

ტარიელ ნახა ნაწერი კვლაცა მკვლელისა მისისა,
იკითხავს, თუცა აშეთებს კითხვა წიგნისა მისისა;
დაუევის ცრემლმან სინათლე, ბნელად ჩანს შუქი დღისისა.

და აუთანდილ ადგა, დაუწყო თსრობა სიტყვისა მქისისა.

1540

194r მიკვირს, თუ რად ნამუსად გიჩს, ცრემლნი მიგდიან მორევად;
მზე პატიმრად გუავს, სოფელი იჭირვის ჩვენდა მორევად;
ფრიდონ მოვიხმით ღომ-გული, მმად-ფიცა ჩვენდა სწორევად,
და მან მოგვაშველოს ლაშქარი მათ გრძნეულათვის მორევად.

1541

იტყვის, თუ: „ნაქმრად არ ვარცა კაცისა გასწავლელისა,
აწ რადლა გემართებს ტირილი? ხამს დაესსდეთ ქმნად ღიმილისა;
ადგე, წავიდეთ საძებრად მის მზისა წახდომილისა!

და ადრე მიგიყვან, მიყვანა არს შენგან მონდომილისა.

1542

„ტარიელ, მითხარ სიმღერა, მო ხმითა მოგვრინავითა:
ამ ჩემს ანულსა ზღვას შევრთავ, მზესა შინ მოგვრი ნავითა.

სულ ქაჯთა პირქვე დავამსობ გველებრივ მოგვრინავითა,

და თუ ჩემი მოსულა გრძნებისა მოვალ და მოგვრი ნავითა.

1543

„ვითა გემართებს გახარება, პირველ აგრე გავიხარნეთ,
მერმე შეესსდეთ, გავემართნეთ, ქაჯეთისკენ თავნი ვარნეთ,
ხრმალნი ჩვენნი ვიწინამმღვრნეთ, მათნი ზურგით დავიყარნეთ,
და უჭირველნი შემოვიქცეთ, იგი მმორთა დავადარნეთ“.

1544

194*v* მერმე ტარიელ ამბავსა ჰკითხავს, აღარა ბნდებოდა.
შესუნდის, თვალნი აჰმართინს, მუ-თეთრი ელვა ჰკრთებოდა,
მართ ვითა ლალსა მზისაკან, მას ფერი ეზარდებოდა;
და ვინ ღირს ა, თუმცა წყალობით ცა მიწვიე მობრუნდებოდა!

1545

ავთანდილს მადლი უბრძანა, ქნა უეო საუბარისა:
„მე შენი ქება ვითა ვთქვა, ბრძენთაგან საქებარისა!
ვითა ზე-მთისა წუარომან, მოძრწუე ევაუილი ბარისა,
და დაშწევითე დენა ცრემლისა, ნარგისთათ ნაკუბარისა.

1546

„მე ვერა გიეო, ნაცვალსა ღმერთი გარდისდის ციერი,
ზეგარდმით მისით შემოგზლოს მუქაფა ჩემაკიერი!“
შესსდეს და შინა წაუიღეს, მათ ღსინი ჰქონდა მლიერი;
და აწ გაუაჰლო¹ სოფელმან ასმათ, აღრითგან მშიერი.

1547

ქვაბისა კარსა ასმათი მარტო ზის, არ-ბარგოსანი.
შესუნდა, იცნა ტარიელ, თანა ემა ჰარმაგოსანი,—
ორნივე ტურფად იმღერდეს, ვით იადონი მგოსანი,—
და მაშინვე იცნა, ავარდა მომლილი, ჰერანგოსანი.

1548

195*r* აქამდის მიწვიე ენასა ქვაბს მისვლა მოტირალისა,
აწ გაუკვირდა დანასვა სიცილით მოძღერალისა.
ზარ-აღებული ავარდა, ცნობა უც ვითა მთვრალისა,
და არ იცის სმენა ამბვისა ჯერთ მისგან სასურალისა.

1549

მათ რა ნახეს, შემოჰკიეულეს სიცილით და კბილთა ჩენით:
„ჰე ასმათო, მოგვიეიდა მოწყალება ღმრთისა ზენით:
გჰპოვეთ მთვარე დაკარგული, რაცა გეწადდა, იგი ექენით,
და აწ გაგხედით ბედისაგან ცეცხლთა შრეტით, ჰირთა ღსენით!“

1550

ავთანდილ ცხენსა გარდასდა ასმათის მოსახვეველად;
მან მიჰყო ზელი აღვასა, რტო მოჰევა მოსარსეველად,
უელსა და პირსა აკოცებს, არის ცრემლისა მფრქვეველად:
და „რა სცანო, რა ჰქენ, მიანბე, ვტირ შენი მოაჯე ველად“.

¹ ააჰაჰლო.

1551

ავთანდილ ასმათს უსტარი მისცა მისისა ზრდილისა,
აღვისა შტო-დამკანარისა, მთვარისა ფერ-მისდილისა;
უთხრა, თუ: „ნახე ნაწერი მის ჰატიე-გარდახდილისა;
და მზე მოგვეხლა, მოგვეცა ჩვენ მოშორება ჩრდილისა“.

1552

. 1975 ასმათ რა ნახა უსტარი, ცნა მისი დანაწერობა,
გაპკვირდა, ზარმან აიღო, ათროლოებს, ვითა ხელობა,
ტერფით თხემამდის გაუხდა მას მეტი საკვირველობა;
და იტყვის: „რა ვნახე, რა შესმის? არსცა ამისი მრთელობა?!“

1553

ავთანდილ უთხრა: „ნუ გეშის, ეგე ამბავი მრთელია;
ლხინი მოგვეცა, მოგვშორდა უოველი ჭირი მნელია,
მზე მოგვეხლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
და ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია!“

1554

პინდოთ მეფე მხიარული ასმათს რასმე უბრძანებდა;
ერთმანერთსა ესვეოდეს, სისარული ატირებდა;
ვარდას ზედა უორნის ბოლო ნამსა თხელად აპყურებდა.
და კაცსა ღმერთი არ გასწირავს, თუმცა კაცი შეიგებდა.

1555

ღმერთსა მისცეს დიდი მადლი, თქვეს: „გგ[ი]უოო¹, რაცა სჯობდა;
აწუა ვცანით, უარესსა პირი თქვენი არ გაჰბრჭობდა“.
პინდოთ მეფე ხელ-განბურობით მხიარული ამას სმობდა.
და ქვებს შევიდეს მხიარულნი, ასმათ რასმე მასპინძლობდა.

1556

. 1967 ტარიელ ეტყვის: „ავთანდილ, ისმინე სიტყვა ასები,
გიაშობო რასმე ამბავსა, მოამბეედ ნუ გენახები;
მე ოდეს ქვანნი წაუხვეენ, დავხოცენ დევთა დასები,
და მას აქათ მათი აქა მეს საჭურჭლე მვირ-ნაფასები.“

1557

„მე აგრე არა მინახავს, მართ ვითა არა მდომია;
მოდი და გავსხნათ, შევიგნეთ, საჭურჭლე თუ რა ზომია“.
იამა, ადგეს ორნივე, არცა ქვე ასმათ მჯდომია,
და დაღეწეს კარი ორმოცი, მათგან არ ზედა ომია.

! მუოო.

1558

პოვეს საჭურჭლე უსახო, კელა უნახავი თვალისა,
მუნ იდვა რიეე თვალისა, ხელ-წმიდად განათალისა,
ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა;
და ვინმეა ქნა რიცხვი ოქროსა, ვერვისგან დანათვალისა!?

1559

იგი სახლი ორმოცივე შიგან იუო გატენილი.
პოვეს ერთი ზარდახანა, აბჯრისათვის ასლად ქნილი;
მუნ აბჯარი უოული-ფერი ასრე იდვა, ვითა მწნილი,
და შიგან ერთი კიდობანი დაბეჭდილი, არ-გახსნილი.

1560

1968 ზედა ეწერა: „აქა მეს აბჯარი საკვირველიო,
ჯაჭვ-მუზარადი, აღმასი ხრმალი ბასრისა, მტრელიო;
თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, იუოს დღე იგი მწელიო;
და უმისკამისოდ ვინც გახსნის, არის მჭეფთა მკულელიო“.

1561

კიდობანი გახსნეს, პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი,
რასაცა ვით შეიმოსენ მეომარნი სამნი ემანი:
ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, საბარკული მათი გვანი,—
და ზურმუხტისა ბუღებითა ივენეს ვითა ლუსკემანი.

1562

თვითომან თვითო ჩაიცივეს, თავის თავს გამოსცდიდინ,
ჯაჭვ-მუზარადსა აბჯარი მართ ვერა ვერ დაჰკიდინან;
ხრმალნი რკინასა მოჰკრიან, ვით ბამბის მკედსა სტრიდინან,
და მათ უღირს უოვლად ქვეყანად, შეგატევე, არ გაჰყიდინან.

1563

თქვეს: „ესე ნიშნად გვეუოფის, ვართო კარგითა ბედითა;
ღმერთმან მოგვსენდა თვალითა, ზეკარდმოთ მონახედითა“.
აიღეს იგი აბჯარი თავის თავისა ქედითა,
და თვითო მათ, ერთი ფრიდონის სამღნობლად შეკრეს ღვედითა.

1564

1971 ოქროც რამე წაიტანეს, მარგალიტი ღარიბები;
გამოვიდეს, გამობეჭდეს ორმოცივე საჭურჭლები.
ავთანდილ თქვა: „ამას იქით დაჯამაგრო ხრმალსა ნები,
და ამას ღამე არსად წავალ, რა გათენდეს, არ დაუდგები“.

1565

აქა, მხატვარო, დასატე მძად უმტკიცესნი მშობილნი.
იგი მიჯნურნი მნათობთა, სსვისა ვერვისგან სწრობილნი,
ორნივე გმირნი მოჴმენი, მამაცობისა ცნობილნი;
და რა ქაჯეთს მივლენ, განინჯეთ ომი ლახვართა სობილნი.

ტარიელისა და ავთანდილისა წასვლა
ფრიდონისასა

1566

რა გათენდა, გაუმართნეს, წაიტანეს ასმათ თანა,
ნურადინის ქვეყანამდის შეისვიან მათ უკანა;
მუნ ვაჭარმან ოქროს ფასათ ცსენი მისცა, არ უძღვანა;
და ავთანდილ კმა უულაოზად, სსვამცა ვინღა წაიტანა!

1567

იარეს და ზედა შეჰზდეს ნურადინის მეჯოგეთა;
ჯოგი ნახეს, მოუწონა, ფრიდონისთვის იაკეთა.
მუნ ავთანდილს ჰინდო ეტყვის: „გაქნევე კარგთა სიმშაგეთა,
და მოდი, ფრიდონს გაულალობნეთ, ჯოგსა მისსა მოვადგეთა!

1568

1970 „ჯოგი წაუღოთ, მოსრულნი ჴესმით ჯოგისა წაღებად,
გამომართვის საომრად, ველთა სისსლისა დაღებად,
ანანდა[ღ] გვიცნობს, გაჰკრთების, გულსა შეელმის დაღებად,—
და ამოა¹ კარგი ლაღობა, ლაღსა შევეიქს ლაღებად“.

1569

დაიწიეს ჰერობა ტაიკთა ფრიდონის უკეთესებსა.
მუნ მეჯოგეთა ფანოსი შეექნა, ეკრა კვესებსა;
უვიღლეს: „ვინ ხართ, მოუმენო, ვინ იქთ საქმესა ზესებსა?
და ჯოგი მისია, ვინ მტერსა ჰკრავს ხრმალსა, არ აკენესებსა“.

1570

მათ მმვილდები დაიწვადეს, მეჯოგეთა გაუკიდნეს.
მეჯოგენი მიიხსნდეს, ხმანი მათნი გაადიდნეს:
„გვიშველეთო, გვიშველეთო, მეკობრეთა ამოგვწვეიტნეს!“
და ხმა შეიქნა, შეიყარნეს, ფრიდონს ჰკადრეს, არ დარიდნეს.

1571

შეეაზმა ფრიდონ, შეჯდა, შეკაზმული გამოვიდა.
ხმა შეიქნა, შეიყარნეს, რაზმი ველთა დაჰფარვიდა.
იგი მზენი მოეგებნეს, ვის ზამთარი ვერ დაზრვიდა;
და დაესურა ზარადები, ჰირისა მათსა უფარვიდა.

¹ აჴა.

1572

1988 რა ტარიელ ფრიდონ იცნა, თქვა: „ენახეო, ვინცა მინა“.
მუხარადი მოისადა, გაიღიმნა, გაიცინა;
ფრიდონს უთხრა: „რასა ჰლამი, ჩვენი მოსვლა რას გეწვინა?
და ჰურად ავი მასწინმელი მოგვეკვებები ომად წინა!“

1573

ფრიდონ ფიცხლა გარდაიჭრა, დავარდა და თაყვანის-სცა.
იგინიცა გარდანდეს და მოეხვივნეს, აკოცესცა.
ფრიდონ ღმერთსა სელ-აბურობით უსაზომო მადლი მისცა,
და დიდებულნი აკოცებდეს, იცნობდინ იგი ვისცა.

1574

ფრიდონ უთხრა: „რასა სდეგით? მოგელოდი უწინარე,
მე მზა ვარო, სამსახური თქვენი რამცა დავიზარე!“
ჰკანდა, ოუმცა შეერილ იუვნეს ორნი მსენი, ერთი მთვარე,
და ერთმანერთი დაამვენეს, გაუმართნეს, იქცეს ოარე.

1575

ფრიდონის სასულსა გარდასდეს ორნივე, ტურფად გებულსა.
ასლოს დანსვამს ავთანდილს, მისსა მმად-მეფიცებულსა.
ტარიელ დაჯდა საჯდომსა, ოქსინო¹-გარდაგებულსა,
და მათ უძღვნეს იგი აბჯარი ფრიდონს, ჭაბუკად ქებულსა.

1576

1988 უთხრეს: „ჯერთ უამად არა გვაქვს სსვა შენთვის არმალანია,
მაგრა ტურფანი მრავალნი ქვე სამე გვისსენ სსვანია“.
მან დასდვა ჰირი მიწასა, არ დაიუვნა სანია:
და „ჩემთვის ამისი ბომება არს თქვენი შესაგვანია“.

1577

გამოისვენეს მას ღამით ფრიდონის მასწინმლობითა;
აბანოს ბანნა, აავსნნა შესამოსკლისა ძღვნობითა,
დამოსნა ტურფად-ტურფითა, ერთმანერთისა მჯობითა,
და თვალ-მარგალიტი ღარიბი უძღვნა ოქროსა გობითა.

1577¹

კელავ ფრიდონ ჰკადრა: „რაც გინდეს ჩემგან თქვენ ნუ გაქვთ რილია;
ეს თავი ჩემი თქვენისა ფერხისა გზა და ხილია;
თვალ-მარგალიტი აიღეთ, ორნივე სალაროს მილია;
და ესეცა ზრძანეთ, ლაშქარი მცირე გვინდა თუ დილია?“. ¹ ოქსინო

1578

უთხრა, თქვა: „ესე სიტყვაა ავისა მასწინმელისა,—
ჰგავს, მომწუენოდეს სტუმრობა თქვენ ბრძნისა ვითა სელისა,
მგრა აწ უოფნა არ ვარგა, წავლა სჯობს გზისა გრძელისა,
და თუ ქაჯნი მოგვეწრობიან, საეჭვი არს სიმძნელისა.

1579

„დიდთა რას ვაქნევთ ლაშქართა? კარგნი გვინდან და ცოტანი;
სამასი კაცი გვეუოფის, წაუდიდეთ მართ მეოტანი;
ჩვენ ქაჯეთს ქაჯთა მეომრად დავაგნეთ ხრმალთა კოტანი,
და მას ადრე ვპროვებთ, ვისიცა მოგვეკლავს ალვისა, მო, ტანი.

1580

199r „ქაჯეთს ერთსეულ მეც უოფილვარ, ნასაუთ, თქვენცა გემაგრების;
უოვლენით კლდეა, გარეშემო მტერი ვერა მოადგების;
თუ იდუმალ არ შეუვალთ, ცსადად შებმა არ ეგების,
და მით ლაშქარი არად გვინდა, რაზმი მალევით ვერ მოგვევებს“.

1581

იგინიცა დემოწმნეს ამა მისსა ნაუბარსა.
მუნ დააგდეს ქალი ასმათ, ფრიდონ მისცემს საჩუქვარსა.
თვით სამასსა ცხენოსანსა წაიტანდეს, გმირთა დარსა;
და ბოლოდ ღმერთი გაუმარჯვებს უოვლსა, პირველ შენაზარსა.

1582

ზღვა გაიარეს სამთავე ერთგან მხად შეფიცებულთა;
ფრიდონ გზა იცის, იარეს, დღისით და ღამით რებულთა.
ფრიდონ თქვა: „ვანლავეთ არეთა ჩვენ, ქაჯეთს მინასლებულთა,
და აქათგან ღამით ვლა გვინდა, მით არას გამეღავენებულთა“.

1583

ამა ფრიდონის თათბირთა სამნივე ერთგან ზმიდიან:
რა გაუთენდის, დადგიან და ღამით ფიცსლა ვლიდიან;
მივიდეს, აჩნდა ქალაქი, მცველთა ვერ დასთვალვიდიან,
და გარე კლდე იყო, გუშაგთა სმა ჯარვით გაადიდიან.

1584

199v უოვლენით მრგვალი, შეუვალი, არსით იყო უოლა პირი;
სამთა კართა ცხრა ათასი ზედა სცვიდა მოუმი გმირი;
შუა ციხე ამართული, კლდე კველუცი, არ დუსჭირი,
და გვირაბითა შესავალი ახგრეტილი, ვითა სტვირი.

1585

გვირაბის კარსა ჯაბუკი ათი ათასი მცველია.
მათ ლომთა ნახეს ქალაქი, მთვარე დგას მუნ ნათელია;
თქვეს: „ვითათბიროთ, ვითა ვთქვათ, აწ გამორჩევა მხელია;
და ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია“.

თათბირი ნურადინ-ფრიდონისა

1586

ფრიდონ თქვა: „გიტკვი სიტუვასა, ვეჭვ, ჩემი არ დამცდარია:
ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარია;
პირის-პირ ომი არ მალ-გვაქვ, არ ჟამი საკვეხარია,
და ათას წელ გერსით შეუვალთ, თუ ზედ დაგვენძან კარია.“

1587

„ჩემსა სიმცროსსა გამზრდელნი სამოშაითთ მზრდიდიან,
მასწავლენს მათნი საქმენი, მასლტუნვებდიან, მწვრთნიდიან:
ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან,
და ვინცა მკვრეტდიან უმაწვრილნი, იგიცა ინატრიდიან.“

1588

2007 „აწ ვინცა ვიცით უკეთე შეტუორცა საგდებელისა,
მან ერთსა ბურჯსა კარდვაგდოთ წვერი საბლისა გრძელისა.
მას ზედა გავალ ადვილად, მიჩანს მართ ვითა ველისა,
და თქვენ ჭირად გაუო შიგანთა პოვნა კაცისა მრთელისა.“

1589

„საბლითა გავალ, არად მიჩს ჭირად გატანა ფარისა;
შიგან ჩავსტები კისკისად, ვეცემი მსგავსი ქარისა,
ლაშქართა დავჰსოც, გავახვამ, ნახოთ გალება კარისა!
და თქვენცა მუნ მოდიოთ, სადაცა გესმს ზრიალი ზარისა“.

1585¹

მათ არჩივეს, ვითა უნდათ, ერთმანერთსა უბნობდიან;
ყველამ თითოს გამორჩევით იგონებენ, არჩევიდიან;
ზოგი რასა, ზოგი სხვასა გამორჩევას იძახდიან;
და ვითა მათგან იქნებოდა, თვითოს მხარეს ეძებდიან.

1585²

„მო და მოვევით თათბირისა ყველამ თავის გამორჩევით“,
სხვადასხვასა არჩევნითა გზას ეძებდნენ ყოვლის ზენით.
თქვეს: „ყველა გზანი ვარჩიოთ, რომელიცა არჩევით ჩვენით,
და უკეთესი რააცა ვნახოთ, ჩვენ მო და იგივე ვქენით.“

თათბირი ავთანდილისა

1590

ავთანდილ უთხრა: „ჰე ფრიდონ, მოუვასნი ვერ გინივიან;
ლომთა მკლავთაგან იმედი გაქვ, არა წულულნი გტკივიან;
სთათბირობ მნელსა თათბირსა, მტერთა ივაგლას-ივიან,
და მაგრა თუ გესმის, გუშაგნი რა ახლოს-ახლოს ვივიან?!

1591

„რა გახვიდოდე, გუშაგთა ესმის აბჯრისა ჩხერება,
გიგრძნობენ, თოქსა მოჰკვეთენ, ამისი ხაშს დაჯერება;
წაცხდეს ცუდად უველაი, დაგრჩეს ცუდილა ფერება,
და ეგე თათბირი არ ვარგა, სხვებრ ვქნათ თავის[ა] ტერება.

1592

2000 „სჯობს, დადგოთ დამალულნი თქვენ ადგილსა იდუმალსა,
ისი კაცნი არ იჭირვენ მგზავრსა, ქალაქს შემავალსა,
სავაჭროთა შევეკაზმი, ვიქ საქმესა მე მუსთალსა,
და ერთსა ჯორსა გარდავჰვიდებ მუზარადსა, ჯაჭვსა, სრმალსა.

1593

„სამთავო შესვლა არ ვარგა, თუ გვიგრძნან, არს სათუები;
მე მარტო შევალ ვაჭრულად და კარგად შევეტუეები,
მალვით ჩაეიცვამ აბჯარსა, გაეჩნდები, გავეცრუები,
და ღმერთმან ქნას, უხვად ვადინო შიგნით სისხლისა რუები!

1594

„შიგანთა მცველთა მოეცლი მე უნახვად ჭირისად,
თქვენ გარეთ კართა ეცენით უოველნი მსგავსად გმირისად;
კლიტოთა დავლეწ, გაუახვამ, ნახოთ გალება კარისად,—
და თუ რა სხვა გვიჯობს, თქვენ ბრძანეთ, ვარ მრჩეულად ამა ჰირისად“.

თათბირი ტარციელისა

1595

ტარციელ უთხრა: „მე თქვენი ვცან გმირთა მეტი გმირობა,
თქვენსა მალ-გულსა თქვენივე ჰგავს თათბირობა, ჰირობა;
გიცთ, გწადს ომი ფიცხელი, არ ცუდი სრმალთა ღირობა.
და კაციმცა მაშინ თქვენ გახლავს, რა ომმან ქნას გაჭირობა.

1596

2017 „მაგრა იუვენით ჩემთვისცა საქმისა რასმე რჩევითა:
ხმა ესმას ჩემსა ხელ-მქნელსა, ზედა გარდმოდგეს მზე ვითა,
თქვენ გქონდეს ომი ფიცხელი, უომრად მნახოს მე ვითა?
და ესე მე დამსვრის, ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სათნევითა.“

1597

„მაგა თათბირსა ესე სჯობს, ვქნათ ჩემი მონახსენები:
გავიუოთ კაცი ას-ასი, რა ღამე ჩნდეს ნათენები,
სამთავე სამგნით მიემართოთ, ფიცხლა დაგსხლიტოთ ცხენები;
და მოგვეგებებინა¹, ვემცრობით, ჩვენ სრმალთა მივეცეთ მძლეუ ნები.“

1598

„ვინცა შეუსწრას, ჰფარავსმცა მას ღმრთისა საფარველია!
კარნი დაღეწუნეს, დახოცნეს უოველი კართა მცველია;
სამთავე იქით მიემართოთ, მაშინ აღარა მნელია,
და ძლევა მან მოგვეცეს, რომელი სათქმლადცა საზარელია.“

1599

„ფიცხლა შევებნეთ, შევსჯარნეთ, ვერ მოგვასწრობენ კარებსა,
სამთაგან ერთი შეუვალთ, სხვა გარეთ ესცემდეთ გარებსა,
მან ერთმან მიგნით მიგანნი მიუსცნეთ სისხლისა ღვარებსა,
და ხელი კვლა ვჰხადოთ აბჯარსა, მას ჩვენგან მძლეუ ნახმარებსა“.

1600

2018 ფრიდონ უთხრა: „შემიგინ, გაგიგია, ვიცი მე რა,
მაგა ცხენსა ჩემეულსა წამოასწრობს კართა ვერა;
ოჯეს გიძღვენი, არ ვიცოდდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა,
და თვარა ყოლა არ გიძღენიდი, ჩემი გითხრა სიძუნე რა“.

1596¹

„როს ვიყვნით ორნივ შებით, გქონდის ღმრთი უკლებულად,
მისთვის ვლენენ სამეფონი და ავწყვიტენ მხეცნი ვლად;
აწე თვის წინ საომარსა ვით ვყო თაეი უკუ-მვლელად.
და არ ვაჩვენო, ვით ვყოფილვარ ანუ ახლა, ან პირველად“.

1596²

„არა მნახოს თქვენთან ომსა, უკუ ვიყო დამალული,
არ იტყვის თუ, თვით რა ქმნილა იგი პირველ მოქალდული;
ამა ღლესა ვერ ვერვენო, მაშ, სად მნახოს ომს შესული?
და გამოგონეთ, ნუთუ სჯობდეს სიტყვა აწე ჩემგან თქმული“.

¹ მოგუაწვებიან.

1601

ფრიდონ ლალი ამხანაგობზე ზუბართა ესოდენტა.
ამაზედა გაიციინნეს მათ წულაინთა, სიტყვა-ბრძენთა,
ერთმანერთსა ელაღობნეს ლაღობათა, მათთა მშვენთა,
და გარდახდეს და დაეკაზმნეს, უკეთესთა შესხდეს ცხენთა.

1602

კვლავ ერთმანერთსა მიუგეს სიტყვები არ ჰირ-მკვასებში,
დაასკენეს იგი თათბირი, ტარიას განაზრახებები:
გაიუგეს კაცი ას-ასი, უველადი გმირთა სასებში,
და ცხენებსა შესხდეს, აიღეს მათ მათი ჩაბალახებში.

1603

იგი ჭაბუკნი შუქითა ვნახენ მზისაცა მეტითა;
მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სვეტითა;
ტარიელ მავსა ზედა ზის ტანითა მით წერწეტითა,
და დალივნეს მტერნი ომითა, ვითა მჭვრეტელნი ჰვრეტითა.

1604

2027 ჩემი აწ ესე ნათქვამი მათი სახე და დარია:
რა ზედა წვიმდენ ღრუბელნი და მათთა აღტყდეს ღვარია,
მოკა და ხეგთა მოგრაგნის, ისმის ზათქი და ზარია,
და მაგრა რა ზღვასა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წენარია.

1605

თუცა ფრიდონ და ავთანდილ სიკეთე-მიუწდომნია,
მაგრა ტარიას შემბმელნი არვისგან მოსანდომნია;
მზე მნათობთაცა დაჰფარავს, არცალა ნათლად სომნია.
და აწ იუერებდით, მსმენელნო, გესმენ ფიცხელნი ომნია!

1606

სამთავე სამად გაიუგეს, თვითომან თვითო კარები;
თანა ჰევა კაცი სამასი, უველადი გმირთა დარები.
მას ლამით უქნეს სადარნო, უცრუო¹, ანაჩქარები,
და გათენდა, განდეს, მიმართეს, თავის-თავ ჰქონდა ფარები..

1607

ჰირველ ამოდ მიდიოდეს მგზავრთა რათმე მაგიერად,
მათ შიგანთა ვერა უგრძნეს, ვერცა დახვდეს გულ-ხმიერად,
გულსა შიში არა ჰქონდა, ამოდ დგეს და ნებიერად,
და მიდგეს გარეთ, მუზარადნი დაიხურნეს ჟამიერად.

¹ უცრუო.

1608

2020 ანაზად ცხენი გაქუსლეს, მთრახმან შექნა წრიალი.
რა ნახნეს, კარნი გაახვენეს, ქალაქით გაჰხდა ზრიალი.
სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით უევეს რიალი,
და იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქნა ბუკთა ტერციალი.

1609

მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა:
კრონოს, წერომით შეხედულმან, მოიძორა სიტკობ მზისა;
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმრგველე ცისა,
და ეულნი მკვდართა ვერ იტევდეს, გადიადდა ჯარი მკვდრისა.

1610

კაცსა უკრავად დაბნედიდის ხმა ტარიელის საფისა,
აბჯარსა ფრეწდის, გაცუდა სიმაგრე ჯავშან-ქაფისა.
სამგნითვე კართა შესჯარნეს, ჰირი არ ნახეს კაფისა,
და რა ქალაქს შეჰხდეს, შეიქნა სისარკე ცისენ სწრაფისა.

1611

აუთანდილ და ღომი ფრიდონ შიგნით ერთგან შეიყარნეს,
მტერნი სრულად აეწევიტნეს, სისხლნი მათნი მოელვარნეს,
უეივლეს და ერთმანერთი ნახეს, დიდად გაესარნეს,
და თქვეს: „ტარიელ რა იქნაო?“ მისად ჰერეტად იუაღნი არნეს.

1612

2031 ქაჯეთს მიუსდეს საომრად იგ სამნი გმირნი ღომები;
კაცსა უნახეს, ეგ ზომნი მათ ქონდა ბრძოლა-ომები?
კარნი დაღეწეს, დახოცეს, გაეს, ივენეს დაუშრომები.
და ტარიელ გაუა, სად იყო იგ მალლა ასაძრომები!

1613

ფრიდონ შეუტყვა, ეს იყო თათბირი ტარიელისა;
ეველას მიუსწრა, შეიჭრა, მის მზისა შეერას ელისა;
ჰირნი გაჰქარდა, დაივსო ცეცხლი მათისა მწველისა,
და აწ შეიყარნეს, შერეშრა ნაკადი ცრემლთა სველისა.

1614

ერთმანცა არა იცოდა, ვერა ცნეს ტარიერისა.
ცისისა კარსა მიჰმართეს, რიდი არ ჰქონდა მტერისა;
მუნ ნახეს რივე აბჯრისა, ნაღეწი სრმალთა წვერისა,
და ათი ათასი ნობათი, უსულო, მსგავსი მტვერისა.

1615

ცისისა მცველი უკვლავი იდვა მართ ვითა სნეული,
თავით ფერხამდის დაჭრილი, ახჯარი მუნ დასეული,
ცისისა კარნი გახმულნი, კართა ნალეწი სრეული,
და ცნეს ნაქმრად ტარიელისად, თქვეს: „საქმე არს მისეული“.

1616

2030 გზანი დახედეს შეჯახმულნი, შევიდეს და გაპერეს ხერელსა.
ნახეს, მზისა შესაურელად გამოეშვა მთვარე გველსა,
მუხარადი მოეხადა, ჰმვენის აკრვა თმასა ლელსა,
და მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭღო უელი უელსა.

1617

ესეოდეს ერთმანერთსა, აკოცონ და ცრემლნი ღვარენენ;
ამას ჰკვანდეს, ოდეს ერთგან მუშოარ, ზუალ შეიყარენენ;
მზე რა ვარდთა შემოადგეს, დაშვენდენ და მუქნი არნენ,
და აქანამდის ჭირ-ნახულთა ამას იქით გაიხარენენ.

1618

მათ ერთმანერთსა აკოცეს, დგანან უელ-გარდაეჭღობილნი..
კვლა შეეწებნეს ხშირ-ხშირად ვარდნი ბაკეთათ ჰობილნი..
აწ ესენიცა გავიდეს, შეკრბეს სამნივე მობილნი,
და მას მზესა მისცეს სალაში, წადგეს მართ ვითა ხობილნი..

1619

მზე მოეგება ჰირითა ტურფითა, მოცინარითა,
აკოცა მისთა მეშველთა ლაღმან ცნობითა წუნარითა,
მათ მდაბლად მადლი უბრძანა სიტუეითა მით ნარნარითა..
და ორნივე ერთგან უბნობდეს ტურფითა საუბარითა.

1620

204r ტარიელსაც უსალამეს, მას აღვისა მორჩისა ვით ხეს,
მიულოცეს გამარჯვება, ერთმანერთი მოიკითხეს;
არა სჭირდა, არ ინანეს, რომ ახჯარი არ გაითხეს,
და თავნი მათნი გაალომეს, მათი მბრძოლი იშველეს, ითხეს..

1621

სამანისა კაცისაგან ას-სამოცი შეჰყოლოდა;
ფრიდონს უმძიმს სპათა მისთა, მაგრა ერთ-კერძ უხაროდა:-
მონახეს და არ აცოცხლეს, რაცა მბრძოლი დარჩომოდა,
და რომე ჰოვენეს საჭურჭლენი, აწმცა თვალვით ვით ითქმოდან!

1622

მოკრიფის ჯორი¹, აქლემი, რაცა ვით ზოგეს მალეები;
სამიათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალეები,
თვალი უველი დათლილი, იაგუნდი და ლალები,
და იგი მზე შესვეს კუბოსა, არს მათგან განაკრძალები.

1623

სამოცი კაცი დაადგეს ქაჯეთს ციხისა მცველია,
წამოიუენეს იგი მზე, მათილა წაგერა მნელია;
ზღვათა ქალაქსა დაჰმართეს, თუცა გზა მუნით გრძელია,
და თქვეს: „ფატმან ვნახოთ, მუქაფა გვაც მისი გარდუსდელია“ -

204v ტარიელისაგან ზღვათა მეფისასა მიწვლა
ნესტან-ღარეჯანითურთ

1624

ზღვათა მეფისა წინაშე გაგზავნა მახრობელი,
შესთვალა: „მოველ ტარიელ, მტერთა მძლე, მოსრვით მსპობელი;
ქაჯეთით მომეავს ჩემი მზე, ჩემი ლახვართა მსობელი;
და მწადიან, გნახნე ჰატვიით, ვითა მამა და მძობელი.“

1625

„აწ მე მაქვ ქაჯთა ქვეყანა და მათი დანადებია;
მეფეო, კარგი უველია მე თქვენგან წამკიდებია;
ფატმანს უსსინა ჩემი მზე, სდედებია და სდებია,
და ამისად მუქაფად რა გიძღვნა? მძულს ცუდი ნაქადებია.“

1626

„მოდო, გნახენ, გავიარდეთ ქვეყანასა შენსა ვირე,
სრულად ქაჯთა სამეფოსა გიძღვნა, ჩემგან შეიწირე,
კაცნი შენნი შეაუენენ, ციხე მაგრად დაიჭირე,
და მე ვისწრაფვი, ვერა გნახე, შენ წამოდო, ჩემ კერძ ირე.“

1627

„თქვენ უბრძანე ჩემაკიურ უსენ[ს], ქმარსა ფატმანისსა,
გამოგზავნოს, იაშების ნახუა მისი ხსნილსა მისსა;
მისგან კიდე ინატრიდა ჭერეტასამცა სხვადღა ვისსა,
და ვინ მზესაცა უნათლია, ასრე ვითა ბროლი ფისსა!“

¹ ურიო+ღა.

1628

205r რა კაცი ტარიელისი ესტუმრა ზღვათა მფლობელსა, —
წესია, გული გაჭრთების ამბავსა გასაკრთობელსა, —
მისცა მადლი და დიდება ღმერთსა, მართლისა მბჭობელსა,
და მაძინვე შეჯდა, არ უნდა მისვლა სხვასადა მსმობელსა.

1629

ბარგი აჭიდა, გააგო ქნა ქორწილისა მათისა,
მას მიაქვ რიცხვი ტურფათა, არ სიდიადე სათისა;
ფატმან ჰუავს თანა, იარა სავალი დღისა ათისა;
და უხარის ნახვა ლომისა და მზისა, სმელთა მნათისა.

1630

შორს გაეგებნენ სამნივე დიდსა მეფესა ზღვათასა,
გარდასდეს, მდაბლად აკოცეს, გარესწყედეს ჯარსა სპათასა;
შეასეს ქება ტარიელს, მან მადლი გაუათასა,
და ქალი რა ნახეს, სტრფიალობს მუქსა მას ბროლ-ბაკმათასა.

1631

ფატმან სათუნს, მისსა მკერეტსა, ედებოდა ცეცსლი ნელი,
მოყვია, გარღუკოცნა ხელი, ფესი, ჰირი, უელი;
იტყვის: „ღმერთო, რა გამსასურო, განმინათლდა რადგან ბნელი!
და ვსჯან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი“.

1632

205v ქალი ფატმანს ესვევოდა, ტკბილად იტყვის, არ გამწერალი:
„ღმერთმან გული განმინათლა გახეთქილი, გაცამწერალი,
აწ აგრე ვარ გაჯსებული, წინას ვიუავ ვითა მცსრალი,
და მზემან შექნი შემომადგნა, ვარდივით ვჩან არ-დამზრალი“.

1633

ზღვათა მეფე გარდაიხდის მუნ ქორწილსა მეტად დიდსა.
ქაჯვთიცა დაუმაღლა, არ გაუშვა. დღესა შვიდსა;
უსგად გასცემს საბოძვარსა, საჭურჭლესა ანაკიდსა,
და პერპერასა დაჰანტულსა ზედა ცვეთენ ვითა ხიდსა.

1634

მუნ იღვის გორი ლარისა, სტავრისა და ატლასისა;
ტარიელს უძღვნა გვირგვინი, ვერ-დანადები ფასისა,
იაგუნდისა მრთელისა, უვითლისა, მეტად ხასისა,
და კვლა ერთი ტახტი ოქროსი, წითლისა მართ ხალასისა.

1635

ნესტან-დარეჯანს ეუბაჩა უძღვნა შეშუკული თვალითა,
იაგუნდითა წითლითა, ბადასჩითა და ლალითა.
დასსდეს ორნივე ქალ-უმანი პირითა ვლვა-მკრთაღლითა,
და მათნი მჭვრეტელნი დაიწვენეს ცეცხლითა მართ ახალითა.

1636

206r ავთანდილს და ფრიდონს უძღვნა უსაზომო დიდი ძღვენი:
მვირფასისა უნაგირი, უკეთესი თვითო ცხენი,
თვითო კაბა თვალიანი, უცხო ფერთა შუქთა მფენი,
და მოასხენეს: „მადლი რა ვთქვათ, სვიანმცაა დაულა თქვენი!“

1637

ტარიელ მადლსა გარდისდის ტურფა სიტყვითა, ენითა:
დიდად ვიაშე, მეფეო, პირჟელ ნასვითა თქვენითა,
მერმე აგვაგუნენ მრავლითა ტურფა ფერითა ძღვენითა,
და ვიცე, შორი-შორ არ-ჩაულა ჩვენ თქვენი კარგად ვქენითა“.

1638

ზღვათა მეფე მოასხენებს: „სელმწიფეო, ღომო, ქველო,
მოასლეთა სიცოცხლეო, ვერა-მჭვრეტა შორით მკვლელო.
მსგავსი თქვენი რამცა შემღვნა, შეენიერო სანასველო!
და რა მოგშორდე, რა მერგების, საჭვრეტელაჲ სასურველო?“

1639

ტარიელ ფატმანს უბრძანა: „მე თავი შენი მიღია;
დავ, გული შენი ჩემზედა გარდაუსდელი, დიდია;
აწ რაცა ქაჯთა საჭურჭლე ქაჯეთით ამიკიდია,
და მომიცემა, წაიღე, არ კიდე მომიკიდია“.

1640

206v ფატმან სათუნ თაყვანი-სცა, ჰკადრებს მადლსა მეტის-მეტსა:
„მე, მეფეო, შენი ნახვა მიღებს ცეცხლსა დაუმრეტსა;
რა მოგშორდე, რა ვიქნები? მე დამაგდებ ვითა რეტსა.
და ახ, ნეტარმი მოასლეთა! ვაგლახ თქვენსა ვერა-მჭვრეტსა!“

1641

ზღვათა მეფესა ეტყვიან ორნივე შუქთა მაფენი,
კბილნი ბროლნი და ბაგენი სადაფთა მოსადაფენი:
„უთქვენოდ მუოფთა არ გვინდან ნიშანნი საჩანგლაფენი,
და მაგრა გაგვიშვენ, ეამია, წავიდეთ, ვართ მოსწრაფენი.“

1642

„შენ იუპე ჩვენნი მშობელი, ჩვენგან ღმრთად საესავიო,
 მაგრა ამასცა ვიაჯით, გვიბოძოთ ერთი ნავიოა.“
 მეფემან ბრძანა: „არა მშურს სამიწოდ თქვენად თავიო,
 და რადგან ისწრაფი, რა გკადრო? წა, გიწინამძღვრებს მელავიო!“

1643

მეფემან ნაეი-ხომალდი მოჰკასმა ზღვისა კიდესა.
 გამოემართა ტარიელ, გამურელნი ცრემლსა ღვრიდესა,
 თავსა იცემდეს, იგლეჯადეს, თმა-წვეკრსა გაიყრიდესა,
 და ფატმანის ცრემლთა მედენით თვით ზღვაცა გაადიდესა.

207r ტარიელისაგან ფრიდონისას მისვლა
 ნესტან-დარეჯანითურთ

1644

გამოვლნეს ზღვანი სამთავე, ერთგან მამდ შენაფიცართა,
 კვლა ამტკიცებდეს სიტყვათა, მათ ჰირველ დანამტკიცართა;
 შშვენის მღერა და სიცილი მათ, მისთა არ-უვიცართა,
 და ბაკეთათ შუქი შეადგის ზედა ბროლისა ფიცართა.

1645

შენით კაცი ასმათ[ს] თანა მათ გაგზავნეს მასარობლად,
 კვლა ფრიდონის თავადთასა ნაომართა მათთა [მ]თსრობლად::
 „მანდა მოვა, მოიმაღლებს მზე მნათობთა მამაგრობლად,
 და ჩვენ, დამზრალნი აქანამდის, აწ გავსედით დაუსრობლად“.

1643¹

ფატმან ავთანდილს თვალთა ტკბილითა შემხედველია;
 ავთანდილ უთხრა: „მუხთალი სოფელი ეგრე მქნელია;
 აღარვისად მცალს უმისოდ, გული ვისთვისცა მწველია,
 და ზრძენთა თქმულია: „მოყვარე არ გაიშვების ძველია“.

1643²

ცვლავ ფატმან ჰკადრა სამთავე სიტყვები დასათხოველი;
 „ავთანდილისგან გამოვა ქნად საქმე კარგი ყოველი;
 ნუ მოიშორებთ, გიყვარდესთ, გაფიცო ღმრთი ცხოველი,
 და რადგან გმსახურეთ, რაც ვჰქენით, ცოლვით აღარას მოველი“.

1643³

ტარიელ ბრძანა: „ჰე ფატმან, ჩემთვის ხარ კარგის გულითა,
 შენ გაგვიანათლე სიბნელე, ვსხედით შუქ-დაკარგულითა,
 ხარ ნიადაგმცა ყოველითა საქმითა საკარგულითა,
 და ვართ ჩვენს გულით შენისა გულთანა დანერგულითა“.

1646

იგი მზე შესგეს კუბოსა, იარეს გზა ზღვის პირისა,
მიემაწვრილობდეს, უხარის მათ გარდახდომა ჭირისა;
მივიდეს, სადა ქვეყანა იყო ნურადინ გმირისა,
და მოეგებნან, ისმოდის ხმა სიმღერისა ხშირისა.

1647

მუნ მიეგება უოველი ფრიდონის დიდებულები.
ასმათი, საესე ღსინითა, ვის აღარ აჩნდა წულულები;
ნესტან-დარიჯს ზედ მოიჭდნა, რომე ვერ გახსნის ცულები,
და აწ გაუსრულა უოველი მან მისი ნაერთგულები.

1648

207v ნესტან-დარეჯან ესვევის, პირსა აკოცებს პირითა;
უბრძანა: „ჩემო, ვაკლახ მე, შენცა აგავსე ჭირითა,
აწ ღმერთმან მოგვცა წუალობა, ვცან, მისი არ-სიძვირით ა;
და მე გულსა შენსა ეზომსა, არ ვიცი, გარღვიხდი რითა!“

1649

ასმათ ჰჰადრა: „მაღლი ღმერთსა, ვარდნი ენახენ არ-დაზრულნი,
ბოლოდ ასრე გააცხადნა გონებაჲმან დაფარულნი,
სიკვდილიცა სიცოცხლედ მიჩს, ოდენ ენახენ მხიარულნი,—
და სჯობან უოვლთა მოუვარულთა პატრონ-ეჰანი მოუვარულნი“.

1650

დიდებულთა თაყვანის-სცეს, მოასსენეს დიდი ქება:
„რომე ღმერთმან გაგვახარნა, კურთხეულა მისი ღმრთება!
ჩვენ გვიჩვენა პირი თქვენი, აღარა გვწვავს ცეცსლთა დება,
და წულულსა, მისგან დაკოდილსა, მასვე მალ-უც განკურნება“.

1651

მოვიდეს და პირი ხელსა დასდევს, აგრე გარდაჰკოცნეს.
მეფე ეტყვის: „მმათა თქვენთა თავნი ჩვენთვის დაიხოცნეს,
იგი შეება საუკუნო ცხადად პოვეს, არ იოცნეს,
და ერთსა მიხვდეს საზიაროდ, დიდებანი იასოცნეს.“

1652

208r „თუცა მე მათი დახოცა მტკივის და სატკივარია,
მაგრა მათ მისვდა უკვდავი მუნ დიდი საჩუქარია“.
ესე თქვა, ნელად ატირდა და წვიმა თოვლსა არია,
და ნარგისთათ იძვრის ბორიო, ვარდსა ზრავს, იანვარია..

1653

მუნ ატირდეს ეველაკანი, რა ტირილად იგი ნახეს,
რაცა ვისცა დაჰკლებოდა, მათ ტირილით, სულთქმით ასეს;
დადუმდეს და მოახსენეს: „რადგან ბრემნთა მზეებრ გსახეს,
და თქვენთა მჭვრეტთა მღერა ჰმართებს, რასათვისცა ივაგლახეს!

1654

„ვინ ღირს ა თქვენგან ეგზომსა ტირილსა, შეკირვებასა!
თქვენთვის სიკვდილი დია სჯობს მიწათა ზედა რებასა“.
კვლად ფრიდონ ჰკადრა მეფესა: „ნურათ იქთ გამწარებასა,
და ღმერთიმცა მეუფათ მოგიზღავს ათასსა გასარებასა!“

1655

ავთანდილცა მიუმტკივნა, ეტევის დიდსა სიმამილისა;
მათ შეასხეს ქება, უთხრეს: „თავნი მივსცნეთ აწ ღიმილსა,
რადგან მისვდა დაკარგული ღომი მსესა წასლომილსა,
და აღარა ვსტირთ სატირალსა, აღარ დაუნდებთ თვალთა მილსა“.

1656

205 მივიდეს, სადა ქალაქი დიდი მელდანსანსარია;
სცემდეს ბუკსა და ტაბლასა, გასდა ზათქი და ზარია,
დაზაბისა და ქონისა სმა ტურთად შენათსზარია,
და მოატყდეს მოქალაქენი, დაადეს მუნ ბაზარია.

1657

შუკაით მოდგეს ვასარნი, ეოვლენით მჭვრეტელთა ვარია;
მორს უარებდეს სარანგნი, ხელთა აქვ მათ აზვარია;
მოიარებოდეს ვალაბნი, სქარანგთა დამსაჯარია,
და მათად საჭვრეტლად მიშვება მუნ მათგან ნაავარია.

1658

გარდაზდეს და ფრიდონისსა სრა ნახეს მოსაწონები.
გამოეგება მრავალი ოქრო-სარტყელითა მონები,
ფერსთა საფენლად ოქსინო მართ მათგან არს ნაქონები,
და თავსა აერიდეს ოქროსა, ხვეტს ჯარი მუნ ნარონები.

1658¹

საქორწილოთ ამზადებდნენ მათ ქალ-ყმათა შვისა დართა,
უცხოს რივით იტყოდნენ, რაგვარ უნდა მათთა გვართა,
ქვეყანასა აშვევდნენ, ვითა ჰფერობს შვისა დართა,
და იგი არე ააყვავეს, ვისა სცალდა კრეფა ვართა.

1658²

მუნ მრავალნი სათამაშო სანახავი ცეცხლოსანი,
სა წა² უნდა, წარაეღინეს ვველგან კარგნი ცხენოსანი.
რა გაისმა ქორწილობა, მოდიოდნენ სხვაენით სხვანი.
და მამინდელი ქება მათი მთქმელი უნდა რა მისანი!

1 ოქსინო: სა წა.

ქორწილი ტარიელისა და
ნესტან-დარეჯანისა ფრიდონისაგან

1659

მათ ქალ-უმათათვის საჯდომი დაეგბა თეთრ-მოწვეული,
წითელ-ვეითლითა თვალითა ზედა კეკლეცად ფრქვეული;
ავთანდილისთვის—უვითელი და შავი ერთგან რეული;
და მოვიდეს, დასხდა; მკვრეტელი ვცან მათი სულ-დაღუული.

1660

209r მგოსნები მოდგეს, ისმოდა ხმა სიმღერისა ტკბილისა;
ქორწილი ქნეს და გამრავლდა მღვწობა ღვთისა ღობილისა,
ფრიდონის ჰურად კარგისა, არ მასწინმლისა წბილისა;
და ნესტან-დარეჯანს უშვენის ღიმილი, ჩენა კბილისა.

1661

მოიღეს მღვენი უსახო ფრიდონის არ-ალქატისა,
ცხრა მარგალიტი, სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატისა,
კვლა ერთი თვალი, სამსგავსო მზისა მუქ-მონამატისა,
და მას წინა ღამით ძალ-უღვის მსატვარსა ხატვა ხატისა.

1662

კვლა უძღვნა თვითო ფარღული, გარდასაურელი ველისა,
მრგვლად დათლილისა თვალისა, იაკუნდისა მრთელისა;
კვლა მოაქვ ერთი ტაბაკი, მძლეუდ საჭირავი ხელისა,
და ავთანდილისთვის ღომისა მღვენი ფრიდონის ქველისა.

1663

იგი ტაბაკი სასეა მარგალიტითა სხვილითა.
ავთანდილს უძღვნა ეკვლაი არა სიტყვითა წბილითა.
აივსო სახლი სტაურითა და ოქსინოთა¹ ღბილითა,
და ტარიელ მადლი უბრძანა, ღაღმან სიტყვითა ტკბილითა.

1664

209v ფრიდონისგან უსაზომო ქორწილია დღესა რვასა;
უოვლთა დღეთა მთართმიდის უფასოსა მღვენსა მზასა;
დღე და ღამე არ გასწევეტდის ჩალანა და ჩანგი სმასა.
და აპა, მისვდა შესაფერნი უმა ქალსა და ქალი უმასა.

1665

ტარიელ ფრიდონს უბრძანა დღე-ერთ სიტყვები გულისა:
„არს გული თქვენი საჩემო უფროსი მმისა სრულისა,
არ გემუქფების სიცოცხლე, არცა მოცემა სულისა,
და მე თქვენგან ვპპოვე მოკვდავმან ჩემი წამალი წელულისა.

¹ ოქსინოთა.

1666

„ავთანდილისგან შენც იცი ჩემთვის თავისა დადება,
აწ მე მაქვ ნაცვლად მისისა მოსმარებისა წადება“:
შენ მიდი, ჰკითხე, რა უნდა, მან ქნას ამისი ცხადება,
და ვითა დამივსო სახმილი, ეგრე მისიცა კმა დება.

1667

„უთხარ: «მპაო, რა გარდისდის შენგან ჩემსა ჰირ-ნახულსა!
ღმერთი მოგცემს წყალობასა, მისგან ზეცით შესახულსა!
თუ ვერა ვიქ საწაღელსა შენსა, შენთვის გაზრახულსა,
და არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არცა ხულსა.

1668

2107 „აწ მითხარ, ჩემგან რა გინდა, ანუ რათ მოგესმარები?
გარჩევ, წავიდეთ არაბეთს, იუავ ჩემიცა მარები;
ტკბილი სიტუკითა გავმართოთ და სრმლითა საომარები.
და თუ შენ შენს ცოლსა არ შეგერთავ, მე ჩემსა არ ვექმარები»“.

1669

რა ფრიდონ უთსრა ავთანდილს ტარიას მოციქულობა,
მას გაეცინნეს, გაღიმდა, ჰშვენოდა მხიარულობა;
თქვა, თუ: „მემველი რად მინდა, მჭირს არავისგან წულულობა!
და ჩემი მზე არცა ქაჯთა ჰეაეს, არცა სჭირს ღზინ-ნაკულულობა.

1670

ჩემი მზე ტახტსა ზედა ზის მორჭმული ღმრთისა ნებითა,
საკრძალავი და უკადრი, ლალი, არვისგან ვნებით ა,
არცა რა უმბიმს ქაჯთაგან, არცა გრძნეულთა გრძნებითა,
და მას ზედა მველა რად მინდა?! რად მეჭვ რასაცა თნებითა?

1671

„რა მოვა ჩემთვის განგება, ზეცით მოსრული ზენანი,
ღმერთი იწადებს, მომივლენს გულსა სახმილთა ღზენანი;
მამინდა მომხვდენ მოკვდავსა მზისა ელვათა ფენანი,
და უმისეამისოდ ცუდნია ჩემგან მი და მო რბენანი.

1672

2108 „მიდი და ჰჰადრე ტარიელს ზასუხი, ჩემგან თსრობილი:
«მაღლი რად უნდა, მეფეო, ხარ რაზომ გინდა ღმობილი?
გარ მუცლითგანვე დედისათ თქვენად სამონოდ შობილი,
და ღმერთმან მუნამდის მიწად მეოს, ვირ მეფე იუო ცნობილი.

1 წადება.

1673

«გებრძანა: «შეურა მწადიან საუვარელისა შენისა»,
ეგე არს მგზავსი გულისა ლმობიერისა თქვენისა;
მუნა მე სრმალი არ მიკვეთს, არცა სიერცულე ენისა,
და მიჯობს მოლოდნა საქმისა მის განგებისა ზენისა.

1674

«ესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე:
ჰინდოეთს გნასო მორკმული, საჯდომთა ზედა მჯდომარე,
გვერდსავე გიჯდეს მნათობი ჰირი ელვათა მკროთომარე,
და მებრძოლნი თქვენნი მოკესრნენ, არვინ ჩნდეს მენ მეომარე.

1675

«რა გამისრულდენ ესენი ჩემნი გულისა ნებანი,
მაშინლა მივალ არაბეთს, მომხედენ მის მზისა სლებანი;
ოდისცა სწადდეს, დამივსნეს ამა ცეცხლისა დებანი.
და სხვად თქვენგან არა არ მინდა, მმულან რასაცა თნებანი».

1676

211r რა ფრიდონ ჰკადრა ტარიელს ესე სიტყვანი უმისანი,
მან ბრძანა: «მაგას არა ვიქ, ამას არ უნდა მისანი.
ვითა მან ჰოენა მიზეზი ჩემისა სულთა დგმისანი,
და ეგრევე მანცა სამისოდ ნახნეს მალ-გულნი მმისანი.

1677

«მიდი, უთხარ ჩემაგიერ სიტყვა ჩემგან არ-ნათნები:
«მე შენისა გამზრდელისა უნახვად არ დავდგები.
ვექვ, მრავალი დამესოცოს მონა, მისგან საუვარლები,
და ვითხოვ სოლო შენდობასა, ეგეთივე მო[ვ]ბრუნდები».

1678

«ესე უთხარ: «ამის მეტსა ჰმოციქულობ ნურას ნუო,
ხვალე წასვლა არ დავძალო, არცა საქმი გავათუო;
მე არ მიზამს არაბთ მეფე, რომე სიტყვა გაუაცრუო,
და ამოდ ვსთხო[ო] ქალი მისი, შევეხვეწო, შევაგუო¹».

1679

უამბა ფრიდონ ავთანდილს ტარიას მოციქულობა:
«არ დადგებისო, ცუდია შენგან ცდისაჲ თქმულობა».
მას დაუმომიდა, მოედვა ჩვლა გულსა კვამლ-ალმულობა.
და ასრე ხამს რიდი მეფეთა, უმათაგან მოკრძალებობა!

¹ შევაგუო.

1680

2110 ავთანდილ მივა მუხლ-მოურით ტარიას შესახვეწელად,
ფერსთა ესვევის, აკოცებს, აღარ შეხედავს ზე წელად,
ეტევის: „კმა, რაცა შეესცოდე როსტანს წლეულად მე წელად,
და კვლა ნუ მიქ ერთგულობისა გამტეხლად, დაცამლეწელად.

1681

